# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 ნოემბერი 2000 №228 (1250) | ფასი 50 თეთრი


## კალაძის მილანში სათამაშოდ იტალიელებს პოლიტიკური ...ამაში სჭირდებათ

...ტერვიუ „მილანის“ ...რთველ სელექციონერ ...ევაზ ჭოხონელიძესთან

## კაცია და თსუ გაიყარნენ

...ტუდენტთა ...ალი დამრიგებელი ...რაბ კოქლაშვილია

## ტორე ანდრე რეინჯერსელი




...ოთებს ამხელა ფული ...ასდროს გადაუხდიათ

## გადამეყარა ინგლისი...

ქართული შვიდეული ათეულს მიღმა

## აგენტ 007-ის პიკანტური ობიექტივი

## ჭადრაკი სამშობლოს უბრუნდება

...დეს 11 ქართველი ...ოფლიოს პირველობას ...წყებს

# ძოძუაშვილი და იტალიელი ქუთაისში

# ჩამოსვლა დ-როული?

თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცთა დაპირების მიუხედავად ლონდონის „არსენალის“ მთავარი სკაუტი სტივ როული ზურაბ ხიზანიშვილის სანახავად საქართველოში არ ჩამოვიდა.

რევაზ ძოძუაშვილი კი 5 წლის შემდეგ დღეს პირველად ჩადის ქუთაისში „ტორპედოსთან“ დასაპირისპირებლად.

„ტორპედო“ — „ლოკომოტივს“ თბილისში გუშინ ჩამოფრენილი იტალიელი სტუმარი მაურიციო პევერალი დაესწრება და ლოკომოტიველი მცველების, ზურაბ ხიზანიშვილის და ლევან სილაგაძის თამაშს დააკვირდება.

ლოკომოტიველთა მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ვაჟის, მიხეილის თქმით, იტალიელი მისი მოწვევით ჩამოვიდა. ლატვიური რიგის „სკონტოს“ მენეჯერი, მიხეილ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივისგან“ უფლებამოსილია, ინგლისურ „არსენალთან“ ხიზანიშვილის თაობაზე მოლაპარაკება აწარმოოს. პევერალისაც, თურმე, ძირითადად სწორედ ინგლისურ კლუბებთან აქვს ურთიერთობა.

„არსენალის“ სკაუტის სტივ როულის თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზი უცნობია. ფაქტი კი ისაა, რომ მისი ვიზიტის გარეშე ხიზანიშვილის ტრანსფერი არ შედგება. ამასვე ადასტურებს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის და „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძის სიტყვები, თუ როული 25 ნოემბერს არ ჩამოვიდა, ჩათვალეთ, ზურაბ ხიზანიშვილის „არსენალში“ გადასვლა გამორიცხულიაო.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, ლონდონელებმა ხიზანიშვილზე ლაპარაკი იუარეს. ჩანს, „არსენალი“ მორჩა და რა იწყება, ჯერ არავინ უწყის.

თუმცა, მიხეილ ძოძუაშვილი ვითარების შეტრიალებას არ გამორიცხავს და ამბობს, „არსენალს“ ხიზანიშვილზე ხელი საბოლოოდ არ ჩაუქნევია, კიდევ დააკვირდება და ვნახოთო.



რევაზ ძოძუაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
12
მეორე წრე

**15 ტური**

25 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | ბათუმი |
| გორდა | დილა |
| იბერია | მერანი |
| დინამო | ვიტ ჯორჯია |
| ტორპედო | ლოკომოტივი |
| თსუ | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 14 | 12 | 0 | 2 | 30:7 | 36 |
| ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 23:5 | 35 |
| დინამო | 14 | 10 | 1 | 3 | 35:13 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 4 | 2 | 21:7 | 28 |
| კოლხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:14 | 20 |
| ბათუმი | 14 | 6 | 1 | 7 | 17:18 | 19 |
| სიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:21 | 15 |
| მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:17 | 15 |
| თსუ | 14 | 4 | 1 | 9 | 15:27 | 13 |
| დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 9:22 | 12 |
| გორდა | 14 | 2 | 6 | 6 | 10:20 | 12 |
| იბერია | 14 | 0 | 1 | 13 | 3:29 | 1 |

# რევანშისტული იქნება ტური

საქართველოს ჩემპიონატი

დღეს მეათე საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და ახალ წლამდე იმ ექვსი გუნდის ვინაობასაც შევიტყობთ, საპრიზო ადგილებისთვის რომ გააგრძელებენ ბრძოლას. დღევანდელი გადასახედიდან კი ასე ჩანს, რომ ჩემპიონობა, შარშანდელის მსგავსად, კვლავაც იგივე სამეულს — „ბასკოს“, „აზოტსა“ და სტუ-ს ხელეწიფებათ.

გათამაშების უდანაკარგო ლიდერი ბათუმის „ბასკო“ ამ უქმეებზე დედაქალაქს ეწვევა და ნაკლებად მოსალოდნელია, თბილისში ქულები გაანიავოს. ამასობაში კი „აზოტი“ და სტუ ერთ კვირაში მეორედ დაეძგერებიან ერთმანეთს და, თქმაც არ უნდა, დიდ ომს გააჩაღებენ. წინა შაბათს სწორედ ტექნიკოს სტუდენტთაგან გამწარებულ „აზოტს“ რევანში სწყურია. ისევე, როგორც „მაკაბის“ — სტუ-სგან მძლავრი დარტყმა ხომ სულ ბოლოს ამ გუნდმა იგემა.


იხილეთ მეთორმეტე გვერდი





ორშაბათს „შემავგვრემანებული“ „მაკაბი“ ვახტანგ მინაშვილის (ბურთით) სტუ-სთან ვერას გახდა. დღეს მაკაბელებს რევანშის შანსი აქვთ

# კალაძის მილანში სათამაშოდ იტალიელებს პოლიტიკური თამაში სჭირდებათ

*კიევის „დინამოს" ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ რომ შესაძლოა კარიერა იტალიის „მილანში" გააგრძელოს, აბა, ეს ვისთვის უნდა იყოს ახალი ამბავი. ჩვენც ლამისაა ყოველდღიურად ვბეჭდოთ ის ინფორმაციები, რასაც უცხოური სააგენტოები ავრცელებენ. უკვე კარგა ხანია, კალაძის „მილანში" გადასვლაზეა ლაპარაკი, თუმცა ამ ტრანსფერს დღემდე არ დაადგა საშველი. ეგ კი არა, ორიოდ დღის წინ ისიც ითქვა, კახას „მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟებაო. ის თანხაც იყო დასახელებული, რამდენსაც ინგლისელები სთავაზობენ უკრაინელებს. ამას არც თავად ფეხბურთელი უარყოფს და ამბობს, ჩემს ტრანსფერთან დაკავშირებით ყველაფერი ნაახალწლევს გაირკვევაო. იქამდე კი თვეზე იმეტია დარჩენილი და ისიც არავინ უწყის, კახა ახალი გუნდის ვინაობას იანვრის დასაწყისში უეჭველად შეიტყობს, თუ ვერა. ჩვენც რა გზა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ.*
*და ვიდრე გაუწყებთ, კახა კალაძე ამა და ამ გუნდის წევრი გახდაო, ეს ინტერვიუ წაიკითხეთ — „სარბიელს" იტალიის „მილანის" ქართველი სელექციონერი რევაზ ჭოხონელიძე ესაუბრება, რომელსაც გუშინ მილანური კლუბის საწვრთნელ ბაზაზე დავუკავშირდით.*

— ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, „მილანი" დაინტერესებულია და დიდი სურვილი აქვს, კახა კალაძე აქ ჩამოიყვანოს — გვითხრა რევაზ ჭოხონელიძემ — პრობლემა ის არის, რომ კახა ქართველია, საქართველო კი, მოგეხსენებათ, ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის. იტალიაში კი არაევროკავშირელებზე ლიმიტია, რომელიც ჩვენ ამოწურული გვაქვს. ახლაც სწორედ ამაზე ვმუშაობთ, ვცდილობთ, როგორმე ანდრეი შევჩენკოს ევროკავშირის მოქალაქეობა მივაღებინოთ. თუ ეს გამოვიდა, მაშინ ადგილი გაგვითავისუფლდება.

**— ესე იგი, ვიდრე შევჩენკო „ნამდვილი ევროპელი" არ გახდება, კალაძე მილანში ვერ ჩამოვა?**

— არა, რატომ? კახა, თუ რალა თქმა უნდა, „დინამოს" სურვილიც იქნება და „მილანის" მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისაც, იქნებ ამ ზამთარსაც ჩამოვიდეს იტალიაში, თუმცა ამას აზრი არა აქვს, თამაშით მაინც ვერ ითამაშებს. შუა სეზონში „მილანი" ფეხბურთელების დამატებას ერიდება. ისინი გუნდს როგორც საჭიროა, ისე ვერ შეეწყობიან.

**— საქმე თუ გამოვიდა, შევჩენკო როდის მიიღებს ევროკავშირის მოქალაქეობას?**

— ან თებერვლის დამლევს, ანაც ზაფხულში, ივნისის დასაწყისში. ახლა უეფაში და იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში სარჩელი შევიტანეთ და იმედია, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

**— რა სარჩელი?**

— იცით, წლეულს, როცა „ინტერმა" „გალათასარაიდან" ჰაქან შუქური შეიძინა, ეს ფეხბურთელი არაევროკავშირელად არ ჩათვალეს, თურქები და სლოვაკები თურმე „ევროპელებად" ითვლებიან, ჩვენ კი ჩვენი გვალევებს. არც თურქეთია ევროკავშირის წევრი, არც სლოვაკეთი, მაშ, უკრაინამ რალა დააშავა? სარჩელიც სწორედ ამასთან დაკავშირებითაა. „მილანი" მოითხოვს, თუ თურქი და სლოვაკი ევროკავშირელად ითვლება, იგივე სტატუსი უკრაინელსაც ჰქონდეს. საამსაქმოდ ადვოკატებიც კი დავიქირავეთ, თუმცა ერთიცაა, საქმე პოლიტიკას ეხება, ძნელია, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მოქალაქეები ევროკავშირელები გახდნენ. შევჩენკოსაც ეს უშლის ხელს.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ კალაძე ნაღდად „მილანის" ფეხბურთელი იქნება?**

— ამას ვერ ვიტყვი, თუმცა კიევის „დინამოსთან" ურთიერთობაში პრიორიტეტი „მილანს" კი აქვს. თუ „დინამო" კახას გაყიდვას გადაწყვეტს, პირველ ყოვლისა, კიეველები „მილანს" დაუკავშირდებიან.

**— რატომ „მილანს"?**

— იმიტომ, რომ „დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი და სილვიო ბერლუსკონი ასე შეთანხმდნენ.

**— სიტყვიერად თუ რაიმე კონტრაქტი გააფორმეს?**

— მათ ერთმანეთს კაცური სიტყვა მისცეს და კალაძის შესაძენად რიგში პირველი ჩვენ ვართ.

**— „მანჩესტერ იუნაიტედსაც" ხომ სურს კალაძის გადაბირება? თანაც, როგორც ვიცით, ინგლისელები „დინამოს" სოლიდურ თანხას სთავაზობენ.**

— მარტო „მანჩესტერ იუნაიტედი"? იცით, კახა კალაძე დღესდღეობით ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია, მან სამი წლის განმავლობაში ძალიან მოუმატა და ინტერესიც ბუნებრივია. „ბარსელონა", „რეალი", „ინტერი", „რომა", „არსენალი" — მე ვიცი, რომ ეს გუნდებიც ცდილობენ კალაძის ხელში ჩაგდებას.

**— „ბაიერნი" ხომ არ გამოგრჩათ? ამბობენ, „ბაიერნსა" და „მილანს" შორის შესაძლოა ერთგვარი როქი მოხდესო — კალაძე „ბაიერნში", გერმანელი იერემისი კი „მილანში". მართალია?**

— ვერც იმას ვიტყვი, ტყუილია-მეთქი. გამორიცხული არაფერია. ბოლო ხანს თითქმის ყველა, ვინც კალაძეს იცნობს და „რუსეთის საფეხბურთო ბაზარზე" მუშაობს, ამ ფეხბურთელის მენეჯერობას იბრალებს და... კალაძე ახლა არ უნდა აჩქარდეს. ის ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ ბევრს მოასწრებს. თუ დაახლოებით ექვს თვეს ისევ ლობანოვსკისთან და „დინამოში" დარჩება, უკეთესი იქნება.

**— თქვენი სიტყვები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კახა კალაძე ზაფხულამდე „დინამოდან" ვერ წავა?**

— ყოველ შემთხვევაში, სასურველია ასე მოხდეს. მას ცოტა კიდევ სჭირდება ლობანოვსკის ხელი.

**— კი მაგრამ, უკვე რა ხანია, ლაპარაკობენ, კახა „დინამოს" ამ ზამთარს დატოვებსო.**

— ეს კიეველებზეა დამოკიდებული. ისე, რამდენადაც ვიცი, ფეხბუთრელსაც აქვს სურვილი, კარიერა სხვაგან გააგრძელოს. ჯერჯერობით კი მისი „დინამოში" დარჩენა თუნდაც იმიტომ ღირს, რომ „მილანს" კახა სურს, როგორც ცენტრალური მცველი. აქ კარგად ახსოვთ, რომ თბილისში მან ვიერის ფეხი არ გაანძრევინა. „დინამოში" ბოლო ხანს კახა საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს, ეს კი მის უნივერსალიზმზე მეტყველებს. ლობანოვსკის შეუძლია ფეხბურთელის გამოყენება. ჰოდა, უკეთესი იქნება, კახამ ყველა ამპლუაში წარმოაჩინოს თავისი თავი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, აჩქარება არ ღირს.

**— კეთილი. ახლა ზოგადად, იტალია — საქართველოს მატჩს იტალიაში როგორი რეზონანსი ჰქონდა, ჩვენც ვიცით, მაგრამ უფრო საინტერესოა, რას იტყვის „მილანის" სელექციონერი...**

— იცით, ძალიან მწყდება გული, რომ ქართული სიმდიდრე ასე იკარგება. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ვგულისხმობ. ქართველი გერმანიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში ან თუნდაც სხვა ქვეყანაში რომ თამაშობს, დაინტერესებულთაგან ბევრმა არ იცის, საიდან არის. მაგალითად, იტალია აიღეთ, აქ თითო-ოროლას გარდა საქართველოზე წარმოდგენა არავის ჰქონდა.

**— რატომ — ჰქონდა? ანკონას მატჩის მერე გაიგეს საქართველო?**

— ერთს გეტყვით, რაც აქაურ გაზეთებშიც დაიბეჭდა. „მილანის" ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ პაოლო მალდინიმ მითხრა, ახლა გავიხსენე, ერთხელ საქართველოში რომ ვყოფილვარო, გამიკვირდა, აქამდე არ გახსოვდა-მეთქი, ვუთხარი. როცა თბილისიდან ჩამოვედი, დამავიწყდა, სად ვიყავი, საქართველოს ნაკრები ამ ჯგუფში ჩვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქეაო. რატომ? — ვკითხე. თანაჯგუფელებიდან ბურთთან ყველაზე ახლოს ქართველები არიან, ძალიან ტექნიკურ ფეხბურთელებთან გვაქვს საქმე, პირველობაში საქართველო თუ შეგვეცილებაო, ასე მითხრა.

**— აქ ბევრს ლაპარაკობენ, რომ ანკონის მატჩის შემდეგ იტალიელები რამდენიმე ქართველი ფეხბურთელით დაინტერესდნენო. თქვენ რა იცით ამის თაობაზე?**

— მე ის ვიცი, რომ ამ მატჩის მნახველმა მწვრთნელებმა აღნიშნეს, ქეცბაია ძალიან ძლიერი ფეხბურთელიაო. მოუწონეს ტექნიკა, ტაქტიკური აზროვნება, ფიზიკური მომზადება, ყველაფერი, რაც კი ფეხბურთელს მოეთხოვება, ასაკის გარდა.

**— მისი შეძენისგან ამიტომაც იკავებენ თავს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი. ასპროცენტიანი კი არის, ქეცბაიამ აქაურების დიდი მოწონება დაიმსახურა.

**ბონდო ინასარიძე**



კახა კალაძე ჯერჯერობით ისევ კიევის დინამოელია. დიდი ხნით?

## გერმანია

XIV ტური

შალკე 2:1 ბოხუმი

1:0 მულდერი (37), 1:1 მარიჩი (48), 2:1 სანდი (64)

II ბუნდესლიგა. XIV ტური

ალემანია 0:4 ჰანოვერი

დუისბურგი 0:0 ფიურტი

## ბელგია

XIV ტური

სტანდარდი 2:1 გენკი

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

II ჯგუფი. I ტური

ირანი 19:0 გუამი

## ჩეხეთი

XVI ტური

ბრნო 1:0 ბანიკი

## თურქეთი

XIV ტური

ტრაბზონი 2:2 ანკარაგიუჯიუ

## ავსტრია

XXI ტური

ლინცერი 3:3 რაპიდი

## საფრანგეთი

თასის I ეტაპი. I მატჩები

ბოვე 2:1 კრეტეი

შატორუ 0:0 ნიორი

## საქართველოს რეგიონული ლიგა. პირველი წრე. 11 ტური

23 ნოემბერი, ხუთშაბათი

კავკასიონი 1:4 აკადემია
ხალიბი 2:0 სამგორი
ალაზანი 2:0 ზოოვეტი
თბილისი 2 2:0 ასკ

24 ნოემბერი, პარასკევი

ცხუმი 1:1 ჭაბუკიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 7 | 2 | 1 | 22:7 | 23 |
| ჭაბუკიანი | 10 | 7 | 1 | 2 | 29:9 | 22 |
| ლოკომოტივი 3 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:7 | 22 |
| ალაზანი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:14 | 17 |
| ცხუმი | 10 | 4 | 3 | 3 | 7:5 | 15 |
| ხალიბი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:10 | 14 |
| თბილისი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:16 | 11 |
| ზოოვეტი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| სამგორი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:21 | 8 |
| ასკ | 10 | 2 | 0 | 8 | 13:27 | 6 |
| კავკასიონი | 10 | 1 | 1 | 8 | 11:33 | 4 |

22 ნოემბერი, ოთხშაბათი

ამირანი 2:0 მესხეთი
მრეტები 2:2 ვალენსია 83
ოლიმპიკი 3:0 დილა 2
საბურთალო 0:7 ს.ა.იბერია
ვიტ ჯორჯია 2 3:1 ვარძია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 29:9 | 22 |
| ამირანი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:9 | 25 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ს.ა.იბერია | 10 | 5 | 4 | 1 | 23:9 | 19 |
| ვალენსია 83 | 10 | 4 | 3 | 3 | 16:15 | 15 |
| მრეტები | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| მესხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 7:17 | 13 |
| ოლიმპიკი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:9 | 12 |
| ვარძია | 10 | 2 | 2 | 6 | 6:14 | 8 |
| დილა 2 | 10 | 0 | 4 | 6 | 6:24 | 4 |
| საბურთალო | 10 | 0 | 2 | 8 | 4:39 | 2 |

22 ნოემბერი, ოთხშაბათი

ბათუმი 2 1:0 მერცხალი
სალხინო 1:1 გურია 2
ინტერი 0:1 კოლხეთი 2
სულორი 0:6 ლაზიკა
მზიური 3:2 სამეგრელო
დინამო 2 სოხუმი 1:2 სქური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 11 | 9 | 1 | 1 | 32:14 | 28 |
| სქური | 11 | 8 | 2 | 1 | 25:8 | 26 |
| ლაზიკა | 11 | 8 | 1 | 2 | 40:18 | 25 |
| კოლხეთი 2 | 11 | 6 | 1 | 4 | 19:11 | 19 |
| ინტერი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:12 | 17 |
| ბათუმი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| დინამო 2 სოხუმი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | 12 |
| გურია 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 19:31 | 12 |
| მერცხალი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 9 |
| სამეგრელო | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 |
| სალხინო | 11 | 1 | 4 | 6 | 14:25 | 7 |
| სულორი | 11 | 2 | 1 | 8 | 10:44 | 7 |

## საქართველოს თასის მეროთხედფინალი
საპასუხო მატჩი

ზუგდიდი
21 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 7 500)

**ზუგდიდი 1:4 ვიტ ჯორჯია**

პირველი მატჩი 0:3

0:1 გვაზავა (18), 0:2 თაყაძე (47), 1:2 ონიანი (49), 1:3 გვაზავა (70), 1:4 მელქაძე (86)

ზუგდიდი: ნაყოფია, ლურწკაია, ჭითანავა, გაბედავნიძე, ჭურღულია (ბულია 46), გამსახურდია, გოგიტაძე, ლ. ბუკია (დ. დანელია 43), თორია, კუტალია, ონიანი

სათადარიგონი: მ. კვარაცხელია, ყოლბაია

ვიტ ჯორჯია: სტურუა, დ. დოლიძე, ქანქოტაძე, კობიაშვილი, იმნაიშვილი, ლ. ნოზაძე (მერებაშვილი 77), დოლმელაშვილი (ვ. გოჩაშვილი 61), მ. თაყაძე, ს. გვაზავა, დეკანოსიძე, ლ. მელქაძე

სათადარიგონი: მერლანი, სულთანიშვილი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ჟორჟოლიანი, ა. ნოზაძე (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შახალაიოდ ქვემლემზურად

**ახლა,** ცხადია, გვიანია იმის რკვევა, რატომ და როგორ წააგო საქართველოს თვარმეტწლამდელთა ნაკრებმა ხორვატიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპზე.

ცხადია, არც იმის გამოძიებაა, მაინცდამაინც დროული, დაპირების მიუხედავად თუნდაც დაგვიანებით რატომ ვერ ჩავიდა პორეჩში ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მოლდოვური კიშინიოვის „ზიმბრუს" ნახევარმცველი ლადო ახალაია.

გვიანია, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხი საჭიროა და მას ფედრაციისგან და ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან ველით.

1998 წლის ფინალური ტურნირის მონაწილე ქართველმა თვრამეტწლამდელებმა ზედიზედ მეორე შესარჩევი ტურნირი წააგეს, ისე, რომ ქულაც არ მოუპოვებიათ. წლეულს კი გატანაც ვერ შეძლეს.

არადა, შოთა ჭეიშვილის გუნდს, როგორც ვიცით, შინაური თუ უცხოური შეკრება არ დაჰკლებია.

**ვახტანგ ჭიკაძე**

პორეჩი
20 ნოემბერი
16 საათი
ველი იოზა
20 (ტევადობა 3 500)

### საქართველო 0:2 ხორვატია

1:0 ლიუბოევიჩი (11), 2:0 ცელისჩაკი (30)
საქართველო: ივარდავა, ზვ. ლაბაძე (ზაზაშვილი 46), მანჩხავა, ამისულაშვილი, სახურია, ჩივაძე ქარდავა, სამხარაძე ქოქიაშვილი, დ. სტურუა (ბ. ნოზაძე 46), ჯოჯუა
სათადარიგონი: მამალაძე, ნორაკიძე, სალარიშვილი, ვ. ძაგნიძე
ხორვატია: შარლია, ბლასკოჩი, ცელისჩაკი (ლალიჩი 80), მალკოვიჩი, რანადიჩი, მარმაკოვიჩი, ლინიჩი, ცარევიჩი (კოსი 90), ლიუბოევიჩი (გავრანოვიჩი 83), კორეტიჩი, ზაპორა
სათადარიგონი: ვრანიჩი, ცვეტკოვიჩი, რადეტიჩი, სიმაჩი
გაფრთხილება: ცელისჩაკი (1), ამისულაშვილი (20), ჩივაძე (38), ჯოჯუა (45), ივარდავა (56)
მსაჯი: კ. ალსეტი (ნორვეგია)

პორეჩი
22 ნოემბერი
16 საათი
ველი იოზა
50 (ტევადობა 3 500)

### ესპანეთი 2:0 საქართველო

1:0 მერინო რამირესი (22), 2:0 ნანო (45)
ესპანეთი: ვალდესი, ალეგრე, ალვარესი, კორალესი, გონსალეს როჩა (ნავარო 83), არტეტა, მოლინა, პარი რომერო, ნანო, მერინო რამირესი (ორტეგა 69), პერონა (ნაჩო 60)
სათადარიგონი: ლოპესი, პარედესი, ელა ეიენე, სანჩესი
საქართველო: მამალაძე, მანჩხავა, ამისულაშვილი, სახურია, ჩივაძე, ნორაკიძე (დ. სტურუა 78), ქარდავა, სამხარაძე, ბ. ნოზაძე (ქოქიაშვილი 78), ზაზაშვილი, ჯოჯუა
სათადარიგონი: ივარდავა, ზვ. ლაბაძე, სალარიშვილი, ვ. ძაგნიძე
გაფრთხილება: სამხარაძე (35), გონსალეს როჩა (39), ნორაკიძე (56), ალეგრე (58), ჩივაძე (65), ჯოჯუა (90)
მსაჯი: გ. ბოროვილოსი (კვიპროსი)

პორეჩი
24 ნოემბერი
16 საათი
ველი იოზა
200 (ტევადობა 3 500)

### ესპანეთი 3:0 ხორვატია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

მეორე შესარჩევ ეტაპზე ესპანეთი გავიდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მოსახვედრად პორტუგალიას ეთამაშება



არმაზ ჯელაძე

ზურაბ ჯიშკარიანის ფოტო

# კაცია და თსუ გაიყარნენ



თენგიზ კაცია

**14 თამაშში** 4 მოგება, ერთი ფრე და 8 წაგება — ასეთი შედეგი თითქმის არც ერთი კლუბის ხელმძღვანელს არ დააკმაყოფილებს და, ბუნებრივია, პრეზიდენტიც რადიკალურ ცვლილებებს მიმართავს.

13 ქულალა ჰქონდა თსუ-ს, წყალტუბოს „სამგურალთან" თასის მერვედფინალური დუელიც წააგო, თუმც სტუდენტთა მწვრთნელისთვის არავის უკადრებია, გუნდიდან წადიო. პირიქით, კლუბის ხელმძღვანელობა მხარს უჭერდა, ნაჯაფარს უფასებდა და მომავალშიც თანადგომას ჰპირდებოდა, მაგრამ...

რატომ ითმენდნენ ხელმძღვანელები ამდენ ხანს? იმიტომ, რომ მათ იცოდნენ თავიანთი კლუბის შესაძლებლობები. კიდევ მაქსიმუმს მიაღწია ახალგაზრდულმა თსუ-მ, ფეხბურთსაც შემტევს და სანახაობრივს თამაშობდა.

მაინც გაცლა ამჯობინა თენგიზ კაციამ. „სამგურალთან" თასის საპასუხო მატჩი რომ ვერ მოიგო, მეორედ შეხვდა კლუბის თავკაცებს და გუნდიდან წასვლის ნებართვა ითხოვა.

დანჩენა შესთავაზეს, მაგრამ იუარა. რაღა ექნათ, ხელი ხელს დაჰკრეს და მეგობრებად დაშორდნენ ერთმანეთს.

— ჯერ დავისვენებ, მერე კი ვნახოთ, რა იქნება, მეც არ ვიცი, ის კი ფაქტია, რომ ფეხბურთში დავრჩები, სხვაგვარად არც შემიძლია.

ასეთია უკვე თსუ-ს ყოფილი თავკაცის, თენგიზ კაციას მოკლე კომენტარი, რომელთანაც ინტერვიუს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

ცხოვრება კი გრძელდება და სტუდენტებსაც ძნელი გზა ელით. თსუ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მიზნის მიღწევა უმწვრთნელოდ წარმოუდგენელია და კლუბის თავკაცებმა მესაჭეობა „ვიტ ჯორჯია 2"-ის მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილს ჩააბარეს დროებით. მერე კი ვნახოთ, ყველაფერს, ალბათ, შედეგი გადაწყვეტს.

**დათო დანელია**

# არის ჯელაძე, დარჩა გელაძე!

**გადაწყდა,** თითქმის ორთვიანი მოლოდინი რუსთავის „გორდასთვის" სასიკეთოდ დამთავრდა. როგორც იქნა, საზღვარგარეთიდან არმაზ ჯელაძის ტრანსფერმა ჩამოაღწია და ეს ფეხბურთელი დღეს რუსთავულ კლუბის ღირსებას დაიცავს გორის „დილასთან" მატჩში.

არადა, „გორდას" ხელმძღვანელებმა ლამის მოთმინება დაკარგეს. გუნდის მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი და ტექნიკური დირექტორი თამაზ გაბრიჭიძე კვირაში სამ დღეს ფედერაციის შენობაში ალამებდნენ. მათი საზრუნავი ჯელაძესთან ერთად ალეკო გელაძის ტრანსფერიც იყო.

გელაძესთან დაკავშირებით, ფორმალური საკითხები კვლავაც მოსაგვარებელია, არმაზ ჯელაძე კი კვლავაც გორდელია. შეგახსენებთ, ეს ფეხბურთელი რამდენიმე წლის წინათაც იცავდა რუსთაველთა ღირსებას.

— „დილასთან" მატჩს ამაღლებული განწყობით ვხვდებით. არმაზ ჯელაძე ჩვენი კლუბისთვის დიდი ძალაა და, ბუნებრივია, სასტარტო შემადგენლობაშიც გვეყოლება. არა მგონია, თავი არ გამოიჩინოს. კარგა ხანია, გუნდთან ერთად ემზადება და მჯერა, მისი დონის ფეხბურთელი უთამაშებლობას არ დაიტყობს" — გვითხრა გუშინ „გორდას" გახარებულმა თავკაცმა იასონ ალადაშვილმა.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ჯაკობიამ ავტოფარეხი დაკარგა

## შესაძლოა, შვეიცარიოდან დარჩეს

**ჩვენში** გუნდების დაშლა-გაკოტრება რა სახსენებელია, როცა იგივე რამ ისეთ საფეხბურთო ქვეყანაშიც ხდება, როგორიც ბელგიაა. ჩვენდა სამწუხაროდ, სავალალო ამბები უმაღლესლიგელი „აალსტიდან" მოდის. იმ „აალსტიდან", სადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ლაშა ჯაკობია ირიცხება.

ორ წელზე მეტია, „აალსტს" ავტოფარეხების დამამზადებელი ფირმა „კოპენსი" პატრონობს. ამ ხნის მანძილზე გუნდის სათამაშო მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ „კოპენსი" მაინცდამაინც ხელხვავიანი სპონსორი არ გამოდგა. მეტიც, ამ ფირმას ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის დიდი ვალიც დაგროვებია და რა გასაკვირია, რომ „აალსტისთვის" არ ცხელა.

„გუნდი ფაქტობრივად უპატრონოდ დარჩა. ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის ულტიმატუმის თანახმად, თუ ახალი სპონსორი არ გამოჩნდა და ძველის ვალი თავის თავზე არ აიღო, „აალსტი" დაიშლება. მართლაც არასახარბიელო ვითარებაა და ფეხბურთელები სულმოუთქმელად ველით სიტუაციის გამოსწორებას. ახალი მეპატრონე კი ჯერჯერობით არ ჩანს" — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას ლაშა ჯაკობიამ.

რაც შეეხება ქართველი ფეხბურთელის მდგომარეობას, აღდგენითი კურსი კვლავაც მიმდინარეობს, ჯაკობიას ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია, გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს არასრული დატვირთვით, მაგრამ საეჭვოა, ორ კვირაზე ადრე მოედანზე გამოჩნდეს. თუმც რა, თავად „აალსტის" ჩემპიონატში მონაწილეობაც ხომ საეჭვოა.

**ბაატა ქვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა 12
მეორე წრე

# 16 ტური

24 ნოემბერი, პარასკევი

| | | |
|---|---|---|
| თორი | 2:0 | შუქურა |
| სამგურალი | 5:3 | ზუგდიდი |
| თბილისი | 2:0 | ოკეანე |
| მეტალურგი | 3:0 | ხობი |
| გურია | 2:0 | ცხინვალი |
| ივერია | 2:1 | მილანი |

ტურის მიმოხილვა იხილეთ ოთხშაბათის „სარბიელში"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 16 | 10 | 4 | 2 | 24:18 | 34 |
| ცხინვალი | 16 | 10 | 1 | 5 | 40:19 | 31 |
| მილანი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:12 | 30 |
| მეტალურგი | 16 | 8 | 5 | 3 | 26:15 | 29 |
| შუქურა | 16 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 27 |
| სამგურალი | 16 | 8 | 3 | 5 | 28:15 | 27 |
| ზუგდიდი | 16 | 7 | 3 | 6 | 26:26 | 24 |
| თორი | 16 | 7 | 2 | 7 | 16:14 | 23 |
| ხობი | 16 | 3 | 5 | 8 | 9:20 | 14 |
| ივერია | 16 | 3 | 3 | 10 | 10:28 | 12 |
| თბილისი | 16 | 3 | 1 | 12 | 7:28 | 10 |
| ოკეანე | 16 | 2 | 3 | 11 | 13:33 | 9 |

ზუგდიდი
18 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
300 (ტევადობა 7 500)

### ზუგდიდი 2:0 თბილისი

მეთხუთმეტე ტურის მატჩი
1:0 ჟოლბაია (39მ), 2:0 გოგიტაძე (64)
ზუგდიდი: ნაყოფია, ლურწკაია, ქითანავა, გვედენიძე, ჭურღულია, დანელია (გამსახურდია 46), ჟოლბაია (თორია 46), გოგიტაძე, ლ. ბუკია, ონიანი, კუტალია
სათადარიგონი: კვარაცხელია, დიდიძე
თბილისი: კუპატაძე (კოდალაევი 81), აბრამიშვილი, მახარაძე, ზ. ნიკურაძე, კაპანაძე, ა. დირცხალავა, გუშარაშვილი, ქუხილავა, მისაბიშვილი, გოგმაჩაძე, მანჭარაული
მსაჯები: ა. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ტ. კოკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისიდან)

საქართველოს 12 ჩემპიონატი
მეორე წრე
15 ტური

# წადით...
## დღეს კარგი ფეხბურთია!



პირველი წრის „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ 0:1: ლოკომოტიველი ვალერი აბრამიძე და ტორპედოელი დავით ჯანაშია

**დღეს** ნამდვილად ღირს ფეხბურთზე წასვლა. თბილად შეიმოსეთ და დაუფიქრებლად გასწიეთ სტადიონისკენ. რომელი თამაში უნდა აირჩიოთ? გემოვნების ამბავია, მეთხუთმეტე ტური ისეთია, რომ ექვსივე მატჩს თავისებური ინტრიგა და დაძაბულობა ახლავს.

დიდებულთა დუელია ქუთაისში. ჩემპიონი და თასის მფლობელი. მოვიდა დრო, უკეთესმა და ძლიერმა თავისი უპირატესობა სახალხოდ დაამტკიცოს.

„ეროვნულზე“ ძველი ბრწყინვალება ვიცე-ჩემპიონს მასპინძლობს. ორივე გუნდისთვის პრინციპული თამაშია, უკანდახევა და დანდობა არ იქნება.

„სიონი“ — „ბათუმი“. ორივე ექვსეულისთვის იბრძვის. მართალია, სტუმარი წინაა გაჭრილი, მაგრამ არა იმდენად, რომ მასპინძელი ვერ დაეწიოს.

არაერთი გორელი ესტუმრება დღეს რუსთავს და „გორდას“ წინააღმდეგ „დილას“ უგულშემატკივრებს. ამათთვის საუკეთესო ექვსეულში ადგილი აღარ დარჩა, ამიტომ გადასარჩენად დატორავენ ერთმანეთს.

„იბერია“ დღეს ეცდება, ერთი გამარჯვება მაინც მოიპოვოს. არეულია „მერანი“, გამარჯვება მონატრებია, თანაც ექვსეულში მოხვედრის შანსი ჯერაც არის და...

სიახლეა სტუდენტთა ბანაკში. ახალი მწვრთნელი დაუპირისპირდება კოლხ სტუმრებს. ფოთელებს კი მოგება სჭირდებათ, ბევრი ქულები ფანტეს ფილიას ბიჭებმა გუნდში მის მისვლამდე.

სასურველი მატჩი კიდევ არ შეგირჩევიათ? მაშინ ჩვენ მოგვენდეთ, წაბრძანდით ქუთაისში, ანაც დარჩით თბილისში, მეთხუთმეტე ტურს ხომ ორი ცენტრალური თამაში გამოარჩევს. ისე ბოლნისში, რუსთავში, მცხეთასა და ხაშურში წასვლითაც ბევრს არ წააგებთ.

ქუთაისურ სარბიელზე ქომაგის ნაკლებობას ვერ დაიჩემებენ ტორპედოელები და მათი მხარდაჭერით გამხნევებული ფეხბურთელებიც პირველი წუთებიდანვე შეუტევენ მეტოქეს.

გასული წლების სტატისტიკას თვალს თუ გადავავლებთ, მაშინ მასპინძელთა უპირატესობა აშკარაა, მაგრამ მეთერთმეტე გათამაშების პრინციპულ მატჩში „ლოკომოტივი“ ზეიმობდა გამარჯვებას. რკინიგზელებმა თასი წაართვეს „ტორპედოს“.

რიონისპირელებმა ჯავრი ასე იყარეს — საჩემპიონოდ შემართულ „ლოკომოტივს“ პირველ მატჩში „ეროვნულზე“ მოუგეს.

იმანაც ვერ დააცხრო რკინიგზელთა საჩემპიონო ამბიცია. ნელ-ნელა, კუდში მისდევდნენ დაწინაურებულ „ტორპედოს“, თავიანთ შანსს უცდიდნენ და ახლა „ლოკომოტივია“ პირველი.

ქუთაისელებმა უკან მოიტოვეს დროებითი ჩავარდნა. საშინაო მარცხს გაატანეს პრობლემები და ძველებურად ათამაშდნენ. ყიფიანს არავინ ჰყავს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული. საბრძოლო შემადგენლობა მოელის სტუმარს.

დანაკლისი არც „ლოკომოტივშია“, უძლიერესი შემადგენლობით მიდის ქუთაისში ძოძუაშვილი. თავადაც ქუთაისელია რკინიგზელთა თავკაცი და დიდი ხნის განშორების შემდეგ ეწვევა მშობლიურ რიონისპირს.

საქმე პროგნოზზე მიგვიდგა. რასაკვირველია, წაგება არც ერთს არ სურს, მოგებაზე აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს. ფრე სტუმართა წისქვილზე დაასხამს წყალს, პირველობას შეინარჩუნებს „ლოკომოტივი“. ვერაფრით შეეგუება ამას „ტორპედო“, შესაძლებლობაც მოსდევთ ქუთაისელებს და ამიტომაც მათ ვანიჭებთ მცირე უპირატესობას. თუმცა, არც მშვიდობიანი დასასრული გაგვიკვირდება.

პირველ წრეში ვიცე-ჩემპიონმა მოახერხა ათგზის ჩემპიონის წაქცევა. მაშინ აშკარად აჯობეს ვეტერინარებმა „დინამოს“. გამოხდა ხანი და არველაძემ გუნდის ათამაშება მოახერხა, ჰოდა, დღეს „დინამო“ ფავორიტია.

ორიოდ დღის წინ ცუდად ჰქონდა საქმე „ვიტ ჯორჯიას“. საჯაია, მუჯირი, ქორიძე ჰყავდა დისკვალიფიცირებული. „ეროვნულზე“ უამათოდ სტუმრობას კი აზრი ეკარგებოდა. ბოლო შანსს მიმართეს კლუბის ხელმძღვანელებმა, სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტს არ დაეთანხმნენ და ზემოთ ნახსენები ფეხბურთელების საქმე სააპელაციო კომიტეტის წევრებს გაარჩევინეს. სამართალმა პური ჭამა, დღეს სამივე ფეხბურთელი ითამაშებს.

ყოველგვარი პრობლემების გარეშე ესტუმრება „დინამოს“ „ვიტ ჯორჯია“. დისკვალიფიკაციის ვადა ყველა სასჯელმისჯილმა მოიხადა, ტრავმებისგან განიკურნენ მეკარე ჭურაძე და ნახევარმცველი ხაჭაპურიძე. დღეისთვის ხაჩიძეს 20 ჯანმრთელი ფეხბურთელი ჰყავს. ოცეულში „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი გიორგი ყიფიანიცაა, რომელიც საბოლოოდ დაბრუნდა კლუბში.

შემადგენლობის მხრივ პრობლემები არც „დინამოს“ აწუხებს. არველაძის გუნდი ბოლო დროს ალმაფრენით თამაშობს და თუ ისევ ისეთ ფორმაში არიან, მაშინ მეტად გაუჭირდებათ სტუმრებს.

„ვიტ ჯორჯია“ უბრძოლველად არაფრის დამთმობი არ არის, მაგრამ მაინც „დინამოს“ უპირატესობას ვიწინასწარმეტყველებთ.

„სიონი“ ძველებურად ცხოვრობს. ტრავმირებულები ჯერაც არ მოკეთებულან. ისევ თავდაუზოგავი ბრძოლით აპირებენ ბოლნისელები ფონს გასვლას.

„ბათუმი“ ბოლო დროს ვერ იყო ჯანზე, საშინაო მატჩი წააგო „ტორპედოსთან“ და ქუთაისელებსავე ემსხვერპლა სათასო ორთაბრძოლაში. ისე, ბალაძეს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს.

საკითხავია ხელს ვის აძლევს, თორემ ფრე ზედგამოჭრილი შედეგი იქნება ამ თამაშისთვის.

ახლა არ იყო, გორელებმა სათასო დუელი რომ მოუგეს რუსთაველებს? თუმც დიდ წარმატებად ამას არ მიიჩნევენ. სწორედ დღეს არის გადამწყვეტი თამაში, გამარჯვებული წელში გაიმართება, თავისუფლად გაიშლება მხრებში და ლიგიდან გავარდნის საშიშროებაც იმდენად აღარ შეაწუხებს.

„გორდამ“ გუშინ შეიმატა თავისი ყოფილი ფორვარდი არმაზ ჯელაძე, „დილა“ კი დისკვალიფიცირებულ კოტორაშვილს და დავით მაისურაძეს მოისაკლისებს. ვნახოთ, ვინ აჯობებს, ჩვენ კი პროგნოზად ფრეს შემოგთავაზებთ.

„მერანმა“ უნდა მოიგოს, თორემ ექვსეულიც განზე დარჩება და... სწორედ ამიტომ თქვა ოპერაციაზე უარი ფოცხვერიამ, გუნდის დანარჩენმა წევრებმაც დაივიწყეს მიკროტრავმები. აკაკი დევაძეც ფორმაშია და ისევ დამარცხდება, ალბათ, „იბერია“.

სოსო ფრუიძე ირაკლი სანიკიძეს ვერ ათამაშებს, გორში მუშტების ქნევამ მას და ვალერი კოტორაშვილს ოთხთამაშიანი ტაბუ დაადო. სხვა ყველაფერი ძველებურადაა, ამჯერად ხაშურში უმასპინძლებს „მერანს“ სამტრედიული „იბერია“.

უმაღლეს ლიგას უბრუნდება მერაბ კოჭლაშვილი. ამჯერად თსუ-ს უმწვრთნელებს გორის „დილასა“ და „მრეტების“ ყოფილი თავკაცი. თენგიზ კაცია კი წავიდა, თავისი ნებით გადადგა კაცი.

გაუჭირდება კოჭლაშვილის თსუ-ს. ვერ ითამაშებენ კვიციანი და ალადაშვილი. პირველს ბილწსიტყვაობა არ ეპატია, მსაჯმა წყალტუბოს „სამგურალთან“ სათასო მატჩში გააძევა, მეორემ კი იმავე თამაშში ტვინის შერყევა მიიღო. ორივე მცველია, ასე რომ, სტუდენტთა უკანა ხაზში დიდი პრობლემებია.

ორი საშინაო თამაში ვერ მოიგო „კოლხეთმა“. მათ შუა კი ძლივს გაიმარჯვა აუტსაიდერ „იბერიასთან“. ახლა ფოთელები გააფრთებით ეკვეთებიან თსუ-ს. ფილიას არავინ ჰყავს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული, ამიტომ ვამბობთ, რომ „კოლხეთმა“ უნდა მოიგოს.

ამის შემდეგ კიდევ ორი ტური და მერე დასვენებაც შეიძლება. 3 დეკემბრიდან 28 თებერვლამდე დიდი შუალედია. მეორე წრის ხუთი ტური გაზაფხულზე ჩამთავრდება.

**მამუკა ქვანტალიანი**

თბილისი. „ეროვნული“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### დინამო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი; ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### სიონი — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. კრიჟაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ხაშური. „გრიგოლ ჯომართიძე“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### იბერია — მერანი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებული: სანიკიძე (იბერია)

ქუთაისი. „ტორპედო“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### ტორპედო — ლოკომოტივი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში); ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

მცხეთა. „არმაზი“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### თსუ — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, ზ. ჯგარიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: კვიციანი (თსუ)

რუსთავი. „ფოლადი“. 25 ნოემბერი. 15 საათი

### გორდა — დილა

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ვ. ელოევი (ცხინვალი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: დ. მაისურაძე, კოტორაშვილი (დილა)



პირველი წრის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 1:0: ვიტელი ლევან მელქაძე დინამოელ რევაზ ქემოკლიძეს და გიორგი შაშიაშვილს (შუაში) გაურბის

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 14 | 12 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 36 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:3 | 15 | 18 | 7 | 6 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 23:5 | 18 | 35 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 12 | 19 |
| 3 დინამო | 14 | 10 | 1 | 3 | 35:13 | 22 | 31 | 7 | 6 | 0 | 1 | 24:6 | 18 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 13 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 4 | 2 | 21:7 | 14 | 28 | 7 | 5 | 0 | 2 | 7:2 | 5 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 9 | 13 |
| 5 კოლხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:14 | 0 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | -3 | 6 |
| 6 ბათუმი | 14 | 6 | 1 | 7 | 17:18 | -1 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 13:7 | 6 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 7 სიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:21 | -10 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:14 | -10 | 7 |
| 8 მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:17 | -5 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 9 თსუ | 14 | 4 | 1 | 9 | 15:27 | -12 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 10 დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 9:22 | -13 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | -10 | 4 |
| 11 გორდა | 14 | 2 | 6 | 6 | 10:20 | -10 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | -11 | 3 |
| 12 იბერია | 14 | 0 | 1 | 13 | 3:29 | -26 | 1 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:15 | -14 | 1 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | -12 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 9 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| 5 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ღუღუნავა | თსუ |
| გიორგი ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| გაბელია | დინამო |
| გ. მ. მიქაძე | დინამო |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. C ჯგუფი

### სპარტაკი 4:1 არსენალი

0:1 სილვინიო (2), 1:1, 2:1 მარკაო (29, 51), 3:1 ტიტოვი (77), 4:1 რობსონი (82)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო (ბუშმანოვი 88), ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, პარფიონოვი, ბეზროდნი, მარკაო, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
არსენალი: მანინგერი, ლუჟნი, ადამსი, კიოუნი, სილვინიო, პარლოუ, ლიუნგბერგი, პირესი (ლორენი 70), ვიეასი, კანუ (ვილტორდი 66), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
70 000 მაყურებელი

მოსკოვის „სპარტაკს" წლევანდელ ლიგაში ყველა საშინაო მატჩი მოეგო და ტრადიცია არც „არსენალთან" დაარღვია, თუმცა დასაწყისი ლონდონელებისა იყო და მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, ეგებ ანგარიში საპირისპიროც ყოფილიყო. მეთოფეთა პირველივე შეტევა კინაღამ გოლით დამთავრდა — ანრი ჩუისეს გაექცა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. წუთიც არ გასულა, რომ ანრი ისევ დაუსხლტა ჩუისეს და ბრაზილიელი სილვინიო მეკარე ფილიმონოვს შეატოვა — 1:0.

სტუმრები ისევ უტევდნენ და მალე იმავე ანრის მონდომებით კიდევ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ ივარგეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. მოსკოველებმა ნელ-ნელა თამაში დაალაგეს და ნახევარი საათი რომ გავიდა, ანგარიშიც გაათანაბრეს. გოლი ბრაზილიელმა მარკაომ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არსენალმა" ისევ გაილაღა. ერთხელ მასპინძელთა კარი ძელმა იხსნა, შემდეგ სილვინიოს არ გაუმართლა, 51-ე წუთზე კი „სპარტაკის" მრავალსვლიანი კომბინაცია გოლით დამთავრდა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად მაშინ გადაწყდა — ტიტოვი-ჩუისე-რობსონი-მარკაოს კომბინაცია ზუსტი დარტყმით დამთავრდა. მალევე მარკაომ ტიტოვი მეკარე მანინგერთან პირისპირ გაიყვანა და 3:1. ხუთ წუთში კი რობსონმა მეოთხე შეაგდო და საქმეც ამით დამთავრდა.

„ცუდი დასაწყისის მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით — თქვა მატჩის შემდეგ მოსკოველთა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — ჩემს ფეხბურთელებს ამოცანა კარგად გაეთავისებინათ და მოედნის ყოველი სანტიმეტრისთვის იბრძოდნენ. შედეგით კი უკმაყოფილო ვარ. არ ვიცი, „არსენალისთვის" როგორაა, მაგრამ ჩვენთვის მინდვრის ხარისხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.


REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — არსენალი 4:1. მოსკოველი მარკაო და ლონდონელი კიოუნი (№5)

სტადიონის მუშაკებს ვერაფერს ვუსაყვედურებ, რაც შეეძლოთ, გააკეთეს, მაგრამ ეს პრობლემას არ წყვეტს.

რა ვთქვა, ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ. მარკაოზე კი გეტყვით, რომ ორი გატანილი გოლის მიუხედავად, მისი მდგომარეობით კმაყოფილნი მაინც არ ვართ და ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა ჩვენთან. ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, სხვაგვარად „სპარტაკის" დონეს ვერ დააკმაყოფილებს".

„სპარტაკს" თამაში გამოუვიდა — განაცხადა მეთოფეთა დამრიგებელმა არსენ ვენგერმა — მატჩი ჩვენთვის იღბლიანად დაიწყო და საერთოდ, პირველ ტაიმში უკეთ ვირჯებოდით. კიდევ უნდა გაგვეტანა, მაგრამ არ გაგვიმართლა. „სპარტაკმა" კი მაშინ შეგვიგდო, როცა არ ველოდით. მეორე ნახევარში გუნდურ თამაშში გაგვიჩნდა პრობლემები, ფიზიკურადაც მოვიკოჭლებდით".

ეგორ ტიტოვი, „სპარტაკის" ნახევარმცველი: „განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია, უბრალოდ ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ. თავიდანვე მჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით, თუმცა ასეთ ანგარიშს ნამდვილად არ ველოდი. ვიცით, რომ „არსენალის" მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა. მათ ყველაფერში ვაჯობეთ და გამოდის, თასისთვის ბრძოლა ჩვენც შეგვიძლია".

მარტინ კიოუნი, „არსენალის" მცველი: „ძალიან კარგ გუნდთან წავაგეთ. მოსკოვში „სპარტაკთან" თამაში რთულია. აქ ცოტას თუ მოუგია".

### ბაიერნი 1:0 ლიონი

1:0 იერემისი (55)
ბაიერნი: კანი, ლინკე, კუფური, სფორცა, ტარნატი (ლიზარაზუ 75), იერემისი, ფინკი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ციკლერი, ელბერი (იანკერი 84)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ბრეშე, ლეგლი, ლინარესი (მალბრანკი 75), ვიოლო (ვერელი 75), მიულერი, ფოე, ს. ანდერსონი, მარლე (გოვუ 84)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
18 000 მაყურებელი

მიუნხენელებს უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც, მაგრამ მათი თამაშის ხარისხი ნამდვილად შორსაა კარგისგან. შემდეგი მატჩი ბავარიელებს ლონდონში უწევთ „არსენალთან" და თუ ასევე გაისარჯნენ, ნამდვილად წააგებენ.

პირველი ტაიმი მოსაწყენი გამოდგა. საგოლე სიტუაციები თითქმის არ შექმნილა. მეორე ნახევარში მასპინძლები ოდნავ გამოფხიზლდნენ. მალე პაულო სერჟიო გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კუპემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. 55-ე წუთზე ეფენბერგის ჩაწოდებულს იერემისმა მძლავრი თავური შეაგება და ანგარიშიც გაიხსნა. ამ უპირატესობამ მასპინძლები კიდევ უფრო გაააქტიურა. ორჯერ ციკლერს, ერთხელაც ელბერს მართებდათ გატანა, მაგრამ გოლი აღარ გასულა.

„ბოლო დროს ჩვენი გუნდი მძლავრი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყო, ამიტომ გამარჯვება ორმაგად გამიხარდა — თქვა ბავარიელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — მაგრამ თავდამსხმელებს უკეთ თამაში მართებთ. ისიც სათქმელია, რომ ტაქტიკაში სიახლეებს ვნერგავთ და მის დახვეწას დრო სჭირდება".

ჟაკ სანტინი, „ლიონის" მთავარი მწვრთნელი: „თუ მატჩს მათემატიკური თვალსაზრისით შევხედავთ, სამართლიანად წავაგეთ. თუმცა ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლაც ძალგვიძს. მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ „ბაიერნის" სისუსტე ვერ გამოვიყენეთ — დაცვის ფრთები საკმარისად ვერ შევაწუხეთ".

**სოლომონ გულისაშვილი**

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტაკი | | 21.02 | 14.03 | 4:1 | 4:1 | 3 |
| 2 | ბაიერნი | 13.02 | | 1:0 | 14.03 | 1:0 | 3 |
| 3 | ლიონი | 5.12 | 6.03 | | 13.02 | 0:1 | 0 |
| 4 | არსენალი | 6.03 | 5.12 | 21.02 | | 1:4 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. D ჯგუფი

### ლიდსი 0:2 რეალი

0:1 იერო (66), 0:2 რაული (68)
ლიდსი: რობინსონი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბოიერი, მილსი, ბარნსი (უილკოქსი 60), მატეო, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
რეალი: კასილიასი, კამპო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ჯერემი, მაკელელე, გუტი (მუნიტისი 89), მაკმანამანი, ფიგუ (სავიო 84), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
36 794 მაყურებელი

ამაზე მეტი გუნდს რაღა უნდა მოვთხოვო, ეს თითქმის იდეალური თამაში იყო — მადრიდის „რეალის" მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, როგორც ხედავთ, უაღრესად კმაყოფილი გახლდათ.

მართლაც, ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ელანდ როუდზე" ყოველგვარი ეჭვები გააქარწყლა და დამსახურებულად მოიგო. მხოლოდ პირველი ტაიმის ერთი მცირე მონაკვეთი იყო, როცა მასპინძლებს ანგარიშის გახსნის საშუალება მიეცათ (ვუდგეიტის თავური კასილიასმა გაჭირვებით მოიგერია), დანარჩენი დრო მადრიდელების კლასის ჩვენებას მოხმარდა.

განსაკუთრებით მოედნის ცენტრში იგრძნობოდა სტუმართა უპირატესობა და ეს ძირითადად სტივ მაკმანამანის დამსახურება გახლდათ. ექს-ლივერპულელს მართლაც რომ ყველაზე კარგად ნაცნობ სტადიონებზე თამაში გამოსდის (გაიხსენეთ გასული მარტის „მანჩესტერი" — „რეალი"). „მაკამუზარმაზარი სამუშაო შეასრულა და ნახევარდაცვაში უპირატესობა სწორედ ამის წყალობით მოვიპოვეთ. მისი დღევანდელი თამაშით აღფრთოვანებული ვარ" — ეს იმ დელ ბოსკეს სიტყვებია, სეზონის წინ ინგლისელს გაყიდვას რომ უპირებდა. ამას ისიც დაერთო, რომ მასპინძლებს სწორედ ნახევარდაცვაში აკლდათ ორი ძირითადი მოთამაშე — ნორვეგიელი ერიკ ბაკე და ფრანგი ოლივიე დაკური. დევიდ ოლირიმ ამიტომაც დაიჩივლა, „რეალი" ის გუნდია, მხოლოდ უძლიერესი შემადგენლობით რომ შეიძლება დამარცხებაო.

ასეა თუ ისე, „ლიდსმა" პირველი ეტაპის დარად მეორეც ესპანურ გუნდთან მარცხით დაიწყო — მეორე ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ორჯერ შეაგდეს. ჯერ ფიგუს მარჯვნიდან ჩაწოდებულს ვეტერანმა იერომ უთავა, მერე კი მაკმანამან-გუტი-რაულის სამშვენებიან კომბინაციამ გამოიღო შედეგი.

მატჩის მერე „რეალის" ქება-დიდება არც მასპინძლებს უთაკილიათ, თუმცა ლიდსელთა სამხრეთაფრიკელმა მცველმა, 31 წლის ლუკას რადებემ არც ფიგუს გაკრიტიკება დაივიწყა: „სხვაგვარად არ გამიგოთ: ფიგუ უდიდესი ფეხბურთელია, „რეალი" კი ყველაზე ძლიერი გუნდი, ვისთანაც ამ ბოლოს ხანს გვითამაშია, მაგრამ პორტუგალიელზე რომ არ ვთქვა, არ შეიძლება — ის ხშირად ცრუობს. მთელი თამაში იმის შიში მქონდა, მისი აფერისტობა მსაჯს შეუმჩნეველი არ დარჩენოდა და პენალტით არ დავესაჯეთ. ორჯერ ისე დაეცა, საერთოდ არ შევხებივარ. პირველად ამისთვის ყვითელი ბარათიც კი მიიღო, მერე კი, როგორც ჩანს, მსაჯს მოერიდა და აღარ დასაჯა. ცხადია, ფიგუს ავტორიტეტი ყველაზე მოქმედებს, მაგრამ თუ არბიტრებმა ამგვარი სიმულაციების წინააღმდეგ უფრო მკაცრად არ გაილაშქრეს, საქმე ცუდად წავა".

### ანდერლეხტი 1:0 ლაციო

1:0 რაძინსკი (85)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, ილიჩი, დოლი, დეედენი, გოორი, ბასეჯიო, სტოიკა, ჰასი, კოლერი, რაძინსკი (ვან დიემენი 90)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, სტანკოვიჩი, სიმეონე, ნედვედი, ლომბარდო (ბარონიო 62), კრესპო (რავანელი 62), სალასი (ს. ინძაგი 78)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაძევება: სტანკოვიჩი (90)
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
21 631 მაყურებელი

თამაშის მიწურულს ისე ჩანდა, იტალიის ჩემპიონი ფრითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ ვინ მიართვა? კანადელმა ტომაშ რაძინსკიმ დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ანჯელო პერუცის კარი აიღო და ჩემპიონთა ლიგაში გატანილი მეხუთე გოლით „ანდერლეხტის" წარმატებული სერია გააგრძელა.

„საოცნებო შედეგს მივაღწიეთ და რაც მთავარია, იმაზე უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე თვით „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგებულ მატჩში" — ხარობდა ბელგიელთა ჩეხი ფორვარდი იან კოლერი. „ნამდვილად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ეს ჩვენი საღამო იყო" — ეს „ანდერლეხტის" მწვრთნელის ემე ანტუნესის სიტყვებია. „დიდებული სტარტი ავიღეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, თუ რა შეგვიძლია" — თქვა ნახევარმცველმა ვალტერ ბასეჯიომ, რომლის დაუღლელი თამაშის წყალობითაც იქმნებოდა სახიფათო მომენტები რომაელთა კართან, ბარტ გოორმა კი მომავალი მეტოქე გააფრთხილა: „იცოდეს „რეალმა", რომ ჩვენ მოვდივართ".


REUTERS ლიდსიდან

„რეალმა" ანგარიში გახსნა: ელგერა, გოლის ავტორი იერო, მაკმანამანი და ჯერემი

ბრიუსელელებს არც გაემტყუნებათ: ყველასთვის მოულოდნელად პირველ ეტაპზე პირველ ადგილზე გასულებმა მორიგი „სიკვდილის ჯგუფიც" წარმატებით გახსნეს და ერთ-ერთი ფავორიტი დაამარცხეს. სტუმართა კარის დალაშქვრა გოლამდეც არაერთხელ შეეძლოთ, დაცვაში კი მომხვდურ სალასსა და კრესპოს გასაოცრად იოლად უსწორდებოდნენ. მხოლოდ ერთხელ, 29-ე წუთზე შეეძლოთ რომაელებს ბედის უკუღმართობაზე კრიტის დაძვრა, როცა სინიშა მიხაილოვიჩის საფირმო საჯარიმოდან დარტყმულმა ბურთმა 35 მეტრი იფრინა, ბადეში შევარდნას კი ძელთან შეჯახება არჩია.

საპირისპირო კართან კი გაცილებით მეტი მომენტი შეიქმნა. მარტო კოლერს სამჯერ შეეძლო პერუცის დალონება, მაგრამ ინგლისის ნაკრების მომავალი მწვრთნელის ახლანდელი გუნდი 85-ე წუთამდე გაჯიუტდა. აქ კი...

ორი სიტყვა მეკარე ფილიპ დე ვილდეზეც — „ლაციოსთან" მატჩი ევროთასებზე მისთვის 68-ე იყო, რითაც გოლკიპერი აქამდე კლუბის რეკორდსმენს, ნახევარმცველ ფრენკი ვერკოტერენს გაუტოლდა. საჩუქარი? კარის მშრალად შენახვაზე უკეთესი, აბა რა უნდა ყოფილიყო.

**გიგა კობახიძე**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 5.12 | 13.02 | 6.03 | 2:0 | 3 |
| 2 | ანდერლეხტი | 14.03 | | 1:0 | 21.02 | 1:0 | 3 |
| 3 | ლაციო | 21.02 | 6.03 | | 5.12 | 0:1 | 0 |
| 4 | ლიდსი | 0:2 | 13.02 | 14.03 | | 0:2 | 0 |

## უეფას თასი. 1/16 ფინალი.
პირველი მატჩები. 21-23 ნოემბერი

UEFA CUP

### ესპანიოლი (ესპანეთი) 0:2 პორტუ (პორტუგალია)
0:1 დრულოვიჩი (47), 0:2 პენა (72)
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, სოლდევილა (სერანო 76), პოჩეტინიო, ტოლედო, სერხიო, გალკა, მაურო ნავასი (ველამასანი 62), არტეაგა, მარტინ პოსე (ოსკარი 62), ტამუდო
პორტუ: ოვჩინიკოვი, ნელსონი, ალოიზიო, ჟორჟე კოშტა, ესკურდინია, პარედესი, დეკო სოუზა (პაულინიუ სანტუში 85), შაინიუ, კანდიდუ კოშტა (ნუნუ კაპუშუ 47), პენა (პიცი 88), დრულოვიჩი
მსაჯი: კირილ ვასარასი (საბერძნეთი)

### ლოკომოტივი (რუსეთი) 0:0 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დრონზდოვი, ევსეევი (ლავრიკი 86), ჩერევჩენკო, ჩუგაინოვი, სარქისიანი (მამინოვი 55), სენნიკოვი, ჯანაშია (ტერიოხინი 65), ხარლაჩევი, ბულიკინი
რაიო ვალეკანო: კელერი, ალკასარი (ბოლო 46), ბალესტეროსი, დე კინტანა, მინგო, პოშნერი, მიჩელი (სეტვალსი 87), კვედო, ბოლიჩი (ივან იგლესიასი 76), მაურო, პაბლო სანსი
მსაჯი: ლუკ ჰუიგე (ბელგია)

### ბორდო (საფრანგეთი) 4:1 ვერდერი (გერმანია)
0:1 პიზარო (15), 1:1 დიუგარი (20), 2:1 ბატლე (40), 3:1, 4:1 ვილმოტსი (66, 76)
ბორდო: რამე, გრენე, როში, სომილი, ბონისელი (ბასტო 72), ვილმოტსი, ლეგვინსკი, აფანუ, ბატლე (ბუნე 85), ლასლანდი, დიუგარი (სმერტინი 46)
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, ბაუმანი, აილტსი, კრისტაიჩი, ერნსტი, ვიკი, ჰერცოგი (მაქსიმოვი 85), სტალტერი, ბოდე, პიზარო
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### რომა (იტალია) 1:0 ჰამბურგი (გერმანია)
1:0 გიუგო (33)
რომა: ლუპატელი, ძებინა, ალდაირი, სამუელი, კაფუ, ტომაზი, გიუგო (კ. ძანეტი 75), კანდელა, ნაკატა, მონტელა (ტოტი 79), დელვეკიო (ბალბო 79)
ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, სანდმანი, კინცი, ტოფტინგი, მაჰდავიკია (ჰაინცი 64), იებოა (ბარბარესი 73), პრეგერი, კეტელაერი (ილმაზი 46)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

### ბრიუგე (ბელგია) 0:2 ბარსელონა (ესპანეთი)
0:1 რივალდო (24), 0:2 კლუივერტი (31)
ბრიუგე: ნემეცი, დე კოკი, დე ბრული, ლემბი (ლესნიაკი 71), ვან დერ ჰიდენი, ენგელბერტი, ვერმანტი (სმოლდერსი 79), საიმონსი, ვერჰეიენი, მენდოსა, მარტენსი (იანსენი 63)
ბარსელონა: არნაუ (დუტრუელი 64), რაიციგერი, ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი, ხავი (პეტი 61), კოკუ, ოვერმარსი (სიმაო 75), ხერარდი, რივალდო, კლუივერტი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

### ალავესი (ესპანეთი) 1:1 რუსენბორგი (ნორვეგია)
1:0 ხავი მორენო (56), 1:1 ფ. იონსენი (80)
ალავესი: ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიეჩა, ჯელი, ასტუდილიო, დესიო, კრუიფი (ტომიჩი 59), იბონ ბეგონია (მაგნო 59), ხავი მორენო, ივან ალონსო
რუსენბორგი: არასონი, ბასმა (ჯნუტსენი 62), ბ. იონსენი, ჰოფტუნი, სტენსაასი, ვინსნესი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, ჯორჯი, ფ. იონსენი
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)

### ფეიენოორდი (ჰოლანდია) 2:2 შტუტგარტი (გერმანია)
1:0 ტომასონი (10), 1:1 დანდი (36), 2:1 ლეონარდო (45), 2:2 განია (75)
ფეიენოორდი: დუდეკი, ემერტონი, დე ჰაანი, ვან გობელი, ტინინიო, ბოსველტი, პაუვე, ლეონარდო, ვან ფოსენი (იოკემსენი 58), კალუ, ტომასონი (შმოლარეკი 73)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, ბორდონი, ტიამი, ტ. შნაიდერი (ენდრესი 28), პინტუ, სოლდო, ლისტეში (განია 64), გერბერი, კარნელი, დანდი (გლები 79)
მსაჯი: მენუტო გონსალესი (ესპანეთი)

### ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:2 ლივერპული (ინგლისი)
0:1 ბარმბი (38), 1:1 ალექსანდრისი (64), 1:2 ჯერარდი (67), 2:2 ალექსანდრისი (90)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ანატოლაკისი, კონტისი, ამანატიდისი, მავროგენიდისი (იანაკოპულოსი 58), პაცატოღლუ, პურსანიდისი (ლუსიანო 46), ჯორჯევიჩი, ზეტერბერგი (გეორგატოსი 73), ალექსანდრისი, ჯოვანი
ლივერპული: ვესტერფელდი, ბაბელი, ჰიიპია, ჰამანი, ტრაორე (სტონტონი 46), მერფი, ჯერარდი, ბარმბი, კარაგერი, ჰესკი, ოუენი (შმიცერი 65)
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

### ნანტი (საფრანგეთი) 4:3 ლოზანა (შვეიცარია)
1:0 მოლდოვანი (10), 1:1 კუცბა (40პ), 2:1 მონტერუბიო (43), 2:2 მაცონი (53), 2:3 კუცბა (69), 3:3 პუჩე (73ს.კ.), 4:3 ჟილე (86)
ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ჟილე, ფაბრი, არმანი, ზიანი, ოლემბე, კარიერი, მოლდოვანი (აჰამადა 87), და როშა, მონტერუბიო (ვაირუა 46)
ლოზანა: რაპო, მაიერი, მაცონი, ბაუდრი, სანტინი, კუცბა (ტაეუ 83), პუჩე, ზამბაზე, ლომბარდო, კარლენი, ელბიკი
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

### პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 3:0 პაოკ (საბერძნეთი)
1:0 ბრუგინკი (4), 2:0, 3:0 კეჟმანი (15, 44)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი (ფაბერი 66), ნიკიფოროვი, დირქსი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი (ლუსიუსი 78), კეჟმანი, ბრუგინკი, კოლკა, რომედალი (ვან დერ დულენი 85)
პაოკ: თოპუროღლუ, მპორმპოკისი (კაფესი 33), უდეზე, ამონსა, ვენეტიდისი, ბრანტიჩი, კულაკიოტისი, კამპსი, ოკასი (გეორგიადისი 46), ნალიცისი (კოსკარდისი 78), პ. კონსტანტინიდისი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)

### ლევერკუზენი (გერმანია) 4:4 აეკ (საბერძნეთი)
0:1 ლაკისი (5), 1:1, 2:1 კირსტენი (25, 42), 2:2 ნავასი (46), 3:2 კოვაჩი (48), 3:3 ცარტასი (55პ), 3:4 ნავასი (79), 4:4 რამელო (90)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ოჯიგვე, ზე რობერტო, პონტე (ბ. შნაიდერი 46), კირსტენი (ბრდარიჩი 66), რინკი, ნოივილი
აეკ: ატმაციდისი, კაპსისი, კოსტენოღლუ, კასაპისი, ზიკოსი, ლაკისი, ცარტასი (ს. კონსტანტინიდისი 90), რამოსი, ნავასი, ნიკოლაიდისი (სავევსკი 85), რუისი (კოპიცისი 78)
მსაჯი: ტერი პაუგე (ნორვეგია)

### შახტარი (უკრაინა) 0:0 სელტა (ესპანეთი)
შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, ვორობეი, ბიელიკი (სავუ 82), აბრამოვი (ალიუტა 69), ოკორონკვო
სელტა: კავალიერო, კასერესი, ჯოვანელა, კარპინი, გუსტავო ლოპესი (ტომასი 89), გარსია, გვიდონი, კოირა, იაგო, ენრიკე (პაბლო 62), მაკკარტი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

### პარმა (იტალია) 2:2 მიუნხენ 1860 (გერმანია)
1:0 აპია (2), 2:0 მიკუ (11), 2:1 ტაისი (79), 2:2 ბაიერლე (90)
პარმა: ბუფონი, ბენარივო, ტორიზი, კანავარო, ჟუნიორი, ალმეიდა, აპია, ბოლანო (ლამუში 56), ფუზერი (სერჟიუ კონსეისაუ 46), მიკუ, მონტანო (ტურამი 71)
მიუნხენ 1860: იენჩი, შტრანცლი, ზელიჩი, კურცი, პ. ჩერნი, ბორიმიროვი, ბაიროფკა, ტაისი, ჰესლერი (პასლაკი 90), აგოსტინო, ბაიერლე
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

### ოსიეკი (ხორვატია) 2:0 სლავია (ჩეხეთი)
1:0 ტურკოვიჩი (33), 2:0 ნერეტლიაკი (82)
ოსიეკი: ბალიჩი, ბელიანი, ვუიცა, ნერეტლიაკი, გასპარი (ბრკიჩი 64), გრნია, ერგოვიჩი, ბიელიცა, ბასირევიჩი, პრიშჩი, ტურკოვიჩი (მიტუ 66)
სლავია: რ. ჩერნი, რადა, პეტროუში, ლ. დოშეკი, სკალა, ულიხი, ლერხი, ნეკაში, ზელენკა (სვანკრარა 74), ტ. დოშეკი (კოლერი 87), კუჩერა

### ჰერტა (გერმანია) 0:0 ინტერი (იტალია)
ჰერტა: კირალი, რემერი, შმიდტი, ვან ბურიკი, დაისლერი (როი 74), დარდაი, ვოში (სვერისონი 64), ტრეჩოკი, ჰარტმანი, დაეი, პრეეცი
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, კორდობა, მაჩელარი, ჩირილო (სიმიჩი 75), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (კოე 46), ფარინოსი, რეკობა, ჰაქან შუქური (ვიერი 52)
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)

### რეინჯერსი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
გაიმართება 30 ნოემბერს



REUTERS რომიდან

რომა — ჰამბურგი 1:0. რომაელი ვინჩენცო მონტელა (ნახტომში) და ჰამბურგელი ნიკო იან ჰოოგმა

ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ დახვედრას მოუწყობდნენ კატალონიელი ქომაგები „ბარსელონას“, „ბრიუგეს“ პერუელი ფორვარდი ანდრეს მენდოსა ასეთი უიღბლო რომ არ ყოფილიყო — მან სამჯერ გაარტყა ხარიხას. თუმცა ოდნავ არაზუსტი დარტყმების თვლა შორს წაგვიყვანს და ჯობს გოლები დავითვალოთ.

მასპინძლები პირველად რივალდომ დაამწუხრა. ბრაზილიელმა მარკ ოვერმარსისგან მიიღო პასი და მეკარე დეიან ნემეცს არცთუ ძლიერად დაურტყა. და რას აკეთებდნენ ამ დროს ბრიუგელი მცველები? იდგნენ და უყურებდნენ, რივალდოსთვის გზის გადაღობვა არც უცდიათ. ამ გოლიდან 7 წუთში პატრიკ კლუივერტმაც იხეირა — ფრანკ დე ბურის საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

მატჩის შედეგმა, რომელსაც ფილიპ კოკუმ მეტად კარგი და მნიშვნელოვანი უწოდა, „ბრიუგეს“ ნორვეგიელი მწვრთნელი ტრონდ სოლიდი გულდაწყვეტილი დატოვა. მან მენდოსას ხარიხები გაიხსენა და სინანულით თქვა, უკეთესი შედეგისთვის უნდა მიგვეღწიაო. თუმცა იმავე სოლიდის სიტყვებით, „ბარსელონას“ გამარჯვების ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: ერთი, რომ კატალონიელ ფეხბურთელთა საერთო ღირებულება 14-ჯერ აღემატება ბრიუგელთა ფასს და მეორე, „ბრიუგეს“ ბელგიაში ღირსეული მეტოქეები არ ჰყავს, რის გამოც ძლიერ ევროპულ გუნდებთან გამკლავება უჭირს. და კიდევ — „ბრიუგეს“ თავის ჩემპიონატში ზედიზედ 13 თამაში აქვს მოგებული, ბარსელონელები კი მინდორზე შავი სამკლავურებით გავიდნენ, რითაც პატივი მიაგეს რამდენიმე დღის წინ ბასკი ტერორისტების მიერ მოკლული ესპანეთის მთავრობის ყოფილი მინისტრის ხსოვნას.

პირეოსში „ოლიმპიაკოსთან“ ფრე თავისთავად ცუდი შედეგი არაა, მაგრამ თამაშის მიხედვით „ლივერპული“ გამარჯვებას იმსახურებდა. ამასვე ამბობს ინგლისელთა მწვრთნელი ჟერარ ულიეე: „ბიჭები გულმოკლულები არიან. მეტოქეს ყველანაირად ვჯობდით და უამრავი კარგი მომენტიც გვქონდა, ბერძნებმა კი სულ ორჯერ შეგვიტიეს და ორივეჯერ გაგვიტანეს“.

ანგარიში ნიკ ბარმბიმ გახსნა — დენი მერფიმ ემილ ჰესკის ჩააწოდა, ამ უკანასკნელის თავური კი ბარმბიმ მიიღო და შეაგდო. ბერძნებმა 64-ე წუთზე შეძლეს გათანაბრება, თუმცა სიხარული არ დასცალდათ — სამიოდე წუთში ბარმბის კუთხური სტივენ ჯერარდმა გამოიყენა. ლივერპულელები კიდევ ორჯერ იყვნენ მიზანთან ძალიან ახლოს — სტივ სტონტონმა და ვლადიმირ შმიცერმა ძელს გაარტყეს ბურთი და როცა თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, სწორედ მაშინ გაათანაბრა მეორედ ალექსიოს ალექსანდრისმა.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმაც ორჯერ გაარტყეს ძელს — ჯერ ევგენი ხარლაჩოვმა, შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე კი იგორ ჩერევჩენკომ. სხვა მხრივ, თამაში არაფრით ყოფილა გამორჩეული, რადგან არათუ ესპანელებს, თოთხმეტგრადუსიან ყინვაში თამაში რუსებსაც უჭირდათ.

ყინავდა დონეცკშიც, მაგრამ იქაური ქომაგები ამინდის ჭირვეულობამ ვერ შეაშინა და ტრიბუნები ბოლომდე შეავსეს. მოსკოვური მატჩის მსგავსად, არც დონეცკში შეუქმნიათ გუნდებს ბევრი მომენტი. სელტელი ხუან გარსია შეხვედრის დასაწყისშივე მეკარე იური ვირტის პირისპირ გავიდა, მაგრამ შეუყოყმანდა და ბურთი დაკარგა. მატჩის მიწურულს ვირტმა ბენი მაკკარტის აულო სახიფათოდ დარტყმული ბურთი, ხოლო იქამდე დონეცკელთა ბომბარდირმა ანდრეი ვორობეიმ ააცილა ახლო მანძილიდან. მეტი კარგი მომენტი არც ყოფილა.

პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერმა „პორტუმ“ ბარსელონაში „ესპანიოლი“ დაამარცხა. პირველი ტაიმი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. ისინი ხშირად უტევდნენ, თუმცა პორტუელთა ორგანიზებული დაცვის გარღვევა უჭირდათ. „ესპანიოლს“ გოლის გატანის ერთი ძალიან კარგი შანსი ჰქონდა, როცა მარტინ პოსეს დარტყმული მეკარე სერგეი ოვჩინიკოვმა მოიგერია და ჟორჟე კოშტამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. სიტუაცია შესვენების დასრულებისთანავე გატანილმა გოლმა შეცვალა — „პორტუს“ იუგოსლავიელმა ლუბინკო დრულოვიჩმა ტონი სოლდევილას შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მოგვიანებით პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ბრაზილიელმა პენამ მეორეც შეაგდო და საპასუხო მატჩის წინ „პორტუ“ აშკარა ფავორიტად იქცა.

ახლა გერმანულ გუნდებზე ვთქვათ. უეფას თასის მესამე ეტაპზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი ამ ქვეყანას ჰყავს — შვიდი (!). ექვსმა ამ კვირაში ითამაშა. დიდი შანსია, მათგან მერვედფინალში ნახევარიც ვერ გავიდეს. ამის თქმის საბაბს პირველი მატჩების შედეგები გვაძლევს: ერთმაც ვერ მოიგო.

„ჰერტა“-„ინტერი“ რომ 0:0 მორჩა, ოთხშაბათის „სარბიელშიც“ ვწერდით. ასევე ფრედ ითამაშეს „მიუნხენ 1860“-მა, „ლევერკუზენმა“ და „შტუტგარტმა“.

მიუნხენელები იტალიურ „პარმას“ სტუმრობდნენ. თამაში წუთისა და თხუთმეტი წამის დაწყებული იყო, ანგარიში რომ გაიხსნა: მასპინძელმა აპიამ შტრანცლს ბურთი წაართვა და 18 მეტრიდან გაიტანა. ათი წუთიც არ გასულა, რომ ზელიჩმა ბურთი თავის მეკარეს დაუბრუნა, მაგრამ ეს ისე გააკეთა, ფრანგ მიკუს პასის ჩაჭრა და სხვაობის გაზრდა არ გასჭირვებია. „მიუნხენი“ შოკში იყო, „პარმა“ კი პირიქით, ხასიათზე მოვიდა და დიდი უპირატესობაც ჩაიგდო ხელში. ასე 37-ე წუთამდე გაგრძელდა, მერე კი სტუმრებიც გონს მოვიდნენ და...

ამის მერე მომენტები ძირითადად „პარმას“ კართან იქმნებოდა. ბუფონს რამდენჯერმე მოუხდა თავის გამოჩენა, ორჯერ იტალიელები ძელმაც იხსნა, აი, მატჩის ბოლოს კი ველარაფერმა უშველათ. 78-ე წუთზე ტაისმა ითამაშა კარგად, საჯარიმოში შესულმა ორი მცველი ჩამოიშორა და ბუფონს მარცხენა კუთხეში გაუტანა, ათ წუთში კი ბორიმიროვის ჩაწოდებულს ბაიერლე დაუხვდა და ფრეც გამოცხვა.

„საპასუხო შეხვედრაშიც თუ ისე ვითამაშებთ, როგორც დღეს მეორე ტაიმში, მაშინ „პარმა“ გემრიელი ლუკმა იქნება“ — თქვა მიუნხენელთა თავკაცმა ვერნერ ლორანტმა ნამატჩევს.

ასევე 2:2 დასრულდა თამაში როტერდამში, სადაც „ფეიენოორდი“ „შტუტგარტს“ მასპინძლობდა. ჰოლანდიელები ორჯერ იგებდნენ ტომასონისა და 17 წლის ლეონარდოს გოლებით, მაგრამ დანდიმ და განეამ ანგარიშის შენარჩუნების საშუალება არ მისცეს.

თამაშის წინ გერმანული კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის ლიდერი ბალაკოვი მკაცრად დასაჯა: ჯიბე 5 ათასი მარკით შეუთხელა და ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მისცა. მიზეზი ბუნდესლიგის გასულ ტურში ბალაკოვის საქციელი იყო — ბულგარელი გამთამაშებელი შეცვლამ გაანაწყენა და უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა.

უბალაკოვოდ „შტუტგარტი“ „დე კუიპზე“ უსუსური ჩანდა, მაგრამ სტუმართა მეკარე ჰილდებრანდი ბრწყინავდა. იგი მატჩში საუკეთესოდ აღიარეს. სტუმრებმა მასპინძელთა უამრავი იერიშის სანაცვლოდ ორი კონტრშეტევა განახორციელეს და ფრესაც გამოჰკრეს ხელი, რაც ნაღდი უსამართლობა იყო.

„შტუტგარტი“ და „მიუნხენი“ თუ ფრემ გაახარა, „ლევერკუზენზე“ ამას ვერ ვიტყვით. ბერტი ფოგტსის ევროთასებზე დებიუტი არც ისე წარმატებული გამოდგა. მასპინძლებმა ბერძნულ აეკ-ს ოთხი გოლი კი გაუტანეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს.

„ღია კარის დღე“ — ასე მონათლა შეხვედრა გერმანულმა პრესამ. მართლაც, თამაში ძალიან ღია და საგოლე მომენტებით დახუნძლული იყო. ისე, შემტევებს ხშირად არ უმართლებდათ, თორემ 4:4 მონაგონი იქნებოდა. მასპინძლები კარსტენ რამელომ იხსნა — მსაჯის მიერ წამატებულ დროში მისმა ზუსტმა დარტყმამ „ლევერკუზენს“ ხასიათი ოდნავ გამოუკეთა. გერმანული კლუბისთვის ეს ზედიზედ მეცხრე წაუგებელი მატჩი გახლდათ ბუნდესლიგის, ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასისა და ქვეყნის თასის ჩათვლით.

სირცხვილი ჭამა ბრემენის „ვერდერმა“, რომელიც ფრანგულმა „ბორდომ“ 4:1 იმსხვერპლა, თუმცა გერმანელებს ასეთი მარცხი არ დაუმსახურებიათ. დისკვალიფიცირებული აილტონის არყოფნის მიუხედავად „ვერდერმა“ კარგად დაიწყო და მე-16 წუთზე პიზაროს გოლით ბორდოელთა 14-მატჩიანი წაუგებელი სერია საფრთხის წინაშე დააყენა, მაგრამ მერე როსტის კარში ერთბაშად ოთხი ბურთი შეფრინდა. „დღეს ასეთი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო, მაგრამ რას ვიზამთ. წინ საპასუხო მატჩია, ბევრი რამ იქ გამოჩნდება“ — თქვა „ვერდერის“ თავკაცმა თომას შააფმა.

მატჩის 33-ე წუთზე გიუგოს ერთმა ზუსტმა დარტყმამ „რომა“ — „ჰამბურგის“ თამაშის ბედი იტალიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. სტუმართა მეკარე ჰანს-იორგ ბუტის უხეში შეცდომა რომ არა, შეხვედრა უგოლოდ დასრულდებოდა, თუმცა „რომას“ მეტი სხვაობით მოგება უფრო სამართლიანი იქნებოდა. არადა, მასპინძლები შესუსტებული შემადგენლობით იყვნენ. კაპელომ ბატისტუტა, ტოტი და სხვები ჩემპიონატისთვის დაასვენა.

**გიორგი დარჯანია**
**ვანო ოქროპირიძე**

# ტორე ანდრე რეინჯერსელი

## შოტლანდიის სატრანსფერო რეკორდი თუ წყალს გატანებული მილიონები?

ხუთი წელია თურმე, დიკ ადვოკაატს ტორე ანდრე ფლოს ხელში ჩაგდება სურს და მხოლოდ ახლა აისრულა საწადელი, როცა ნორვეგიელი ფორვარდი „ჩელსიდან“ გლაზგოს „რეინჯერსში“ გადაიყვანა: შოტლანდიაში ახალი სატრანსფერო რეკორდი დამყარდა — „სელტიკის“ მიერ კრის სატონში გადახდილ თანხას ორჯერ აღემატება 12 მილიონი, რომელიც „რეინჯერსმა“ „ჩელსის“ შეაძლია.

„რამდენიმე წლის წინ, როცა „ეინდჰოვენში“ ვმუშაობდი, ფლომ ჩვენს წინააღმდეგ ითამაშა და ლამის მარტომ გამოგვაგდო უეფას თასიდან. მას მერე ნორვეგიელის ყიდვა მინდოდა — ბრძანებს „რეინჯერსის“ თავკაცი და დასძენს — ჰოლანდიაში მაშინ ვაპირებდი მის გადაყვანას, როცა ჩვენგან რონალდო წავიდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ფლო მაშინ „ჩელსიში“ ჩაირიცხა“.



ფლო „რეინჯერსში“ 22 ნომრიანი მაისურით ითამაშებს

ფლო „სტემფორდ ბრიჯზე“ სამი წელია თამაშობს. 27 წლის ფორვარდი ლონდონურმა კლუბმა 1997 წლის ზაფხულში „ბრანიდან“ ოდენ 300 ათას გირვანქად შეიძინა. ნორვეგიელმა „ჩელსი“ ასეთი შედეგით დატოვა: სულ ჩაატარა 162 შეხვედრა, გაიტანა 47 გოლი და უფრო ხშირად შეცვლაზე შედიოდა.

ადვოკაატი აცხადებს: „ბოლო ხანს „ჩელსის“ სასტარტო შემადგენლობას ყურადღებით ვაკვირდებოდი, ფლო ძირითადში ვერ ხვდებოდა და მიხაროდა, რომ მისი გადმობირების შანსი გვქონდა. 12 მილიონი მართლაც დიდი თანხაა, მაგრამ ჩვენ ეს ფული კარგ ფეხბურთელში გადავიხადეთ, თანაც თანამედროვე სატრანსფერო ფასებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ“.

თავისი აზრი გამოთქვა „რეინჯერსის“ წარსულში ცნობილმა მოთამაშემ, ინგლისის ნაკრების ექს-თავდამსხმელმა მარკ ჰეიტლიმ, რომელმაც ფლოში გადახდილ ფულს წყალში გადაყრილი უწოდა. „როცა ფეხბურთელში ამხელა თანხას იხდი, შედეგებს თვალი უნდა გადაავლო — აცხადებს ინგლისელი — ფლომ პრემიერლიგაში 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და დაახლოებით 25 გოლი გაიტანა. ღირს კი ეს ფორვარდი 12 მილიონი? თუგინდ მარკ ვიდუკას ან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს შეხედეთ, მათ სეზონში 20-30 გოლი გააქვთ. შეძლებს ფლო იგივეს?“

ფლო, რომელმაც ნორვეგიის ნაკრებში 50-მდე მატჩი ჩაატარა და ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, „აიბროქსს“ უკვე ესტუმრა და ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან განაცხადა: „ჩელსი“ ძალიან მომწონს. ის ჩინებული კლუბია, თუმცა, სამწუხაროდ, მის რიგებში საკმარისად თამაშის საშუალება არ მომეცა. მე მეტის მიღწევა მსურს. ამის შესაძლებლობა მომეცა და „რეინჯერსში“ გადასვლასაც ადვილად დავთანხმდი. ესაც ბრწყინვალე კლუბია და იმედი მაქვს, რომ მასთან ერთად რაიმეს მოვიგებ“.

„რეინჯერსს“ შოტლანდიის პრემიერლიგაში სატრაბახოდ არ აქვს საქმე. ბოლო ათ წელიწადში ცხრაგზის ჩემპიონმა წლეულს ლიდერობა „სელტიკს“ დაუთმო და მიზერული შანსი აქვს, თანაქალაქელ მოსისხლე მტერთან ქულათა დიდ სხვაობას აღმოფხვრას.

ისე, კვირას სწორედ „ოლდ ფირმ დერბია“ — „სელტიკი“ „რეინჯერს“ ხვდება. ფლო, ალბათ, ითამაშებს. „ეს მართლაც დიდი ზეწოლა იქნება — ამბობს ფეხბურთელი — კვირას მეტს ვინერვიულებ, თუმცა თამაშს მოუთმენლად ველი“.

**ნიკა შუბლაძე**



# სამში ერთი

*მსოფლიოს 130 ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს, რომლის საბოლოო შედეგიც 11 დეკემბერს რომში გამოცხადდება. რეფერენდუმი მსოფლიოს 2000 წლის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენად ფიფას ეგიდით ტარდება. მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა სამი კანდიდატი გამოაცხადა — რივალდო, ზიდანი და ფიგუ. სწორედ მათ შორის ერთი იქნება საუკეთესო:*

*რივალდო — ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფორვარდი, რომელიც იგივე გამოკითხვის შარშანდელი გამარჯვებულია. მაშინ მან დევიდ ბექემს და გაბრიელ ბატისტუტას აჯობა.*

*ზინედინ ზიდანმა საპატიო აღიარება ორი წლის წინ მოიპოვა, როცა ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა საფრანგეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო, ისევე, როგორც წლეულს ევროპის ჩემპიონობაში.*

*დაბოლოს, ლუიშ ფიგუ, რომელსაც ასეთი პატივი არასდროს რგებია. ახლა იგი მსოფლიოს უძვირესი მოთამაშეა — „ბარსელონიდან“ „რეალში“ მისი გადასვლა 56 მილიონი დოლარი დაჯდა. ფიგუ პორტუგალიის ნაკრების ლიდერია, თუმცა მისი ეროვნული გუნდი ფრანგებთან დრამატულ ნახევარფინალში გამოეთიშა ევრო 2000-ს.*

*მოკლედ, ყველაფერი რომში გაირკვევა.*

# რაღა დარჩა ლიდსელობამდე?



*ყველა წინაპირობაა იმისა, რომ 2 დეკემბერს „ფილბერტ სტრიტზე“ „ლესტერისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ მატჩში ინგლისის ნაკრების 22 წლის მცველის რიო ფერდინანდის ლიდსური დებიუტი შედგეს. ფეხბურთელის ამჟამინდელმა და მსურველმა კლუბებმა — „ვესტ ჰემმა“ და „ლიდსმა“ ერთმანეთთან ურთიერთობა ორიოდ დღის წინ გაარკვიეს: დევიდ ოლირის გუნდი მცველთა შორის სარეკორდო თანხის, 18 მილიონი გირვანქის გადასახდელად მზადაა, ხოლო ჰარი რედნაპი ფერდინანდის გაშვებას დაყაბულდა.*

*ფეხბურთელის კლუბიდან კლუბში გადასვლის მეორე, ფორმალური მხარეც მოგვარებულია — მოთამაშემ და გუნდმა უკვე შეათანხმეს პირადი საკითხები, მათ შორის ხელფასის ოდენობაც. ინგლისური პრესის ცნობით, ფერდინანდს გასამრჯელოდ კვირაში დაახლოებით 40 ათას გირვანქას დაუნიშნავენ.*

*რჩება მესამე ეტაპი: „შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია, რიომ მხოლოდ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი კარგი ფეხბურთელი ჩავიგდეთ ხელში“ — განაცხადა ლიდსელთა თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა.*

*მოკლედ, 22 წლის ფერდინანდს ექიმები დღეს შეამოწმებენ. იგი, ალბათ, თავისი ახალი კლუბის თამაშსაც დაესწრება მომავალ მშობლიურ „ელანდ როუდზე“ — „არსენალის“ წინააღმდეგ.*

## ფეხბურთის „უწყებანი“



**ფრანგული** „ლილის“ მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილოჯიჩი მსაჯთან უზრდელობისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. 11 ნოემბერს ოსერელმა სტეფან გივარშმა „ლილს“ შეხვედრის მიწურულს გოლი გაუტანა და ანგარიში გაათანაბრა, მწვრთნელი კი არბიტრთან მიიჭრა და შეეკამათა. იგი ძლივს დაამშვიდეს და მოედნიდან გაიყვანეს. საფრანგეთის ჩემპიონატის სადისციპლინო კომიტეტმა ოსერელი კვამი ავბოჰიც შერისხა — ფეხბურთელი ორ მატჩს გამოტოვებს.

**ინგლისური „ტოტენჰემის“ მეკარის იან უოქერის მოთხოვნა, კლუბიდან გაეშვათ, არ დააკმაყოფილეს. ახლა გოლკიპერი იხვეწება, ცოტა ხნით სხვა გუნდში გამანათხოვრეთო. „პრინციპულ მატჩებში თამაში მსურს, მე კი მხოლოდ სარეზერვო გუნდში მიწევს გამოსვლა. თუ დროებით სადმე გამიშვებენ, კმაყოფილი ვიქნები. ლონდონში დაბრუნებაც ნებისმიერ დროს შემეძლება“ — თქვა 29 წლის ნაკრების ყოფილმა მეკარემ, რომელმაც „ჰოთსფურის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი „უიმბლდონიდან“ ნილ სალივანის მისვლის შემდეგ დაკარგა.**

**ხორვატი** იოსიპ სკობლარი „მარსელის“ სპორტულ დირექტორად დაინიშნა, მას შემდეგ, რაც მან ხორვატიის ნაკრების მწვრთნელობაზე უარი თქვა. ფრანგული კლუბი მწვრთნელს ეძებს და პრეზიდენტ რობერ ლუი დრეიფუსს იმედი აქვს, რომ სკობლარი ამ საქმეში დაეხმარება. ხორვატმა ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული ერიკ დი მეკოს თანამდებობა დაიკავა. „ნაკრების მწვრთნელობა და „მარსელში“ მუშაობა ერთდროულად შემომთავაზეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა“ — განაცხადა სკობლარმა, რომელიც ადრე „მარსელში“ თამაშობდა, მწვრთნელად კი „ჰამბურგსა“ და ლიბანის ნაკრებში იღწვოდა.

**სამხრეთაფრიკელი ფორვარდი შონ ბარტლეტი „ჩარლტონმა“ „ციურიხიდან“ ინათხოვრა. პრემიერლიგელებს „უიმბლდონის“ თავდამსხმელის ჯონ ჰართსონის შეძენა სურდათ, თუმცა ეს ვერ მოახერხეს და საბოლოოდ ბარტლეტი გადაიბირეს, რომელიც „ციურიხის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. მან „ჩარლტონში“ სამ თვეს უნდა ითამაშოს. „შონი სწრაფი მოთამაშეა და ბურთსაც კარგად ფლობს. იმედი მაქვს, იგი პრემიერლიგაში თავს გამოიჩენს“ — განაცხადა ჩარლტონელთა თავკაცმა ალან კერბიშლიმ. 29 წლის ბარტლეტმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 48 შეხვედრა ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. იგი „ჩარლტონში“ თავის თვისტომ მარკ ფიშთან ერთად ითამაშებს, რომელიც პრემიერლიგელებმა „ბოლტონისგან“ შეიძინეს.**

**ირლანდიელი** რობი კინის სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტი“ „ინტერს“ 12,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. არადა, ეს ფეხბურთელი მილანურ კლუბში „ქოვენთრიდან“ ამ სეზონის დაწყების წინ 13 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, ერთი წლის წინ კი „ვულვერჰემპტონის“ ღირსებას იცავდა და პრემიერლიგელებმა 6 მილიონ გირვანქად იყიდეს. 20 წლის კინი „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და არ გამორიცხავენ, რომ „სიტიმ“ იგი დროებით მაინც ინათხოვროს.

**იტალიურმა „მილანმა“ „ატალანტას“ ერთბაშად სამ ფეხბურთელს — დამიანო ძენონის, კრისტიან ძენონისა და კრისტიანო დონის დაადგა თვალი. იუწყებიან, რომ მილანელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და ბერგამოელთა პრეზიდენტი ივან რუჯერიო შესაძლო ტრანსფერის მოსაგვარებლად უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. დამიანო ძენონი წინა კვირას იტალიის ნაკრებში პირველად მიიწვიეს და ინგლისის წინააღმდეგ შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშა.**

**ბრაზილიური** „პალმეირასის“ ფორვარდი ლოპესი კოკაინის მოხმარებისთვის ოთხი თვით ჩამოაშორეს ფეხბურთს. 14 ოქტომბერს ჩატარებულმა გამოკვლევამ მის ორგანიზმში ნარკოტიკის კვალი აღმოაჩინა. ფეხბურთელი და მისი ადვოკატი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას აპირებენ.

**რუმინეთის ჩემპიონატში ამ უქმეებზე ერთი საინტერესო ფაქტი მოხდება — ტურში ერთმანეთს ბუქარესტის „როკარი“ და კრაიოვას „უნივერსიტატია“ დაუპირისპირდებიან, ორივე გუნდის მწვრთნელი კი მატჩს გამოტოვებს: წინა ტურის შეხვედრებში მსაჯთან კამათისთვის ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ „როკარის“ თავკაცი დუმიტრუ დუმიტრიუ და კრაიოველთა მწვრთნელი ფლორინ მარინი თითომატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.**

**ინგლისურ** „დერბი ქაუნთის“ კევინ კიგანის გადაბირება სურს. ნუ გაიკვირვებთ, ის მხოლოდ 20 წლისაა და ჩრდილოეთ ირლანდიის „კოლრეინში“ თამაშობს, ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელთან კი ალბათ არაფერი აქვს საერთო. „კევინი კარგი ფეხბურთელია, მას დიდი პოტენციალი აქვს და ალბათ მალე შევიძენთ“ — განაცხადა „დერბის“ წარმომადგენელმა.

**იტალიის ჩემპიონ „ლაციოს“ ხელმძღვანელობამ ამას წინათ განაცხადა, „უდინეზეში“ განათხოვრებული ჩვენი მოთამაშეების — სტეფანო ფიორეს და ჯულიანო ჯანიკედას დაბრუნება გვსურსო. უდინელები ამბობენ, თუ ორივეს წაიყვანთ, მაშინ ეგებ ჩვენთვის რობერტო ბარონიო გეთხოვებინათო. „ლაციოს“ პასუხი ჯერჯერობით უცნობია.**

**ინგლისურ** „ვესტ ჰემს“ „ლივერპულიდან“ რიგობერტ სონგის შეძენა სურს და თანახმაა, კამერუნელის სანაცვლოდ 2,5 მილიონი დოლარი გადაიხადოს (ცხადია, რაც ამათ ფერდინანდში იშოვეს!). იუწყებიან, რომ ტრანსფერი, შესაძლოა, ამ დღეებშივე დადებითად გადაწყდეს. სონგი „ლივერპულის“ ღირსებას 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იცავს.

**ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა „სანტოსის“ მწვრთნელის პოსტიდან 28-დღიანი მუშაობის შემდეგ გადადგა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ოჯახთან უფრო ახლოს ყოფნა სურს. აღსანიშნავია, რომ „სანტოსმა“ წლეულს უკვე მესამე მწვრთნელი გაუშვა.**

**ფრანგი** ფორვარდი პასკალ ნუმა სტამბოლში ორ ფოტოკორესპონდენტს წაეჩხუბა და ახლა ისინი სასამართლოში ჩივიან. „ბეშიქთაშის“ ფეხბურთელი თავს იმართლებს და აცხადებს, რომ პაპარაცები მას თავს არ ანებებდნენ და „კანიბალიც“ კი უწოდეს.


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



REUTERS

კომისიის თავჯდომარე ალდაუ რებელუმ (მარჯვნივ) მარიო ზაგალო გვარიანდ ანერვიულა

# რონალდოს რაღაც გაუკეთეს!

## მარიო ზაგალო ყვირის, ნაკრების ექიმი კი სენსაციურ განცხადებას აკეთებს

„როგორ მიბედავთ, მე სუფთა ვარ!" — იღრიალა მარიო ზაგალომ ბრაზილიის კონგრესის კომისიის სხდომაზე. ამაოდ მოუწოდებდნენ პარლამენტარები მწვრთნელს, დამშვიდდით და ეტიკეტი დაიცავითო, რამაც ზაგალო უფრო განარისხა: „ასეთ ბრალდებებს მიყენებთ და გინდათ, რომ დავმშვიდდე? ვერ ეღირსებით!" სხდომა ნახევარი საათის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით გაგრძელდა.

სკანდალი, რომელიც ბრაზილიურ ფეხბურთში არსებულმა ქაოსმა და კორუფციის არნახულმა დონემ გამოიწვია, დღითიდღე ახალ ფორმებს იძენს. ახლახან ვწერდით, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასა და ნაკრების სპონსორ „ნაიკს" შორის ფინანსური ურთიერთობების შესწავლისას გაჩნდა ეჭვი, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ავადმყოფი რონალდო „ნაიკის" მოთხოვნით ათამაშეს. ნაკრების იმდროინდელი მწვრთნელი მარიო ზაგალო და ექიმი ლიდო ტოლედო კომისიამ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიძახა და დაჰკითხა.

„მე ის კაცი არ ვარ, შემადგენლობაში ფეხბურთელები ვინმეს ბრძანებით ავიყვანო — უთხრა კომისიის წევრებს ზაგალომ — და საერთოდ, რა კავშირი უნდა მქონოდა „ნაიკთან"? ნაკრების მწვრთნელად ფედერაციამ დამნიშნა, ფედერაციისა და „ნაიკის" ურთიერთობა კი მე არ მეხება და არც მაინტერესებს. ისე, „ნაიკთან" მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ერთხელ მოგვიხდა საქმის დაჭერა, თუმცა ეს ის შემთხვევა არ იყო, თქვენ რომ გაინტერესებთ. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ გვითხრეს, რომ გუნდი ექსკურსიაზე უნდა წასულიყო პარიზის დასათვალიერებლად და როგორც მერე გაირკვა, ექსკურსია „ნაიკის" მოწყობილი იყო — ავტობუსი, რომელშიც ჩვენ ვისხედით, „ნაიკის" რეკლამებით იყო აჭრელებული. მაგრამ ვიმეორებ, ჩემს საქმეში არავინ ჩარეულა".

„რატომ ათამაშეთ ფინალში რონალდო, ის ხომ ავად იყო?" — ჰკითხეს ზაგალოს. „თუ რონალდოს თამაში არ შეეძლო, ექიმებს უნდა ეთქვათ, მათ კი მითხრეს, რომ ფეხბურთელს არაფერი აწუხებდა. რომ არ გამეყვანა, მერე მთელი ბრაზილია შარს მომდებდა, რონალდო რომ არ ათამაშა, იმიტომ წავაგეთო. რამდენიც უნდა მემტკიცებინა, რომ რონალდოს წინა დღეს შეტევა ჰქონდა, მიპასუხებდნენ, ექიმებმა ხომ მისცეს თამაშის უფლებაო".

ამის შემდეგ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ზაგალომ დაუსვა კითხვა, რომელსაც ყოფილი მწვრთნელის ის რეაქცია მოჰყვა, თავში რომ მოგახსენეთ: „დაახლოებით ერთი წლის წინ თქვენ ფედერაციას გაუგზავნეთ წერილი, რომელშიც სთხოვდით, მიეჩქმალათ რონალდოს ამბავი. ადასტურებთ თუ არა ამას?" მოგვიანებით გაირკვა, რომ ასეთი წერილი მართლაც არსებობს, ოღონდ მისი ავტორი ზაგალო კი არა, ფედერაციის მავანი ჩინოვნიკია.

კომისიამ აღშფოთებული ზაგალო გაისტუმრა და ლიდო ტოლედოს დაკითხვას შეუდგა, ზაგალოს ჩვენების შემდეგ რონალდოს საქმეში მთავარი დამნაშავე ნაკრების ექიმი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ტოლედო ყველა ბრალდებას უარყოფს და სენსაციურ განცხადებასაც აკეთებს: „რონალდო მე არ შემიმოწმებია, ის ფრანგმა ექიმებმა გასინჯეს. მე საერთოდ არ ვარ დარწმუნებული, რომ რონალდოს კრუნჩხვა ჰქონდა. ვეჭვობ, ის ფრანგმა ექიმებმა გააბრუეს, რათა საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ცუდად ეთამაშა".

ექიმის ამ განცხადებას აუცილებლად მოჰყვება გამოხმაურება და სავარაუდოა, რომ ბრაზილიურ ფეხბურთთან დაკავშირებულმა სკანდალმა საერთაშორისო ხასიათი მიიღოს.

**გიორგი დარჯანია**

# სკილაჩი თავიდან იწყებს

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი, იტალიელი სალვატორე სკილაჩი ფეხბურთს უბრუნდება — 36 წლის თავდამსხმელმა იტალიური სერია C-ს კლუბ „პალერმოსთან" გააფორმა ხელშეკრულება. „პალერმო" ბოლო დროს გოლის გატანის ალღოს მქონე ფორვარდს ეძებდა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯულიანო სონცონიმაც არჩევანი საბოლოოდ ტოტო სკილაჩიზე შეაჩერა. სონცონი იმედოვნებს, რომ იტალიაში ათი წლის წინ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი სეზონში მინიმუმ ათ გოლს მაინც გაიტანს. სკილაჩიც დარწმუნებულია, რომ მისი გამოცდილება „პალერმოს" თავდასხმას მალე დაეტყობა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელმა კონტრაქტის გაფორმებამდე კლუბის ხელმძღვანელობას თავისი პირობები წაუყენა. ერთ-ერთი პირობის მიხედვით, სკილაჩის ყველა მატჩში თამაში არ მოუწევს: ასეთ დატვირთვებს ვერ გავუძლებ, უმჯობესი იქნება, თუ პერიოდულად დამასვენებთო — უთქვამს ვეტერან ფეხბურთელს.

რომ იცოდეთ, სკილაჩი პირველი იტალიელია, ვინც იაპონიის „ჯეი ლიგაში" თამაში არ იუკადრისა და ამომავალი მზის ქვეყანაში გააგრძელა კარიერა. ეს 1994 წელს მოხდა. იაპონიაში იგი ოთხი წელი თამაშობდა, მერე კი ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და საზოგადო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. კერძოდ, საფეხბურთო სკოლა გახსნა, რითაც იტალიური ფეხბურთის სამსახურში ჩადგა. ახლა კი პარალელურად ფეხბურთის თამაშიც გადაწყვიტა.

# მარადონა ფიფას და იაპონიას გაუწყრა



დიეგო არმანდო მარადონას იაპონიაში არ უშვებენ

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონა ფიფაზე განაწყენდა და თავისი უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა — ნაწყენი ვარ, რომ ამ ორგანიზაციამ „საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის" წოდებაზე წარდგენილ ნომინანტთა სიაში არ შემიყვანაო. არგენტინელმა ამას პოლიტიკური სარჩული დაუდო. „ვიცი, ეს რატომაც მოხდა. მე მუდამ ფეხბურთელთა მხარეს ვიდექი და მათი ინტერესების გამომხატველი ვიყავი. ყოველთვის ფიფას ჩინოვნიკთა წინააღმდეგ ვილაშქრებდი, ისინი ხომ ფეხბურთელების მაქსიმალურ გამოყენებას ცდილობდნენ, რათა თავიანთი პირადი მიზნებისთვის ხორცი შეესხათ" — თქვა მარადონამ.

„საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელს" ფიფა დეკემბერში დაასახელებს. ამასთან დაკავშირებით რომში გრანდიოზული ღონისძიება იგეგმება. და, როგორც მარადონა ამბობს, მას თავადაც დაესწრება. „ცუდია, რომ ვერ მივიღებ აღნიშნულ ჯილდოს. იგი ხომ მთელი არგენტინის საკუთრება იქნებოდა. მართალია, მე არ მექნება საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება, მაგრამ სამაგიეროდ სამშობლოში ისეთი რამ მაქვს, რომელსაც ვერც აველანჟი წამართმევს, ვერც ბლატერი, პელე თუ ბეკენბაუერი. ეს ჩემი ხალხის სიყვარული და დაფასებაა" — ამბობს გულმოსული დიეგო.

საოცარი, იცით, რა არის? ამასთან დაკავშირებით ფიფას წარმომადგენლის განცხადება — საიდან მოიტანა მარადონამ, რომ იგი სიაში არ არისო, თქვა მან. ისე, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, ნომინანტთა შორის ფეხბურთის არგენტინელი ჯადოქარი არ იყოს.

მარადონას რისხვა ორი დღის წინ იაპონიის მთავრობასაც დაატყდა. 28 ნოემბერს ამ ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში, მოგეხსენებათ, საკონტინენტთაშორისო მატჩია დანიშნული — არგენტინული „ბოკა ხუნიორსი" მადრიდის „რეალს" ხვდება. ფეხბურთის ლეგენდა „ბოკა ხუნიორსის" თავგადაკლული ქომაგია. ჰოდა, ტოკიოში ჩასვლა და თავისი საყვარელი გუნდისთვის ტრიბუნიდან მხარდაჭერა გადაწყვიტა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ბუენოს აირესში მდებარე იაპონიის საელჩომ მარადონას ვიზის მიცემაზე უარი განუცხადა. იაპონიას იმ ადამიანთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არა აქვს, ვისაც ნარკოტიკებთან ოდესმე რაიმე კავშირი ჰქონია — ასე თავაზიანად აუხსნეს უარის მიზეზი დიეგოს.

ასე რომ, მარადონას „ბოკა" — „რეალის" ხილვა ჩვენსავით ტელევიზორში მოუწევს. საინტერესოა, ელექტროენერგია მასაც გრაფიკით ხომ არ მიეწოდება?

**ვანო ოქროპირიძე**

# არარატმა ძმობას უღალატა

სომხური ფეხბურთის პრობლემებზე გასულ შაბათს ვწერდით და ამ თემას ისევ მივუბრუნდეთ.

ჩემპიონატი დასრულდა, გამარჯვება „არაქსს" ერგო, აი, მეორეადგილოსნის ვინაობა კი ერთ კვირაში ორჯერ შეიცვალა. თავდაპირველად ვიცე-ჩემპიონად „შირაქი" გამოცხადდა, რომელსაც 52 ქულა ჰქონდა და ორი ქულით უსწრებდა ერევნის „არარატს". ახლა კი ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, რომ აკმაყოფილებენ „არარატის" პროტესტს და სამ ქულას უმატებენ, რაც ერევნელებს მეორე ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს.

საქმე ისაა, რომ ბოლო ტურში „არარატი" თანაქალაქელ „დინამოს" უნდა შეხვედროდა, მაგრამ მსაჯობის დონით უკმაყოფილო ორივე გუნდმა მატჩს ბოიკოტი გამოუცხადა. ფედერაციამ „დინამოსაც" და „არარატსაც" წაგება ჩაუთვალა.

მოგვიანებით „არარატმა" საკუთარი ბოიკოტის ამბავი დაივიწყა და ფედერაციას მიადგა, მასპინძელი „დინამო" იყო და მარტო ის უნდა დასაჯოთ თამაშის ჩაშლისთვისო. ფედერაციამაც იმსჯელა და „არარატს" ტექნიკური გამარჯვება ჩაუთვალა. დანარჩენი უკვე ვთქვით — დედაქალაქელებმა „შირაქს" გადაასწრეს.

წინა კვირაში იმასაც ვწერდით, რომ ფედერაციამ დაუმორჩილებლობის მიზეზით „ზვარტნოცი" პირველი დივიზიონიდან მოკვეთა. ახლა ორი სხვა გუნდიც — „დინამო" და „მიკაც" გაუყენეს ზვარტნოცელთა გზას. ასე რომ, დივიზიონის ოთხი ურჩი გუნდიდან სამი მკაცრად დასაჯეს, ხოლო „არარატს" თავზე ხელი გადაუსვეს.

საინტერესოა, როგორ აპირებენ სომხები გაისად ჩემპიონატის ჩატარებას? ბოლო გადაწყვეტილების შემდეგ რვაგუნდიან დივიზიონში ხუთიღა დარჩა.

**გიორგი დარჯანია**



მარკო იოციჩი

# ხორვატია ახალ კაცს ჩააბარეს

ერთი თვეა, რაც მიროსლავ ბლაჟევიჩი ხორვატიის ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა. ფეხბურთის ფედერაცია მაშინვე შეუდგა სახელოვანი მენეჯერის მემკვიდრის ძიებას და ერთი თვის თავზე იპოვა კიდეც:

აღმასკომის 14 წევრიდან თორმეტმა ხმა მისცა მირკო იოციჩს და შესაბამისად, ახალ მწვრთნელად სწორედ იგი დაინიშნეს.

იოციჩი გახლდათ იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, როცა მან 1987 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ ის წვრთნიდა არგენტინულ „ოლდ ბოიზს", ხორვატიის „ჰაიდუკს", მექსიკურ და საუდეთის კლუბებს, ერთხანს ჩილეს ნაკრებშიც მუშაობდა, თუმცა წარმატების მიღწევა ვერსად შეძლო.

# დონისგან დონი არ დადგება

## ფეხბურთელმა პროკურორის მზერას ვერ გაუძლო და დაფქვა

მილანელმა პროკურორმა კარლო პორმედუმ ხუთშაბათს განცხადება გააკეთა საფეხბურთო მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული გამოძიების მსვლელობაზე.

გავიხსენოთ, რომ ამას წინათ რვა ფეხბურთელი ამხილეს, რომლებიც ამა წლის 20 აგვისტოს იტალიის თასზე „ატალანტა" — „პისტოიეზეს" შეხვედრის ანგარიშზე ერთმანეთს წინასწარ გაურიგდნენ. მაშინ ლამის მთელმა იტალიამ დადო ფსონი, რომ პირველ ტაიმს „ატალანტა" მოიგებდა, ხოლო მატჩი ფრედ დასრულდებოდა. ამან ბუკმეიკერები დააეჭვა და ფეხბურთის ფედერაციაში წერილი აფრინეს. ფედერაციამ, თავის მხრივ, საქმეში პროკურატურა ჩართო და გამომძიებელთა მონდომებამ ჩაწყობის ფაქტი დაადასტურა. როგორც გაირკვა, თავდაპირველად ფეხბურთელთა ოჯახების წევრები ჩასულან დიდ ფულს, მერე ახლობლებისთვის ურჩევიათ იგივე, იმათ კიდევ სხვებისთვის და ასე შემდეგ, სანამ ნახევარი იტალია ტოტალიზატორს არ მიადგა.

ახლა მხილებული ფეხბურთელები თავს იმართლებენ. ატალანტელი ჯაკომო ბანკელი ამბობს, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და ძალიანაც რომ მდომებოდა, შეხვედრის ანგარიშზე ზეგავლენას ვერ მოვახდენდიო. მისი თანაგუნდელი სებასტიანო სივილია 87-ე წუთზე შეცვალეს და საკუთარი უდანაშაულობის საბუთად ეს მოჰყავს — საპასუხო გოლი ამის მერე, ბოლო წუთზე გავუშვით და მე რა შუაში ვარო.

ახლა პროკურორის განცხადებაზეც ვთქვათ. დაკითხვაზე შვიდ ფეხბურთელს თავი ყოჩაღად ეჭირა, ბერგამოელ კრისტიანო დონის კი მოხერხებულმა პროკურორმა მეტად საინტერესო რამ ათქმევინა. თურმე წინა სეზონში დონი სამი თამაშის შედეგზე ჩასულა დიდ ფულს. ესენია: სერია A-ში „ვერონა" — „ბარი" და „რეჯინა" — „ვერონა", ხოლო სერია B-ში „კიევო" — „ატალანტა". კარლო პორმედუს ინტუიცია კარნახობს, რომ სახელგატეხილი ფეხბურთელი ალალბედზე არ გარისკავდა აღნიშნულ თამაშებზე ფულის დადებას და წინასწარ რაღაც იცოდა. ახლა გამოძიება ამ მიმართულებით გაგრძელდება.

სხვა შვიდი ფეხბურთელის დაკითხვამ პროკურორი პისტოიეზელი ჯანლუკა ლილოს უდანაშაულობაში დაარწმუნა, ხოლო დანარჩენთა მიმართ სამხილების მოძიებას განაგრძობს. ამასთანავე, ფეხბურთის ფედერაციას ურჩევს, თქვენ ამ ფეხბურთელთა გრძელვადიან დისკვალიფიკაციაზე იფიქრეთ, დანარჩენს მე მივხედავო.

# გადამეყარა ინგლისი... ქართული შვიდეული ათეულს მიღმა

**სამხრეთაფრიკული** ტურნირის შემდეგ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა დუბაიში გადაინაცვლა და მსოფლიო სერიის ორდღიან შეჯიბრში ჩაება. არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ჩვენებურები შარშანაც სტუმრობდნენ და მაშინ ნახევარფინალსაც უწიეს, ამჯერად კი კლოდ სორელის შეგირდებმა ეს ვეღარ შეძლეს და საბოლოოდ ათეულს მიღმა დარჩნდნენ.

საქართველოს ნაკრები ტურნირის ორგანიზატორებმა მეცხრე ნომრად განთესეს. წილისყრამ A ჯგუფში მეტოქეებად გათამაშების ფავორიტი ახალი ზელანდიის, აგრეთვე ინგლისისა და მასპინძელთა გუნდები გვარგუნა. შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადიოდა. ჯგუფის შეხვედრები „ბორჯღალოსნებმა“ გუშინწინ, გიორგობას გამართეს და პირველ მატჩში ძლევამოსილ „ოლ ბლექს“ დაუპირისპირდნენ, მაგრამ ძლიერ მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ — 10:54. წაგება წაგებად, მაგრამ ამ შეხვედრაში ჩვენმა ნაკრებმა საგრძნობი დანაკლისი განიცადა: ინგლისის გუნდთან პრინციპული მატჩის წინ „ბორჯღალოსნებმა“ ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ოთხი მორაგბე მოისაკლისეს. „შავებთან“ ჭიდილში ვასილ აბაშიძე, ბესო ხამაშურიძე, ბადრი ხეხელაშვილი და ვასილ კაცაძე დაშავდნენ. წინა უქმეებზე დურბანში გამართულ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ინგლისისას აჯობა, ამჯერად კი ოცქულიანი სხვაობით 12:32 დათმო შეხვედრა და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ჯგუფის მესამე შეხვედრაში ჩვენებურებმა ნავსი გატეხეს და მასპინძელთა 31:7 ძლევით მეცხრე ადგილისთვის ბრძოლას შემორჩნენ, იქ კი კვლავ მეოთხედფინალში ფიჯისაგან მარცხნაწვნევ ინგლისელებს გადაეყარნენ. ქართველმა მორაგბეებმა ამჯერადაც ვერ ივარგეს და როგორც დურბანში, დუბაიშიც ათეული მიუწვდომელი დარჩათ. „ბორჯღალოსნებმა“ ინგლისელებთან 7:12 წააგეს და ვერც სარეიტინგო ქულები შეიმატეს.

**ბაჩო სვანიძე**

# ფისახი დოპინგ-ტრიბუნალზე

**ორი** წლის მანძილზე სამხრეთ აფრიკელ „ქურციკთა“ ნაკრების უცვლელი წევრი, კობუს ფისახი 5 დეკემბერს ამ ქვეყნის რაგბის კავშირის ტრიბუნალის წინაშე წარდგება, ხოლო რადგან ფისახი წევრია და ნაკრები კიდევ საზღვარგარეთ ტესტებს ატარებს, ისმის ლოგიკური კითხვა: როგორ წარდგება? პასუხი ისაა, რომ 27 წლის მორაგბეს მაჯა დაუშავებია და თანამოძმეებს არგენტინის, ირლანდიისა და ბრიტანეთის დასალაშქრად ვეღარ გაჰყვა.

ფისახი 14 ოქტომბერს შემთხვევით შეამოწმეს ერთ-ერთი ნაკლებმნიშვნელოვანი თამაშის წინ და 4 ნოემბერს მისდა სამწუხარო დასკვნა გაკეთებული იყო: დოპინგი ჰქონია მიღებულიო. ამას მოჰყვა განმეორებითი სინჯი (ე.წ. B ტესტი) და ამით ეჭვები სრულად გაიფანტა, მიუხედავად იმისა, რომ თავად მორაგბე ყოველგვარ დოპინგთან კავშირის კატეგორიულად უარყოფს, როგორც ეს სპორტსმენთა აბსოლუტურ უმრავლესობას სჩვევია.

ხუთმა დეკემბერმა შეიძლება ბრალდებული „ქურციკი“ უფრო დაამწუხროს – უარყოფითი ვერდიქტის გამოტანისას მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის. იგი საუკეთესო წლებს დაკარგავს.

**დავით გულუა**

# კონკორდატი 66/33

**ინგლისის** მორაგბეთა ნაკრების წევრებმა ოთხშაბათს დაასრულეს წინადღეს დაწყებული გაფიცვა, რომელიც მათსა და ინგლისის რაგბის ფედერაციას შორის ფინანსური უთანხმოებით იყო გამოწვეული. საერთო ის გამონახვის, თაობაზე ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ფრენსის ბარონმა განაცხადა. მხარეები ნაკრების თავკაცის, კლაივ ვუდვორდის ულტიმატუმის ვადის გასვლამდე ერთი საათით ადრე შეთანხმდნენ. ვუდვორდმა გაფიცულებს ოთხშაბათ დილით 11 საათზე სავარჯიშოდ მისვლა უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ სამ ტესტს გამოგატოვებინებთ და თქვენს ნაცვლად სხვებს ვათამაშებო.

ნაკრების კაპიტანი მარტინ ჯონსონი თვიქნემში ოთხშაბათს, დილის ცხრის ნახევარზე მივიდა და ბარონთან მოლაპარაკება განაგრძო, რამაც, როგორც იქნა, სასურველი შედეგი გამოიღო. ფედერაცია ოთხი წლის განმავლობაში 6 მილიონ გირვანქას სთავაზობდა ნაკრებს, რაც თითოეულ მორაგბეზე წელიწადში 65-70 ათასის ფარგლებში მერყეობდა.

კონფლიქტი იმან გამოიწვია, რომ მორაგბეებს სურდათ, აღნიშნული თანხის 70 პროცენტი შედეგების გაუთვალისწინებლად მიეღოთ, ფედერაცია კი მხოლოდ 60-პროცენტიან გარანტიას იძლეოდა. საბოლოოდ მოდავეებმა 66/33 შეფარდებაზე მოილაპარაკეს.

მორაგბეები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ეტყობა, ვუდვორდის ულტიმატუმმა გაჭრა და მათაც ყველაფრის დაკარგვას ფედერაციასთან შეთანხმება არჩიეს.

**გაგი გურული**



შეთანხმებულნი: ლოურენს დალალიო, მარტინ ჯონსონი და ფრენსის ბარონი



ჯონ მაკინროი

# კაპიტანი წავიდა

**ჯონ მაკინროი** აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტანი აღარ არის. თანამდებობიდან, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა და ბოლოს და ბოლოს 13 თვის წინ მიიღო, ის თავისი ნებით წავიდა.

„ჯონი დევისის თასის ფანატიკოსია, მაგრამ ამავე დროს პერფექციონისტიც. ის იმედგაცრუებული დარჩა საკუთარი თავით — განაცხადა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯუდი ლევერინგმა, რომელსაც თავის დროზე ყველა უკიჟინებდა, მაკინროი კაპიტნად არ დაენიშნა — გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ, ნიუ იორკში სადილის დროს მითხრა, მაგრამ მაშინ ამის ყველასთვის გაცხადება არ გვსურდა. დავიცადეთ „ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატის“ დასრულებამდე და მხოლოდ [illegible] გადავდგით შესაბამისი ნაბიჯი.“

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიქადნა, თანამდებობიდან წავალო, მაგრამ ბევრმა ეს 41 წლის შარისთავის მორიგ გამოხტომად ჩათვალა. მაკინროიმ მაშინ საუკეთესო ამერიკელი ჩოგბურთელების ინდიფერენტულობისა და გათამაშების ახლანდელი ფორმატის გამო გამოთქვა უკმაყოფილება.

ბევრი მოელოდა, რომ ამერიკელი არც ამჯერად შეიკავებდა თავს და ვინმეს გესლიანად უკბენდა, მაგრამ სეირის მომლოდინეთა იმედები არ გამართლდა. ფრანკფურტში, ვეტერანთა ტურნირზე მყოფმა მაკინროიმ ჟურნალისტებთან შეხვედრასა და კომენტარზე უარი განაცხადა, ყველაფერს, რისი თქმაც მსურდა, აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში იხილავთო.

ზემოხსენებულ განცხადებას კი სკანდალურისა არაფერი სცხია და ძირითადად ზრდილობიანი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით შემოიფარგლება: „ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგია იყო აშშ-ის დევისის თასის კაპიტნად არჩევა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიეთ. ვფიქრობ, გათამაშების ფორმატი და განრიგი უნდა შეიცვალოს, ის საუკეთესო ჩოგბურთელთა მონაწილეობას ვერ უზრუნველყოფს. იმედი მაქვს, გარკვეული ცვლილებების შემდეგ დევისის თასი ისეთ პოპულარობას მოიპოვებს, როგორსაც იმსახურებს.“

მაკინროის ხელმძღვანელობით ამერიკელებმა სულ სამი მატჩი გამართეს: დიდი გაჭირვებით გაიმარჯვეს ზიმბაბვესთან და ჩეხეთთან, ნახევარფინალში კი ესპანელებთან თიხნარზე სამარცხვინოდ, 0:5 დამარცხდნენ. ამ მატჩში მონაწილეობაზე ტრავმირებული ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის უარი კაპიტანმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, მისი დასრულების შემდეგ კი გაცეცხლებული პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადდა, პირდაპირ აეროპორტში გავარდა.

„ჯონმა დევისის თასზე კვლავ აალაპარაკა ხალხი აშშ-შიც და მთელ მსოფლიოშიც, მისდამი ყველგან დიდი ინტერესი გააღვივა. ფედერაცია ძალიან მადლიერია მისი“ — ეს სიტყვები ჯუდი ლევერინგს ეკუთვნის.

კაპიტნობისგან განსხვავებით, მოთამაშის ამპლუაში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს მაკინროიმ მართლაც დიდი კვალი დაატყო. 1978, 80, 81, 82 და 92 წლებში ის თასის გამარჯვებული გახლდათ, მასვე ეკუთვნის აშშ-ის რეკორდები ერთეულებში მოგებების (41), ნათამაშევი მატჩებისა და წლების რაოდენობით.

ამერიკელებს მაკინროის შემცვლელი ჯერ არ შეუგულებიათ, თუმცა მთავარი პრეტენდენტი, ალბათ, ისევ ყოფილი კაპიტანი ტომ გალიქსონი იქნება.

# უცქირეთ ქალებს

**ფედერაციის თასის ნახევარფინალი**

**აშშ 2:1 ბელგია**

**ერთეულები: ლინდსი დევენპორტი (აშშ) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 7:6 (7:5), 4:6, 6:3; მონიკა სელეში (აშშ) — ჟუსტინ ენენი (ბელგია) 7:6 (7:2), 7:2.**

**წყვილები: დომინიკ ვან რუსტი და ელს კალენსი (ბელგია) — ჯენიფერ კაპრიატი და ლაიზა რეიმონდი (აშშ) 7:5, 6:3.**

**ესპანეთი 2:1 ჩეხეთი**

**ერთეულები: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 5:7, 6:4, 6:3; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 6:7 (2:7), 6:4.**

**წყვილები: ბედანოვა და პრდლიჩკოვა — მაგი სერნა და ვირხინია რუანო-პასკუალი 1:6, 6:3, 7:6 (7:5)**

ჯონ მაკინროისგან განსხვავებით, აშშ-ის ქალთა საჩოგბურთო ნაკრების კაპიტანი, ლეგენდარული ბილი ჯონ კინგი გადადგომას ნამდვილად არ აპირებს. ამერიკელებს იმდენად ძლიერი გუნდი ჰყავთ, დები უილიამსების არყოფნაშიც კი დევისის თასის ქალური ანალოგის, ფედერაციის თასის მოგების მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან.

წლეულს ეს გათამაშება ახალი ფორმატით ტარდება. სეზონის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყანაში გამართული სამი შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულებმა ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს, მათ შარშანდელი ჩემპიონი აშშ დაემატა და ამ კვირაში ლას ვეგასის სასტუმრო „მანდალეი ბეიში“ ბურთაობაც გაჩაღდა.

ერთი ეგ არის, ტურნირი მაყურებელთა სიმცირეს უჩივის — მასპინძელთა მატჩებზეც კი მხოლოდ 3500 კაცი გამოცხადდა და ბილი ჯონ კინგმა პირადად სთხოვა მასმედიის წარმომადგენლებს, ხალხის მოზიდვაში დაგვეხმარეთო.

კიდევ კარგი, ამერიკელები ფინალში მაინც გავიდნენ, თორემ ორგანიზატორებს ნამდვილი კატასტროფა მაშინ ელოდათ. მონიკა სელეშს 18 წლის ბელგიელ ჟუსტინ ენენთან შეხვედრაში კუჭი აწუხებდა, ლინდსი დევენპორტმა 17 წლის კიმ კლაისტერსთან მატჩში ქუსლი იტკინა, თუმცა გამოცდილმა „იანკებმა“ ახალგაზრდა კონკურენტების დამარცხება მაინც მოახერხეს.

ფინალში, რომელიც ამ უქმეებზე გაიმართება და ნახევარფინალებისგან განსხვავებით სამ მოგებამდე იქნება, ამერიკელები ესპანელებს შეხვდებიან.

# ჭახაჭუხი და გორანის რეკორდი

ბრაიტონი. ინგლისი. „სამსუნგის“ ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 400 ათასი $

„სამსუნგის“ ღია პირველობის პირველ წრეში ვეტერან ჯანლუკა პოცის დამარცხებით უიმბლდონის სამგზის ფინალისტმა გორან ივანიშევიჩმა ცხრამატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა. ცაცია ხორვატი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და მეორე წრეში რეკორდსმენიც შეიქნა: პირველი მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც... ჩოგნების არქონის გამო მატჩი ვერ დაასრულა.

გთავაზობთ ამ ისტორიული მოვლენის ქრონიკას.

კორეელ ჰიუნგ-ტაიკ ლისთან მატჩის პირველ სეტში ანგარიშზე 5:6 ივანიშევიჩი თავის პირველ ჩოგანს კორტზე ახეთქებს, ამტვრევს და სანაგვე ურნაში აგდებს. კიდევ ერთ ჩოგანს იგივე ბედი მესამე სეტში, 1:1-ზე ეწევა. რამდენიმე წუთის შემდეგ გორანი ზედიზედ ორ ორმაგ შეცდომას აკეთებს, მსაჯისგან მეორე შენიშვნას იღებს და მესამე ჩოგანსაც კორტზე დახეთქებით უყვანს წირვას.

ამის შემდეგ ივანიშევიჩი მთავარ მსაჯ კიმ კრეივენთან მიდის დაეუბნება, რომ მეტი ჩოგანი აღარ აქვს. ATP-ის წარმომადგენლებთან მოთათბირების შემდეგ კრეივენი მიკროფონს



გორან ივანიშევიჩი

იმარჯვებს, სიცილს დიდი გაჭირვებით იკავებს და აცხადებს: „ქალბატონებო და ბატონებო, შესაბამისი აღჭურვილობის უქონლობის გამო გეიმი, სეტი და მატჩი ლის.“

„ჯანდაბა, ამ ტურნირზე მიწვევა რომ მივიღე, მაშინვე მივხვდი, რაღაც ცუდი მოხდებოდა. მხოლოდ სამი ჩოგანი იმიტომ მქონდა, მეგონა, ისევ პირველივე წრეში წავაგებდი. რას იზამ, რაკი უიმბლდონი ვერ მოვიგე, იქნებ ხალხმა ამ სულელური ინციდენტით მაინც გამიხსენოს“ — სცადა ხუმრობა გორანმა.

**მერვედფინალი: ტიმ ჰენმანი (1, ინგლისი) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 7:6 (10:8), 6:1; დომინიკ ჰრბატი (2, სლოვაკეთი) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 4:6, 6:1, 6:0; დავიდე სანგვინეტი (7, იტალია) — ბარი კოუენი (ინგლისი) 6:4, 6:3.**

სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $

**მერვედფინალი: მაგნუს ნორმანი (1, შვედეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ტრავმა; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — იონას ფრობერგი (შვედეთი) 6:4, 6:2; სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) — იოჰან ორტეგრენი (შვედეთი) 6:1, 6:2; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) 7:5, 7:6 (7:3); სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. ბუნდესლიგა. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 003 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 3,8 | 3,0 | 1,85 |
| 18.30 | 004 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.30 | 005 | კოტბუსი-კიოლნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.30 | 006 | აინტრახტი-ჰერტა | 2,3 | 2,8 | 3,0 |
| 23.15 | 007 | ჰანზა-ჰამბურგი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენ 1860-უნტერჰახინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.30 | 009 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.00 | 010 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 013 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 18.00 | 014 | ალენი-ულმი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 015 | ნიურნბერგი-ობერჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 016 | ნიურნბერგი-ობერჰაუზენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 017 | კიკერსი-ქემნიცი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 018 | როიტლინგენი-ზაარბრიუკენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 019 | ვალდჰოფი-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 020 | ზანქტ პაული-მაინცი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. მე-15 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 021 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1,9 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 022 | ქოვენთრი-ასტონ ვილა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 023 | დერბი-მანჩესტერი | 4,7 | 3,1 | 1,65 |
| 19.00 | 024 | ევერტონი-ჩელსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 025 | სიტი-იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 026 | მიდლსბრო-ბრედფორდი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 19.00 | 027 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-ლესტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 029 | ნიუკასლი-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 030 | ლიდსი-არსენალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | ინგლისი. I დივიზიონი. მე-20 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 031 | ბარნსლი-პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 032 | ბირმინგემი-ჰადერსფილდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 033 | ბირმინგემი-ჰადერსფილდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 034 | ბლექბერნი-ჯილინგემი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 035 | ბლექბერნი-ჯილინგემი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 036 | ქრიუ-უენსდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 037 | კრისტალ პალასი-სტოკპორტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 038 | ფულემი-გრიმსბი | 1,3 | 4,0 | 9,0 |
| | 039 | ფულემი-გრიმსბი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 040 | ნორვიჩი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 041 | ნოტინგემი-ტრანმერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 042 | ქუინზ პარკი-ვულვერნემპტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 043 | შეფილდი-ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 044 | უოტფორდი-ბარნლი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 045 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | ინგლისი. II დივიზიონი. მე-19 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 046 | ბორნმუთი-რედინგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 047 | ბრისტოლი-უიგანი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 048 | ბერი-ბრენტფორდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 049 | კემბრიჯი-სუონსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 050 | კოლჩესტერი-უიკომბი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 051 | ოლდემი-მილუოლი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 052 | ოქსფორდი-ნოტსი | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 053 | პორტ ვეილი-ლუტონი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 054 | როტერჰემი-პიტერბრო | 1,65 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 055 | სუინდონი-სტოკი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 056 | უოლსოლი-ნორთჰემპტონი | 1,75 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 057 | რექსემი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | ინგლისი. III დივიზიონი. მე-19 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 058 | ბლეკპული-დარლინგტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 059 | ბრაიტონი-შრიუსბერი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 060 | კარდიფი-ჰარტლპული | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 061 | ჰალიფაქსი-ჩესტერფილდი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 19.00 | 062 | ჰალი-კარლაილი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 063 | კიდერმინსტერი-იორკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 064 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 065 | ლინკოლნი-ექსეტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 066 | როჩდეილი-პლიმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 067 | სკანთორპი-მენსფილდი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 068 | საუთენდი-ჩელტენემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 069 | ტორკი-ბარნეტი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-17 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 20.15 | 070 | ბასტია-მარსელი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 071 | ლანსი-მონაკო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 072 | ლილი-პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 073 | მეცი-ტულუზი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 074 | რენი-ოსერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 075 | სტრასბური-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 076 | ტრუა-გენგამი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 077 | სენტ ეტიენი-ნანტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.45 | 078 | სედანი-ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | იტალია. სერია **A**. მე-8 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 079 | ატალანტა-ლეჩე | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.30 | 080 | მილანი-ნაპოლი | 1,2 | 4,4 | 10,0 |
| | 081 | მილანი-ნაპოლი 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,0 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 082 | ბარი-უდინეზე | 2,7 | 2,9 | 2,4 |
| 18.00 | 083 | იუვენტუსი-ვერონა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 084 | იუვენტუსი-ვერონა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 085 | პარმა-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 086 | პერუჯა-ბოლონია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 087 | რეჯინა-ბრეშა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 088 | ვიჩენცა-ინტერი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.30 | 089 | რომა-ფიორენტინა | 1,55 | 3,1 | 5,3 |
| | | იტალია. სერია **B**. მე-13 ტური | | | |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 090 | კალიარი-ჩიტადელა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 091 | კიევო-პესკარა | 1,55 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 092 | კროტონე-ემპოლი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 093 | პიაჩენცა-ანკონა | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 094 | სალერნიტანა-პისტოიეზე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 095 | სიენა-მონცა | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| 18.00 | 096 | ტერნანა-ვენეცია | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 18.00 | 097 | ტრევიზო-კოზენცა | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 098 | რავენა-სამპდორია | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| | | იტალია. სერია **C1**/ა. მე-12 ტური | | | |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 099 | არეცო-კომო | 2,7 | 2,4 | 3,0 |
| 17.30 | 100 | ბრეშელო-ჩეზენა | 2,9 | 2,5 | 2,6 |
| 17.30 | 101 | ლეკო-ალბინოლეფე | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 17.30 | 102 | ლუმეცანე-ლივორნო | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 17.30 | 103 | მოდენა-კარარეზე | 1,35 | 3,0 | 10,0 |
| 17.30 | 104 | პიზა-ალძანო | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 105 | სპეცია-რეჯანა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 17.30 | 106 | ვარეზე-ალესანდრია | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 23.30 | 107 | სპალ-ლუკეზე | 2,0 | 2,5 | 4,2 |
| | | იტალია. სერია **C1**/ბ. მე-12 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 108 | ლოდიჯანი-მესინა | 2,4 | 2,3 | 3,5 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 109 | ატლეტიკო-პალერმო | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 17.30 | 110 | აველინო-კატანია | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 111 | ბენევენტო-ასკოლი | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 112 | დი სანგრო-ვიტერბეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 113 | ფერმანა-პეზარო | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 17.30 | 114 | ჯულიანოვა-ფ.ანდრია | 1,55 | 2,6 | 6,0 |
| 17.30 | 115 | აკილა-ნოჩერინა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 17.30 | 116 | ტორესი-სავოია | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი. მე-12 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 117 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 118 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 119 | ვალენსია-ოვიედო | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 120 | ვალენსია-ოვიედო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 121 | მალაგა-ალავესი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 122 | ბილბაო-რაიო ვალეკანო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 123 | რასინგი-ესპანიოლი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 124 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 125 | ბარსელონა-ოსასუნა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 20.00 | 126 | ნუმანსია-ლას პალმასი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 127 | დეპორტივო-სელტა | 1,6 | 3,0 | 6,0 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 128 | ესტრემადურა-უნივერსიდადი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.00 | 129 | ლეიდა-ბეტისი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 14.30 | 130 | ხეტაფე-ლევანტე | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 15.00 | 131 | ლეგანესი-კომპოსტელა | 1,8 | 2,8 | 4,2 |
| 15.00 | 132 | ალბასეტე-ხაენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 133 | ეიბარი-კორდობა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.00 | 134 | მურსია-ატლეტიკო | 1,9 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 135 | სალამანკა-ბადახოსი | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 20.00 | 136 | სევილია-ფეროლი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 137 | სევილია-ფეროლი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 138 | სპორტინგი-უელვა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 139 | ტენერიფე-ელჩე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 140 | როზენდალი-როდა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 22.30 | 141 | გრააფსხაპი-სიტარდი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 23.00 | 142 | ალკმაარი-სპარტა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 143 | უტრეხტი-აიაქსი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 17.30 | 144 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 17.30 | 145 | ტვენტე-გრონინგენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 17.30 | 146 | პსვ-ბრედა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 147 | პსვ-ბრედა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.15 | 148 | ფეიენოორდი-ტილბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 149 | ფეიენოორდი-ტილბურგი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 150 | ვეენდამი-დენ ჰააგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 151 | ჰაარლემი-კამბური | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 22.00 | 152 | დორდრეხტი-ემენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 153 | ჰერაკლესი-ვოლენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 154 | ოსი-ტელსტარი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.00 | 155 | ვენლო-მაასტრიხტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 22.00 | 156 | ჰელმონდი-იგლსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.00 | 157 | ეინდჰოვენი-ექსელსიორი | 3,6 | 3,3 | 1,8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 158 | ზვოლე-დენ ბოსხი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 160 | ლუვიე-ლიერსი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.00 | 161 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 3,8 | 3,0 | 1,8 |
| 23.00 | 162 | მეხელენი-შარლერუა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 163 | სენტ ტრუიდენი-ვესტერლო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 164 | მუსკრონი-ჰარელბეკე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 165 | მუსკრონი-ჰარელბეკე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 166 | ლოკერენი-გენტი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 167 | ბრიუგე-ანტვერპენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 168 | ბრიუგე-ანტვერპენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 169 | აალსტი-ბევერენი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| | | ბელგია. II დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 170 | დესელი-სერკლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 171 | ჰეკელგემი-ინგელმუნსტერი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.00 | 172 | მაასლანდი-ლიეჟი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 173 | დაინცე-ლომელი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 174 | ოსტენდე-ჰეუსდენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 175 | ტურნჰაუტი-რუზელარე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 17.30 | 176 | მოლენბეკი-მონსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 17.30 | 177 | დენდერლეუ-გეელი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 178 | ტინენი-სტრომბეკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | საბერძნეთი. მე-8 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 179 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 180 | პანაჰაიკი-კალამატა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 181 | პანილიაკოსი-ირაკლისი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 182 | იონიკოსი-პანიონიოსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 183 | ოფი-ათინაიკოსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 184 | ეთნიკოსი-არისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 185 | აეკ-იანინა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 186 | პაოკ-ოლიმპიაკოსი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | ჩეხეთი. მე-16 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 188 | სიგმა-ტეპლიცე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 13.15 | 189 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 16.30 | 190 | ბლშანი-დრნოვიცე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.30 | 191 | ბუდეიოვიცე-პლზენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 16.30 | 192 | იაბლონეცი-ბოჰემიანსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 16.30 | 193 | პრჟიბრამი-სპარტა | 4,2 | 3,0 | 1,7 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 194 | სლავია-სინოტი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | თურქეთი. მე-14 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 16.00 | 197 | სამსუნი-ანთალია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 198 | ერზურუმი-ადანა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 199 | ისთანბული-ბეშიქთაში | 3,6 | 3,1 | 1,8 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 15.30 | 200 | გენჩლერბირლიგი-იეთფა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 201 | გენჩლერბირლიგი-იეთფა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 15.30 | 202 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 203 | გაზიანთეფი-დენიზლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 15.30 | 204 | ქოჯაელი-იოზგათი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| 16.00 | 205 | ბურსა-რიზე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 206 | გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | შოტლანდია. მე-17 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 207 | აბერდინი-მოზერუელი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 208 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 3,0 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 209 | ჰართსი-დანდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 210 | კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 211 | სენტ მირენი-ჰიბერნიანი | 4,0 | 3,1 | 1,75 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 212 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,3 | 3,0 | 2,8 |
| | | ავსტრია. მე-21 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 214 | ბრეგენცი-გრაცერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 215 | შტურმი-ადმირა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 216 | შტურმი-ადმირა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 217 | ტიროლი-რიდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 218 | ტიროლი-რიდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 19.30 | 219 | აუსტრია-ზალცბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | შვეიცარია. **A** ჯგუფი. მე-20 ტური | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 220 | ივერდონი-ლუგანო | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 22.30 | 221 | ლუცერნი-სერვეტი | 2,8 | 3,0 | 2,2 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 222 | ქსამაქსი-ციურიხი | 3,0 | 3,2 | 1,9 |
| 17.30 | 223 | სიონი-ლოზანა | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.15 | 224 | ბაზელი-არაუ | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| 19.15 | 225 | გრასჰოპერი-სენტ გალენი | 1,85 | 3,0 | 3,8 |
| | | შვეიცარია. **B** ჯგუფი. 22-ე ტური | | | |
| | | 26. ნოემბერი | | | |
| 17.30 | 226 | ბადენი-სოლოთურნი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.30 | 227 | კარუჟი-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 228 | ლოკარნო-კრინსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 17.30 | 229 | თუნი-ბელინცონა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 17.30 | 230 | ვილი-ვანგენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 231 | ვილი-ვანგენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.30 | 232 | ვინტერთური-იანგ ბოისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | დანია. მე-18 ტური | | | |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 233 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 234 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 235 | ლიუნგბიუ-აკადემისკი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 18.00 | 236 | კოპენჰაგენი-ჰადერსლევი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 20.05 | 237 | ოდენსე-ოლბორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 238 | ჰერფიოლგე-ბრიონდბიუ | 4,0 | 3,4 | 1,7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. თასის IV ეტაპი | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 241 | ლამაში-სპორტინგი | 6,5 | 3,6 | 1,35 |
| 19.00 | 242 | ნავალი-რიუ ავე | 2,0 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 243 | ოვარენსე-ფელგეირაში | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 244 | ფარენსე-იმორტალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 19.00 | 245 | ბოავიშტა-ფრეამუნდე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 19.00 | 246 | ლეირია-ამადორა | 1,45 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 247 | ნასიონალი-სალგეირუში | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 01.00 | 248 | კამპომაიორენსე-ბენფიკა | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| | | პოლონეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი. II მატჩები | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 16.00 | 249 | პოგონი-ამიცა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| I მატჩი: 2-2 | | | | | |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 16.00 | 250 | ვისლა-ლეგია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| I მატჩი: 1-1 | | | | | |
| | | კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 829 | ჩეხეთი-საბერძნეთი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 20.00 | 830 | უკრაინა-პორტუგალია | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 20.00 | 831 | ბულგარეთი-ფინეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 20.30 | 832 | ხორვატია-უნგრეთი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 833 | შვედეთი-ჰოლანდია | 2,0 | 12,0 | 1,45 |
| 21.00 | 834 | ლატვია-შვეიცარია | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 21.15 | 835 | პოლონეთი-ბელარუსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 21.15 | 836 | სლოვენია-მაკედონია | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 21.30 | 837 | ესტონეთი-ავსტრია | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 22.00 | 838 | ინგლისი-სლოვაკეთი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 22.30 | 839 | ბელგია-ისლანდია | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 21.45 | 840 | ისრაელი-ბოსნია | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| | | კალათბურთი | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 812 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 813 | შარლოტი-კლივლენდი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 814 | მაიამი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 815 | ორლანდო-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 816 | ვაშინგტონი-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 817 | დალასი-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 818 | სან ანტონიო-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 819 | პორტლენდი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 820 | გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 821 | კლიპერსი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 822 | საკრამენტო-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 21.30 | 823 | ბოსტონი-ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 824 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.00 | 825 | დეტროტიტ-იუტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 04.30 | 826 | ნიუ იორკი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 827 | ორლანდო-მილუოკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 828 | კლიპერსი-ლეიკერსი | 4,0 | 12,0 | 1,1 |
| | | ჰოკეი | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 911 | ტორონტო-ოტავა | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 912 | მონრეალი-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 913 | აილენდერსი-დეტროიტი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 04.00 | 914 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 915 | პიტსბურგი-ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 916 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 917 | კოლუმბუსი-დალასი | 2,5 | 4,0 | 1,75 |
| 05.00 | 918 | სენტ ლუისი-ფინიქსი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 919 | ედმონტონი-ანაჰაიმი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 07.00 | 920 | კოლორადო-კალგარი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.30 | 921 | სან ხოსე-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| | | 26 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 922 | კაროლინა-ნეშვილი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 23.00 | 923 | მინესოტა-ვანკუვერი | 2,5 | 12,0 | 1,75 |
| 04.00 | 924 | ბოსტონი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 925 | რეინჯერსი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 926 | ფილადელფია-ფინიქსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 04.30 | 927 | მონრეალი-ატლანტა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 928 | აილენდერსი-ტამპა ბეი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 929 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# ქუთაისში

## ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

# ბათუმში

## კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

საქართველოს ჩემპიონატი **10 ტური**

საქართველოს ჩემპიონატი **11 ტური**

# ანონსი

| | |
|---|---|
| 25 ნოემბერი. ვერის ბაღი. 11.00<br>**ვითა — ბასკო** | 26 ნოემბერი. ვერის ბაღი. 11.00<br>**სსუ — მაკაბი** |
| 25 ნოემბერი. ვერის ბაღი. 12.45<br>**სტუ — მაკაბი** | 26 ნოემბერი. ვერის ბაღი. 12.45<br>**აზოტი — სტუ** |
| 25 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.30<br>**თსუ — აზოტი** | 26 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.30<br>**შევარდენი — ბასკო** |
| 25 ნოემბერი. ვერის ბაღი. 16.15<br>**დინამო — სსუ** | 26 ნოემბერი. ვერის ბაღი. 16.15<br>**თსუ — დინამო** |

# რევანშის ტური

**ავადსახსენებელმა** ენერგოკრიზისმა გატანჯა მეათე ეროვნულის პირველი წრე. ვერის ბაღში გასამართ შეხვედრათა ლამის ნახევარი სწორედ უშუქობის გამო გადაიდო და ზოგი როდის ჩატარდა, ზოგიც - როდის. არც მეორე წრიდან უნდა ველოდოთ უკეთესობას, უსინათლობას გამყინვარებაც დაერთო და კარგ დღეში ნამდვილად არ ჩაცვივდებიან კალათბურთელები და მათ საქომაგოდ მოსულნი. ჩემპიონატის ორგანიზატორებსაც ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. ფედერაციის მწირე ბიუჯეტი დარბაზის გათბობის საშუალებას არ იძლევა და ქართული კალათბურთის მამებმა რაიმე უნდა ილონონ. თუ არა და, სხვა რა გზაა, დუხჭირმა ყოფამ ხომ კარგა ხნის წინ მიაჩვია ჩვენი გუნდები გათოშილ დარბაზში თამაშს...

მაშ ასე. უარესობის მოლოდინით ვეგებებით მეორე წრის დაწყებას, რომელიც სულ რაღაც ერთ თვეში მიილევა და მოვლენებსაც მეტ სიცხადეს შესძენს. დეკემბრის ბოლოს შევიტყობთ იმ ექვსი გუნდის ვინაობას, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ჩემპიონობა კი, ახლავე ჩანს, წინა სეზონის მსგავსად სამ გუნდს ხელეწიფება, წლეულსაც „ბასკო“, „აზოტი“ და სტუ შეეცილებიან ერთმანეთს ქართულ ოქროს.

გათამაშების უდანაკარგო ლიდერი ბათუმის „ბასკო“ ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ გამოიხეირნებს დედაქალაქში. თურქეთმოვლილი ზღვისპირელები თბილისში „შევარდენთან“ და „ვითასთან“ დაიჭერენ საქმეს და ძალიან საეჭვოა, სასურველი ოთხი ქულის მოპოვებაში ზურაბ ტომარაძის გუნდს ხელი შეეშალოს. სერგო იმხნელის „შევარდენმა“ იქნებ შეჰკადროს და მაგრადაც დაეჯაჯგუროს მრისხანე მეტოქეს, მაგრამ „ვითას“ „ბასკოს“ განერვიულება ნამდვილად არ ძალუძს. საკუთარ კედლებში ჩემპიონმა 64 ქულით დაამარცხა ჩვენი კალათბურთის ექსფლაგმანი, მას შემდეგ კი ამ გუნდებში ბევრიც არაფერი შეცვლილა.

მძიმე შაბათ-კვირა ელის ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს“. პირველი წრის ბოლო ტურში სტუ-სგან მარცხნაწვნევი „აზოტი“ დღეს კვლავაც ტექნიკოსთა გუნდს უნდა დაუპირისპირდეს და, რა სალაპარაკოა, რომ რევანშის სურვილით იწვის. ხვალ კი ოთარ ხმელიძის შეგირდები თსუ-ს შეებმებიან, რომელსაც სხვებზე ნაკლები ამბიცია როდი აქვს და ნებისმიერ მეტოქესთან თავგანწირვით იბრძვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უნივერსიტეტელებმა ბოლოს ზედიზედ სამჯერ წააგეს, ალბათ, თავს გადადებს ზაზა ზამთარაძის სამწყსო.

ყველაზე პრინციპული, ვფიქრობთ, მაინც „აზოტი“ — სტუ-ს დაპირისპირებაა. რუსთავული გუნდი შეეცდება, პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვნად იძიოს შური სტუ-ზე. თავის მხრივ, არც „ჯეოსელის“ მფარველობის ქვეშ მყოფი ტექნიკოსები აპირებენ რაიმის დათმობას, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა უნდა დაამტკიცოს, რომ „აზოტის“ დამარცხებაში შემთხვევითობა არაფერ შუაშია.

არაერთხელ გვითქვამს, რუსთაველები ყველაზე მეტად საკუთარი ემოციურობით იფუჭებენ საქმეს. ნერვების მოთოკვა აშკარად უჭირს ხმელიძის გუნდს და ამ მიზეზით აქამდე ბევრჯერ იზარალა. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ემოცია უნდა დაიცხროს ვიცე-ჩემპიონმა, სხვანაირად გაუჭირდება მოგება, მით უფრო ისეთ გუნდთან, როგორიც სტუ-ა.

პირველი წრის მიწურულს საკვირველად მძლავრად ათამაშდნენ ტექნიკოსები. თსუ-სთან მარცხის შემდეგ ჩანს, მკაცრი საუბარი ჰქონდა ნუგზარ ჭეიშვილს საკუთარ შეგირდებთან, რამაც ნაყოფი გამოიღო. სტუ-მ ულაპარაკოდ დაამარცხა „დინამო“ და „მაკაბი“, შუალედში კი თვით მრისხანე „აზოტი“ გაამწარა.

ახლა ხმელიძესაც მართებს რაიმეს შეცვლა, რამაზ გოგობერიშვილის პორტუგალიაში წასვლის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტებული „აზოტი“ მწვრთნელმა სასიკეთოდ უნდა გარდაქმნას და კვლავაც მოსაგებად შემართოს, თორემ ამგვარი თამაშით რუსთავული გუნდი ჩემპიონობას ნამდვილად ვერ შესწვდება. შემადგენლობის მხრივ „აზოტს“ ყველა წინაპირობა აქვს, უფრო მობილურ გუნდად იქცეს და ახლა ყველაფერი თავად კალათბურთელებზე და მწვრთნელთა მარიფათზეა დამოკიდებული.

სტუდენტთაგან ყველაზე მეტად, ალბათ, მაინც ირაკლი ხოშტარიას უნდა უფრთხოდნენ რუსთაველები. გარდა ამისა, გამარჯვების მოსაპოვებლად ფარქვეშ ერთიორად რიხით უნდა ითამაშოს „აზოტმა“, მით უფრო, რომ სტუ-ს არც ამ მატჩში ეყოლება ტრავმირებული ცენტრი, გოდერძი კორძაძე. მართალია, მას ღირსეული შემცვლელები ჰყავს ვასილ ოთიურიძისა და ახალგაზრდა ვახტანგ მინაშვილის სახით, მაგრამ არც ბერუაშვილ-ბაბიაშვილის ტანდემია ჯაბანი. ერთი სიტყვით, ფარქვეშ უპირატესობის მოპოვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფიცხელ ბრძოლასაც უნდა ველოდოთ.

სტუ შეეცდება, სწრაფი თამაში აქციოს საკუთარ კოზირად. ამისათვის გამთამაშებლის სხარტი აზროვნება და შეუმცდარი ქმედებაა საჭირო. ირაკლი ხოშტარიას ჩანაფიქრის განხორციელებაში ტულუშმა, მიქაძემ და სულაძემ უნდა შეაშველონ ხელი, დავით ულიანსა და ლოსაბერიძეს კი სავარაუდოდ სწრაფ პირველ შეტევაზე დაეკისრებათ ქულების მოგროვება. გარდა ამისა, ამპლუით ფრთა ლაშა ლოსაბერიძე შორი დისტანციიდანაც შეეცდება მიზნის მიღწევას.

რუსთაველთა უკანახაზელებს — ჟღენტს, გაბისონიასა და ტურაშვილს — სიფხიზლე მართებთ, რათა სტუდენტთა სწრაფი თამაში ალკვეთონ. ამასთანავე, მათ დროულად უნდა მოამარაგონ პასებით მეტოქის ფარქვეშ ჩასაფრებული ბაბიაშვილი და ბერუაშვილი. მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ნუგზარ კოკოლიშვილის სნაიპერული თვისებებიც.

საინტერესოა, ამჯერად რა ტაქტიკას აირჩევს სტუ-ს წინააღმდეგ ოთარ ხმელიძე. მისი და მეტოქე-კოლეგა ნუგზარ ჭეიშვილის ნაფიქრ-ნააზრევი ხვალ მოედანზე გამოჩნდება. გამარჯვებაც, ცხადია, იმ გუნდს დარჩება, რომლის მწვრთნელიც შეგირდებს უკეთ დამოძღვრავს და, სიტუაციიდან გამომდინარე, უტყუარ გადაწყვეტილებებს მიიღებს. რაც შეეხება პროგნოზს, თავს შევიკავებთ, რადგან ადრეც გვითქვამს, ამ გუნდების ჯახში ყველაფერია მოსალოდნელი. შორს ნუ წავალთ და შარშანდელი ნახევარფინალური სერია გავიხსენოთ. რუსთაველებმა მაშინ სტუმრად ორივე მატჩი მოუგეს თბილისელებს, შინაურ კედლებში კი ერთხელ მარცხი იწვნიეს.

„აზოტამდე“ სტუ ოთხეულში ბოლო წამს შეღწეულ „მაკაბის“ დაეჯაჯგურება. პირველი წრის შეხვედრაში უკრაინამოვლილი „მაკაბი“ უიმედოდ დამარცხდა ტექნიკოსთა გუნდთან და რუსთაველთა მსგავსად მათაც ვალი აქვთ სტუ-სთვის დასაბრუნებელი.

და, რა თქმა უნდა, რევანში სწყურია თსუ-საც. ზაზა ზამთარაძის გუნდმა სწორედ „დინამოსთან“ წაგებით დაკარგა ადგილი ოთხეულში და მტრისას, ისეთ ხასიათზეა. ჰოდა, დაბოღმილი თსუ-ც ვნახოთ...

**გიორგი გიგაური**



პირველი წრის სტუ — აზოტი 73:68. რუსთაველთა უკანახაზელი ზაზა გაბისონია (№4) მეტოქის ფარქვეშაც მარჯვეა

## საქართველოს მამაკ. ჩემპიონატის კალენდარი
### მეორე წრე

| | |
|---|---|
| 25 ნოემბერი, შაბათი | |
| ვითა | ბასკო |
| სტუ | მაკაბი |
| თსუ | აზოტი |
| დინამო | სსუ |
| 26 ნოემბერი, კვირა | |
| სსუ | მაკაბი |
| აზოტი | სტუ |
| შევარდენი | ბასკო |
| თსუ | დინამო |
| 2 დეკემბერი, შაბათი | |
| ვითა | მაკაბი |
| აზოტი | დინამო |
| სტუ | შევარდენი |
| ბასკო | თსუ |
| 3 დეკემბერი, კვირა | |
| ვითა | სტუ |
| აზოტი | მაკაბი |
| შევარდენი | დინამო |
| ბასკო | სსუ |
| 9 დეკემბერი, შაბათი | |
| სსუ | თსუ |
| მაკაბი | შევარდენი |
| აზოტი | ვითა |
| 10 დეკემბერი, კვირა | |
| ვითა | შევარდენი |
| დინამო | სტუ |
| აზოტი | სსუ |
| მაკაბი | თსუ |
| 14 დეკემბერი, ხუთშაბათი | |
| სსუ | სტუ |
| ვითა | თსუ |
| ბასკო | დინამო |
| 15 დეკემბერი, პარასკევი | |
| შევარდენი | სსუ |
| სტუ | თსუ |
| ბასკო | აზოტი |
| 25 დეკემბერი, ორშაბათი | |
| ვითა | სსუ |
| სტუ | ბასკო |
| შევარდენი | თსუ |
| დინამო | მაკაბი |
| 26 დეკემბერი, სამშაბათი | |
| დინამო | ვითა |
| მაკაბი | ბასკო |
| აზოტი | შევარდენი |


იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფილადელფია კრაზანებმა დაკბინეს

22 ნოემბერი

**სან ანტონიო 112:85 სიეტლი**
სან ანტონიო: როუზი (22 ქულა, 10 მოხსნა), ანდერსონი (18)
სიეტლი: პეიტონი (18)

**იუტა 116:78 დენვერი**
იუტა: მარშალი (17), სტარქსი (16)
დენვერი: ლენარდი (14)

**ფინიქსი 97:85 ნიუ ჯერსი**
ფინიქსი: რობინსონი (17), მარიონი (15 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)
ნიუ ჯერსი: მარბერი (30), გილი (17)

**ატლანტა 78:74 ნიუ იორკი**
ატლანტა: ჯექსონი (19), ჰენდერსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21), სპრიუელი (16)

**მინესოტა 101:100 ვანკუვერი**
მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბილაფსი (21)
ვანკუვერი: ბიბი (37), აბდურ-რაჰიმი (27 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი 96:81 ჰიუსტონი**
ბოსტონი: პირსი (16), უოლკერი (13 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი)
ჰიუსტონი: მობლი (17)

**საკრამენტო 100:71 ჩიკაგო**
საკრამენტო: ვებერი (29 ქულა, 13 მოხსნა)
ჩიკაგო: ბრენდი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი 67:86 კლივლენდი**
მაიამი: მეისონი (16)
კლივლენდი: მილერი (13)

**ლეიკერსი 111:91 გოლდენ სტეიტი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ონილი (15 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 6 დაფარება)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (28 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (16)

**მილუოკი 84:93 პორტლენდი**
მილუოკი: რობინსონი (20), ალენი (19)
პორტლენდი: ვოლესი (18)

**შარლოტი 88:73 ფილადელფია**
შარლოტი: კემპბელი (22 ქულა, 11 მოხსნა, 8 დაფარება), მაშბერნი (16 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)
ფილადელფია: სნოუ (10), გეიგერი (10), მაქკელი (10)

აქამდე უძლეველი „ფილადელფია სიქსერზის" გამარჯვებათა ჯაჭვი შარლოტში გაწყდა. კლუბი ზედიზედ ათ მოგებაზე შეჩერდა და ვერ შეძლწვდა თავის ყველა დროის რეკორდს, რისთვისაც კიდევ ხუთი თამაშის მოგება სჭირდებოდა.

„სეზონში ყველა თამაშს რომ ვერ მოვიგებდით და როდესმე უნდა დავმარცხებულიყავით, მშვენივრად ვიცოდით — ამბობს „სიქსერზის" ლიდერი ალენ აივერსონი — მაგრამ გვინდოდა, ეს რაც შეიძლება გვიან მომხდარიყო, არც ასე წაგება გვხიბლავს".

„ფილადელფიამ" პირწმინდად წააგო. „შარლოტთან" მან დაკარგა ის თავდაჯერებულობა და ცივსისხლიანობა, რის წყალობითაც მანამდე ათი გამარჯვებით იწონებდა თავს. „სიქსერზში" ამ დღეს კაცი არ გამოჩნდა, რომელიც ხეირიანი ოდენობით მიითვლიდა ქულებს, მოხსნებს, პასებს და საერთოდ, რაიმე სასარგებლოს გააკეთებდა. მასპინძლებმა ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობეს მეტოქეს, განსაკუთრებით კი საკუთარ ნახევარზე გაილაღეს და თავიანთ დაცვით ნაგებობაში სტუმართა თარეში არ დაუშვეს. მასპინძელთა კარგ თამაშს დაცვაში ისიც დაერთო, რომ სტუმართა ლიდერ ალენ აივერსონს სროლა არ წაუვიდა. შარლოტელთა მჭიდრო მეურვეობამ ამ მრავალმხრივ ნიჭიერ მექულეს საშუალება არ მისცა, თავისი სნაიპერული თვისებები გამოემჟღავნებინა და მათ კალათს რისხვად დასტეხოდა. აივერსონმა სეზონში ყველაზე უხეიროდ ითამაშა, ბლომად ბურთები ააცილა და სულ 7 ქულა დააგროვა. ისე, მას უსაშველოდ ბევრი არც მანამდე ჩაუგდია, თუმც მაშინ სხვებიც ეხმარებოდნენ, ამ დღეს კი რატომღაც არავინ გამოიღო ხელი. სტუმრებს შეტევის სურვილს ისიც უქრობდა, რომ მასპინძლებს ფარი საიმედოდ დაეპყროთ და იქ „სიქსერზის" მაღლებს — ჰილს, რეთლიფსა და ლინჩს არ აჭაჭანებდნენ.

სტუმართა უფხო თამაშის ფონზე შარლოტელ „კრაზანებს" იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდათ. ელდენ კემპბელმა ქულებსა და მოხსნებთან ერთად ერთობ ბევრი დაფარებაც მიითვალა. მასპინძელთა ცენტრი საკუთარ კალათს, როგორც კრუხი წიწილებს, ისე გადაეფარა და ვინც კი მასთან ორი მეტრის სიახლოვეს გამოჩნდა, ყველას დაუფარა. ბაირონ დევისმა კი 12 ქულასთან ერთად 11 პასი და 10 მოხსნაც ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე და კარიერაში პირველ სამმაგ დუბლსაც გამოჰკრა ხელი. უკვე პირველ ტაიმში „შარლოტი" ათი ქულით დაწინაურდა, მასპინძლებმა რიგიან პირველ ტაიმს მეორის დასაწყისში ერთი მონაკვეთის 16:2 მოგებაც დაამატეს და ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვიტეს.

საერთოდ, 22 ნოემბერი წარუმატებელი დღე გამოდგა ატლანტიკის დივიზიონის ბობოლებისთვის. „ფილადელფიას" მხარდამხარ „ნიუ იორკმა" და „მაიამიმაც" დაიჩოქეს, თანაც ამ უკანასკნელმა ისე, რომ კარგა ხანს ვერ დაივიწყებს.

„ექვსი წელია, „მაიამიში" ვარ და არ მახსოვს, მას ასე საძაგლად ეთამაშოს. ამ დარბაზში ჩვენ არაერთი მწარე დარტყმა გვიგემნია, მაგრამ ასეთი არასდროს" — ამბობდა „კლივლენდთან" მატჩის შემდეგ სირცხვილისგან გაწითლებული „მაიამის" მწვრთნელი და პრეზიდენტი პატ რაილი. „მაიამი" ჩემპიონიც რომ გახდეს, ამ შავ ლაქას, მაინც ვერ მოიშორებს. „ჰითი" 12 წელია არსებობს და აქედან მინიმუმ ექვსი წლის განმავლობაში ცხრილის ფსკერის ბინადარი გახლდათ, მაგრამ იმ ცუდ ხანაშიც შინაურ კედლებში თამაშში ქულათა ასე მწირი რაოდენობა არასდროს მოუგროვებია. ერთ შეხვედრაში 67 ქულის შეგროვება კლუბის ისტორიული ანტირეკორდია, რომელსაც ალბათ კარგა ხანს არ უწერია გაუმჯობესება (გაუარესება).

ისე, მაიამელებს აკლდათ ედი ჯონსი, მურნინგზე რომ არაფერი ვთქვათ, ხოლო კიდევ ერთ ლიდერს, ტიმ ჰარდევეის ცერი სტკიოდა. „მაიამის" ცაზე შავი ღრუბელი დასაწყისშივე გამოჩნდა. მასპინძლები ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე. მათ პირველ მეოთხედში სულ 12 ქულა გააკეთეს, ტაიმში — 29. ეს უკვე მარცხს მოასწავებდა. მასპინძლებს საბოლოო ლახვარი „კლივლენდის" შარშანდელმა არაფრით გამორჩეულმა ახალბედამ, ტრაიან ლანგდონმა ჩასცა, როცა მესამე მეოთხედში ზედიზედ 11 ქულა ჩააგდო გაოგნებულ მასპინძლებს და თავისიანებს ერთი მონაკვეთი 19:2 მოაგებინა.

ამ რამდენიმე დღეს წინ „სიეტლ სუპერსონიქსის" ლიდერმა გერი პეიტონმა მწვრთნელი პოლ ვესტფოლი გვარიანად შეახურა — ჩემი თავის მწვრთნელი მე ვარ და ნუ მასწავლი, როგორ ვითამაშო და სანამ არ გეტყვი, არ გამომცვალოო. პეიტონი „სიეტლის" საუკეთესო კალათბურთელია. მაგრამ მისი გუნდის მწვრთნელთან გაიგივება, მაინც არ შეიძლება. პეიტონი ისე თამაშობს, როგორც სურს და მთელი გუნდი იძულებულია, მის ქეიფზე იაროს, ამ სეზონში ხომ იგი საერთოდ ამოვარდნილია კალაპოტიდან და ალარავის ემორჩილებოდა. ვესტფოლის ხელში იგი მეტად თავისუფლად გრძნობს თავს და რაც სურს, იმას აკეთებს. ახლა კი მასსა და ვესტფოლს შორის შავმა კატამ გაირბინა და საქმე იქამდეც მივიდა, კლუბის მამებმა პეიტონს ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. პეიტონმა ბოდიში მოიხადა, რამდენიმე საათში კი „სან ანტონიოს" დარბაზ „ალამოდოუმის" ფიცარნაგზე გავიდა და იქ თითქმის არაფერი გაუკეთებია, რათა თავისი გუნდი მარცხისგან ეხსნა. „სიეტლმა" ეს თამაში 27 ქულით წააგო. ნამატჩევს მან მორიგი ბოდიში მოიხადა, ცუდად ვითამაშეო. ამ დროს კი ვითომდა მოლონიერებული „სიეტლი" უფსკრულისკენ მიექანება. პეიტონს ამაში ბევრი არ დაადანაშაულებს. იგი „სონიქსის" საუკეთესო მოთამაშეა, აი, ვესტფოლს კი, რომელსაც ისედაც წყალი აქვს შემდგარი, ყოველი წაგების შემდეგ ერყევა საფუძველი.




ინდიანა — ტორონტო. ანტონიო დევისსა (№33) და ჩარლზ ოკლის შორის მოქცეულმა ინდიანელმა ჯერმენ ონილმა მაინც ჩატენა

23 ნოემბერი

**ინდიანა 91:111 ტორონტო**
ინდიანა: მილერი (20), ბესტი (19), როუზი (16)
ტორონტო: კარტერი (28), ვილისი (23)

23 ნოემბერს გამართულმა ერთადერთმა თამაშმა ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა" იმსხვერპლა. „პეისერზს" ვერც შინაურმა კედლებმა უშველა და ვერც გამოჯანმრთელებულმა ჯალენ როუზმა. ვინს კარტერმა და მისმა რაზმმა წინა სეზონის მეორე გუნდს ზედიზედ მეოთხე მარცხი აგემეს.

**ირაკლი ფირცხილი**



ატლანტა — ნიუ იორკი. ლარი ჯონსონმა ატლანტელ ალან ჰენდერსონს ბურთი წაართვა

## ევროპის ჩემპიონატი 2001

შესარჩევი ეტაპი. VI ტური. 22 ნოემბერი

### A ჯგუფი

**უნგრეთი 63:82 ლატვია**
უნგრეთი: ციგლერი (1), ფოდორი (3), გემეში, გულიაში (10), ჰალმი (13), კალმანი (21), მესაროში, ნემეტი (2), პანკარი (3), შიტკუ (10)
ლატვია: ბაგაცკისი (19), ჰელმანისი (16), ლაკსა, მელნიკსი, რ. მიგლინიეკსი (5), შტელმახერსი (31), შტურმსი (4), ვალეიკო (3), ვეკვაგარსი (1), ვიტოლსი (3)

**შვეიცარია 53:61 ინგლისი**
შვეიცარია: ბორტერი (9), ჩერუზა, კოლერი (6), მრაზეკი (16), პოლიტი (9), სასელა, ვალისი (13)
ინგლისი: ბეიკერი (9), ბეტსი (9), ბაკნელი (14), დორსი (17), გარდინერი (5), ჰამსელი, ჰესლეპი, ჰოუკინსი (7), ვილიამსი

**სლოვაკეთი 73:92 ხორვატია**
სლოვაკეთი: ბოჰუნიცკი (3), გავლაკი (8), კრამერი (7), მიჩუდა (21), პრაჟნოვსკი (14), შტეცი (6), სვიტეკი (7), ვიმერი (7)
ხორვატია: მამიჩი (11), მარცელიჩი (11), მარიჩი, მულაომეროვიჩი (30), ნიჩევიჩი (4), ი. რუჟიჩი (2), ტ. რუჟიჩი (12), სტოიჩი, ვუიჩიჩი (15), ჟიჟიჩი (7)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 6 | 0 | 510:411 | 12 |
| ლატვია | 6 | 3 | 3 | 498:458 | 9 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 3 | 435:434 | 9 |
| ინგლისი | 6 | 3 | 3 | 465:466 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 404:433 | 9 |
| სლოვაკეთი | 6 | 0 | 6 | 371:481 | 6 |

### B ჯგუფი

**ბელარუსი 78:60 ჩეხეთი**
ბელარუსი: ალექსეევი, ბაიდაკოვი (25), კლემეზი (10), კოხნეცი, კუზმინი (1), კრივონოსი (10), კული (10), მეშჩერიაკოვი (20), პინტიკოვი (2), ვასილევკო
ჩეხეთი: ბეჩკა (8), ბენეში (2), ჩუდეკი (4), კუბალეკი (2), ნეჩასი (5), ნოვაკი (2), შტუხლი (10), ტრნკა (2), ველში, ზიდეკი (25)

**ავსტრია 69:94 პოლონეთი**
ავსტრია: ასჩერიჩი (6), ბუგელშაიმი, ფრიცი, ჰელმიკი, მოშიკი, რენფროუ (15), სტაჟიჩი (25), ვოლჩიჩი (16), ვაისენბოკი (7), ვოშანკი
პოლონეთი: ჰიზი (9), იანკოვსკი (6), კორიტეკი (10), კოსციუკი, მაკნაული (3), პლუტა (10), სიდორი (1), ტომჩიკი (14), ვოიციკი (26), ზიელინსკი (15)

**საბერძნეთი 92:73 ესტონეთი**
საბერძნეთი: ხაძივრეტასი (3), დიამანტოპულოსი (14), ეკონომუ (18), იანულისი (7), კალაიძისი (2), დიკუდისი (7), პაპადოპულოსი, პაპალუკასი (9), პაპანიკოლაუ (15), სიგალასი (17)
ესტონეთი: კრიისა, კულამი (5), კუუსმაა (12), მეტსტაკი (12), მიუურსეპი (18), პარნი (11), პეჰკა (11), ტეინი (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 6 | 0 | 476:382 | 12 |
| ესტონეთი | 6 | 4 | 2 | 478457 | 10 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 3 | 455:448 | 9 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 3 | 461:460 | 9 |
| ავსტრია | 6 | 1 | 5 | 422:501 | 7 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 5 | 422:466 | 7 |

### C ჯგუფი

**ბოსნია 83:80 ბულგარეთი**
ბოსნია: ფირიჩი (2), ჰუკიჩი (18), კაპრიმანოვიჩი, კრასიჩი (2), ლერიჩი (6), მარკოვიჩი (18), მრშიჩი (17), ოჭინა (14), სულიანოვიჩი (2), ტერზიჩი (4)
ბულგარეთი: ანგელოვი (3), დიმიტროვი (4), დრუმევი (6), კოჩინოვი, მინჩევი (33), ნატოვი (11), პეტროვი (18), რადიონოვი (2), სტოიკოვი (3)

**ფინეთი 88:85 შვედეთი**
ფინეთი: ჯონერი (14), კოტი (3), კუისმა (22), კუმპულაინენი (4), ლეპტორანტა, ლუპტანენი (14), მაკელა (12), პრატესი (19)
შვედეთი: ბულანდერი (14), ბერგსტრომი, ბლომი (11), დიარა, იონსონი (11), პ. ლარსონი (16), პ. ლარსონი (17), პეტერსონი (14), სალსტრომი (10), სანდერსი (2)

**ჰოლანდია 71:53 ისრაელი**
ჰოლანდია: დე ფრიზი (7), ელსონი (20), ფლანდერსი (2), ჰაინენი (17), ჯონსი (6), კრიგერი, ლომერსე, სმიტსი (16), ტრიემსტრა (3), ვან დერ სლუისი
ისრაელი: ბურშტეინი (3), კოენი, გრინი (4), ჰენფელდი (15), კანტორი, მუსტარი (2), საფარი, შარფი (23), შელეფი (5), თორჯემანი (1)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 6 | 5 | 1 | 467:391 | 11 |
| ბოსნია | 6 | 4 | 2 | 444:424 | 10 |
| ფინეთი | 6 | 4 | 2 | 491:505 | 10 |
| ჰოლანდია | 6 | 2 | 4 | 431:440 | 8 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 432:459 | 8 |
| შვედეთი | 6 | 1 | 5 | 423:469 | 7 |

### D ჯგუფი

**მაკედონია 89:77 ბელგია**
მაკედონია: ბლაჟევსკი (8), ბოჩევსკი (4), ჩეკოვსკი, გეჩევსკი, ივანოვსკი (16), კურტოვიკი (5), ნაუმოსკი (23), სტეფანოვი (33)
ბელგია: ბაერტი (4), ბაიერი, ბეგინი (2), კლეიმანსი (17), ელისი (26), ჟომინი (10), ლაუერსი, სტასი (8), სტრიულენსი (8), ვან დენ შპიგელი (2)

**ისლანდია 62:105 უკრაინა**
ისლანდია: არნარსონი (8), ბირგისონი, გუდფინსონი (17), გუნარსონი (3), ინგვარსონი, ონუნდარსონი (5), ორმსონი (5), ფ. სტეფანსონი (8), ი. სტეფანსონი (13), ვილბერგსონი (3)
უკრაინა: ფურმანი (2), ხარჩენკო (9), ხრიაპა (20), ლოხმანჩუკი (19), ოკუნსკი (2), პუდზირეი (2), რაევსკი (8), უსენკო (7), იაილო (22), იევსტრატენკო (14)

**პორტუგალია 82:104 სლოვენია**
პორტუგალია: ანტუნეში (14), აზევედუ (3), ბრიტუ დე კამპოსი, დიასი (2), პინტუ (6), მაჩედუ (14), დესო (10), ოლივეირა (33), კოშტა
სლოვენია: ალიბეგოვიჩი (13), ბეჩიროვიჩი (11), ბრეზეცი (7), დრაგშიჩი (6), გოლიოვიჩი (13), გორენცი (5), მილიჩი (12), სმოდიში, ტუშეკი (23), ზდოვცი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 6 | 6 | 0 | 506:396 | 12 |
| მაკედონია | 6 | 4 | 2 | 464:402 | 10 |
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 435:379 | 10 |
| ბელგია | 6 | 3 | 3 | 430:420 | 9 |
| პორტუგალია | 6 | 1 | 5 | 429:496 | 7 |
| ისლანდია | 6 | 0 | 6 | 354:525 | 6 |

## კუკის ნატერფალზე

# აგენტ 007-ის ჩანაწერები

## ავტორის შენიშვნით და მოპიკანტურო ფოტოებით

**შენიშვნით დავიწყოთ:** ეს ჩანაწერები პროფესიულია და იგი ჩემს კოლეგებს არ დააინტერესებთ, რადგან ისინი აქ ახალს ვერაფერს წაიკითხავენ. მაგრამ რაკი ეს წერილი მათთვის კი არა, მკითხველისთვისაა განკუთვნილი, სწორედ ამ უკანასკნელთა ყურადღებას მივიპყრობ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ პროფესიულმა ჩანაწერებმა არც „ფართო მკითხველი" დააინტერესოს.

და მაინც, თუ ვინმემ არ გამოტოვა „სარბიელის" ეს გვერდი და კითხვას აგრძელებს, ალბათ იტყვის, აჰა, ამ კაცმა ახლა ჯეიმს ბონდობა დაიბრალაო, მაგრამ ჟურნალისტიკა და ფოტორეპორტიორობა ხომ გარკვეულწილად აგენტობასაც გულისხმობს. ამ პროფესიის კაცი, დაზვერვის თანამშრომელივით, აკვირდება, უთვალთვალებს და დასდევს თავის საკბილოს ისევე, როგორც აქ დასტამბულ ნახევრად შიშველ-ტიტველ ავსტრალიელ აბორიგენს სიდნეის ქუჩებში ვდიე ალმა-დალმა მანამ, სანამ მისი ჩაცმა-დახურვის კვალობაზე ყველაზე კურიოზულ ადგილზე არ გადავუღე სურათი. ეს კურიოზული ადგილი იყო ქალაქის ერთ-ერთი ძვირი, ვეება უნივერმაღი, მაგრამ „ჩემი" აბორიგენი იქ სამოსის დახლთან კი არა, პარფიუმერიის განყოფილებაში კარგა ხანს შეყოვნდა და რალაც-რალაცეებიც იყიდა, ალბათ თავ-ტან-ხელფეხის მოსახატად.

მაგრამ დავუბრუნდეთ აგენტის განმარტება-გაშიფვრას და გავიხსენოთ, რომ იგი მხოლოდ დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელს არ ნიშნავს. აგენტი ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმომადგენელიც გახლავთ. ასე რომ, თქვენი მონა-მორჩილი სიდნეიში, კუკის ნატერფალზე „სარბიელის" აგენტის როლშიც დააბიჯებდა და იქ გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე ჩანაწერებსაც აკეთებდა და ფოტოსურათებსაც იღებდა, რომელთა ნაწილს მკითხველიც გაეცნო.

ახლაც იგივეს ვაპირებ...

ჯეიმს ბონდის კოდური ნომერი რაღა შუაშიაო, ალბათ, ამასაც იკითხავს მკითხველი, საქმე კი ისაა, რომ ფოტორეპორტიორის ეს „ბლატნოი" კოდი „PG 007" ოლიმპიური თამაშების სპონსორმა „კოდაკმა" მიბოძა, მაგრამ რომ არა ჩემი სააკრედიტაციო თავგადასავლები, მაინცდამაინც ამ შიფრს ვერ მივიღებდი. იმ თავგადასავლების გამო სააკრედიტაციო რეგისტრაცია სიდნეიში ჩასვლიდან ლამის 24 საათის დაგვიანებით მოვახერხე მაშინ, როცა წესისა და რიგის მიხედვით აეროპორტშივე უნდა მოგვარებულიყო საქმე.

ასე იყო თუ ისე, „კოდაკმა" სააკრედიტაციო კოდიც მომცა და ზურგზე გასაკრავი სერია და ნომერიც „PHOTO 1022". ეს იმას ნიშნავდა, რომ რეგისტრაცია 1022-ემ გავიარე. რაკი ეს საქმე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამიოდე საათით ადრე ერთ-ერთმა უკანასკნელმა მოვაგვარე, გამოდის, რომ სიდნეიში 1022-ზე ალბათ სულ რამდენიმე ფოტორეპორტიორით მეტი ყოფილა აკრედიტებული.

სხვათა შორის, ჟურნალისტთა აკრედიტაციის საქმე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე გვარდება. თანამედროვე აკრედიტაცია ერთდროულად არის ვიზაც, ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები ბილეთიც, ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში ტრანსპორტით (ტაქსისა და გემის გარდა, მაგრამ ჩემი უბედობით სიდნეიში ყოველ დილალამეს ამ უკანასკნელით მგზავრობა მიწევდა, რაშიც 10-10 $ ვიხდიდი) უფასოდ სარგებლობის ნებართვაც, ოლიმპიური პასპორტიც და, თუ გნებავთ, სამოქალაქოც. უაკრედიტაციოდ არც ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში შეგიშვებენ და არც შენი ქვეყნიდან გაგიშვებენ, რადგან ჩვეულებრივ პასპორტში არანაირი სათანადო აღნიშვნები არ არის.

ასეთი ჯადოსნური აკრედიტაციების რაოდენობა, ცხადია, შეზღუდულია. იგი ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებზე შესაბამისი კვოტებით გაიცემა. სიდნეიში, მაგალითად, 5000-ზე მეტი ჟურნალისტი და ფოტოგრაფი იყო აკრედიტებული და კიდევ — 12000 ელექტროპრესის წარმომადგენელი.

წინათ კი ასე არ იყო და ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყნებს თუ მის სტუმრებს უამრავი პრობლემა ექმნებოდა, მათ შორის სპორტსმენებსაც. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ოლიმპიზმის მემატიანეთა მიერ შემონახული ერთი კურიოზული ამბავიც, რომელიც 1928 წელს ამსტერდამის IX ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის დაწყებისას მოხდა.

სტადიონი, ცხადია, ხალხით პირთამდე გავსებულიყო. მის შესასვლელებთან კონტროლიორთა ყურადღების მოდუნების მოლოდინში ათასობით კაცი იდგა, იმ კონტროლიორებს კი ნერვები ისე აწეწვოდათ, რომ სტადიონზე არ შეუშვეს... გახსნის ცერემონიალის მონაწილე საფრანგეთისა და ფინეთის დელეგაციები.

შეუპოვარმა ფინელებმა კონტროლიორთა გვერდის ავლით მაინც მოახერხეს სტადიონზე შეღწევა, როცა მის გალავანზე გადაბობღდნენ, ფრანგები კი საერთოდ ცერემონიალის მიღმა დარჩნენ. როცა მათი დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კონტროლიორთან მივიდა, ამ უკანასკნელმა მის ახსნა-განმარტებას ყურიც არ ათხოვა და ლაზათიანად ცხვირში მუშტი მიათხლიშა.

ორგანიზატორებმა ბოდიშს ბოდიში მიაყოლეს. ამით დაიმედებული ფრანგთა დელეგაცია კვლავ სტადიონთან მივიდა და იქ დახვდა... ისევ ის კონტროლიორი, რომელმაც მათი დანახვისთანავე მკლავები დაიკაპიწა და მუშტებიც მოიღერა. სადაც არა სჯობსო და ფრანგებიც [illegible] გაეცალნენ.

ცხადია, ასეთი რამ სიდნეიში არ მო-
მხდარა და მსგავსი რამ ყველგან (საქა-
რთველოს გარდა!) წარმოუდგენელია. ვ[illegible]
კი არა, საერთაშორისო ოლიმპიური კო-
მიტეტისა და ოლიმპიური თამაშების
ერთ-ერთი უდიდესი და ტრადიციუ[ლი]
სპონსორი „კოდაკი", რომელიც სიდნეი[ში]
2000 კვადრატულ მეტრზ[ე]
დაბინავებულიყო, ფოტოჟურნალისტ[ებს]
აკრედიტაციის მქონეთ ასევე ტრადი-
ციისამებრ გადაგვყვა. მან არა მხოლო[დ]
ის საკოდო ნომრები გვიბოძა, არამე[დ]
გვაჩუქა დაახლოებით 150-დოლარიან[ი]
ჟილეტები, ჩვენს სამსახურში უფასო[დ]
ჩააყენა „ნიკონისა" და „ქენონის" სახე-
ლოსნოები. მათგან უსასყიდლოდ შე-
ძლებოდა ამავე ფირმების პროფესიულ[ი]
ფოტოაპარატების, ობიექტივებისა დ[ა]
სხვა აქსესუარების თხოვება. ამას გა-
რდა, შეგვეძლო ნებისმიერი რაოდენო-
ბით ჩაგებარებინა და უსასყიდლოდ გა-
გვემჟღავნებინა ფირები, თანაც, ყოვე[ლ]
გამჟღავნებულ ფირზე თითო ხვეულ[ა]
გვჩუქნიდა. საერთო ჯამში „კოდაკმა"
იმ 16 დღე-ღამეში 250 ათას ხვეულზ[ე]
მეტი ფირი გაამჟღავნა და გაასაჩუქ[რა],
რაც ერთმანეთზე რომ გადაგვება 37[...]
კილომეტრი გამოვიდოდა და თბილი-
სიდან ბათუმს მიწვდებოდა.

ერთი სიტყვით, კოდაკი ერთგული
თავისი დევიზისა თუ რეკლამისა, „თქ[ვენ]
ფოტოაპარატის ღილაკს თითი დააჭი-
რეთ, დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთ".

სხვათა შორის, ეს რეკლამა პირვე-
ლად XX საუკუნის დასაწყისშივე გა-
მოჩნდა. მაშინ, 1900 წელს ფი[...] „ისტმ[ენ]
კოდაკმა" გამოიგონა ფოტოაპა[რატი], რო-
მელშიც ფირიანი კასეტა იდებოდა დ[ა]
ამოღებაც შეიძლებოდა. მანამდე კი ფი-
რის გასამჟღავნებლად ფოტოაპარატ[ი]
მთლიანად მიჰქონდათ ქარხანაში.

„კოდაკის" გამოგონება იმდენად რე-
ვოლუციური იყო, რომ ეს ამბავი 190[0]
წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენათ[ა]
შორის მოიხსენიება.

ახლა „კოდაკი" ოლიმპიურ თამაშებზ[ე]
როგორც სპონსორი არა მხოლოდ ფი-
რებს გიმჟღავნებთ და გიბეჭდავთ სურა-
თებს, არამედ რედაქციაში, თუნდაც დ[ე]-
დამიწის მეორე მხარეს იყოს, რამდენიმ[ე]
წამში გიგზავნით კიდეც. ამის წყალობი[თ]
იყო, რომ თქვენი მონა-მორჩილის მიე[რ]
სიდნეიში გადაღებული ფოტოები მეორ[ე]
დღესვე „სარბიელში" იბეჭდებოდა.

ისიც საინტერესოა, რომ სიდნეიში
აკრედიტებული ფოტორეპორტიორები[ს]
ნახევარზე მეტს ფირების გამჟღავნე-
ბა-დაბეჭდვა არც სჭირდებოდა — ციფ-
რული ფოტოაპარატების წყალობით
შეგიძლიათ შეჯიბრებისგან მოუწყვე-
ტლივ სურათები თქვენი რედაქციის
კომპიუტერში, დასაკაბადონებელ
გვერდში რამდენიმე წამში გააჩინოთ.

ახლა კი, აქამდე გამოქვეყნებულ
სერიოზული სურათების მერე სალა-
ღობოსაც გთავაზობთ.

**ავთანდილ გურასაშვილ[ი]**

*სიდნეი — თბილის[ი]*

**ავტორის ფოტოებ[ი]**











# ჭადრაკი სამშობლოს უბრუნდება

## ერთი კაცი და ათი ქალი: ინდო-ირანში საქართველოსთვის

ორი მასპინძლის იდეა ჭადრაკშიც
პულარული ხდება. ბელგია-ჰოლან-
ა გაგვიგია, იაპონია-კორეაც, ახლა
ინებეთ: ინდოეთ-ირანში დღეს 2000
ის მსოფლიოს პირველობა იწყება
დეს ვერსიით. შეჯიბრის სტატუსი-
ან ბოლო ორი სიტყვის მოშორებას
ტად ითხოვს ჭადრაკის საერთა-
რისო ფედერაციის (იგივე ფიდე) პრე-
დენტი, ყალმუხი კირსან ილუმჟი-
ვი, რომელიც ამტკიცებს, რომ არა-
თარი ვერსიები არ არსებობს, მსოფ-
ოს ერთი ჩემპიონი ჰყავს (ალექსანდრ
ლიფმანი), ხოლო ვლადიმირ კრამ-
კი ჩემპიონი არა და პლანეტის უძ-
ერესი მოჭადრაკე კი არის.
განსაკუთრებით ბოლო ხანებში, კა-
აროვ — კრამნიკის მატჩის შემდეგ,
უმჟინოვის სიტყვებს მეტი ფასი მი-
ა ფიდეს პრეზიდენტის უშუალო მე-
ინეობით, მსოფლიოს პირველობის
ზო ფონდისთვის 3,5 მილიონი
ლარი მოგროვდა, უმეტესობა ინ-
ელთა, ცოტაც სპარსთაგან და ორი
პინძლის ამბავიც ამიტომ აეწყო. და-
ბული ფულის ოდენობის პროპორ-
ულად საჩემპიონატო ბატალიათა მე-
წილი დელიში ჩაივლის. სამაგიე-
დ, თეირანს ბაჯალლოს არჩივი ერგო
მამაკაცთა ფინალის 6 პარტია, რო-
ლიც 7 დღეს გაგრძელდება (დასვე-
ის დღის ჩათვლით). შესაბამისად,
ოეთზე მოდის 100 კაცი მოჭადრა-
ორამდე გაცხრილვის გრძელი პრო-
დურა და 61 მანდილოსნისგან უძ-
ერესის დადგენაც. 61-დან მხოლოდ
ა ისეთი, პირველ წრეში გარჯა
მ ასცდა — ჩინელი სიუ ჟუნი, რუ-
ალისა გალიამოვა და ქართველი
ა ჩიბურდანიძე. ამათგან პირველი
ენიმე დღის წინ საინტერესო სი-
აციაში მოხვდა: ჰქონდა უფლება
ითხოვდა, როგორმე კაცებშიც ვი-
მებ და ქალებშიცო. ადრე პრობ-
მა არ იქნებოდა, სხვადასხვა სქე-
წარმომადგენლები სხვადასხვა
ისა და ადგილას ქიშპობდნენ ხო-
ერთმანეთში, მაგრამ ახლა პარ-
პარალელურად უნდა გაიმართოს
ჩილის ორად გაჭრა ვერაფრით
ხდება. ქალთა მსოფლიოს ჩემ-
ნმა ბოლოს დათმო და ქალებში
მაშ თასჯერდა, ოღონდ პირობა მი-
ეს, რომ მომავალი ციკლიდან თა-
ნებაზე იზამს ყველაფერს და თუ
ა, ორივეგან ითამაშებს.
საქართველოს საჭადრაკო სკოლა მო-
ლე ქალთა საერთო ოდენობის ბა-



ბუდისტური ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი დალაი ლამასაც სტუმრებია



ალექსანდრ ხალიფმანი ჯერ კიდევ ფიდეს ჩემპიონია

რე მეექვსედს ავსებს. იმავე ჩიბურდანიძის გარდა ილუმჟინოვის პირადი მიწვევით ითამაშებს ნონა გაფრინდაშვილი. კენჭისყრამ გვიმტყუნა. უკვე ვიცით, რომ პირველივე წრიდან მინიმუმ ორი ქართველი გამოვარდება: გაფრინდაშვილი ინგა ხურცილავას უნდა შეხვდეს, ნანა იოსელიანი — რუსუდან გოლეთიანს. არიან კიდევ ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო გურიელი, ლელა ჯავახიშვილი და სოფო ტყეშელაშვილი. ამ უკანასკნელს მეტოქედ იუგოსლაველი ალისა მარიჩი ერგო და იმას თუ მოუგო, ჩვენი ხმამაღალი სათაურები მერე ნახეთ!

კაცებში ერთადერთი ქართველი, ზურაბ აზმაიფარაშვილი ითამაშებს. კარგია, რომ იგი მეორე წრიდან ჩაებმება ჩემპიონატში და იქაც ფრიად სასურველი მეტოქე ეყოლება უკრაინელი ბაკლანისა და ხორვატი ზაიას წყვილში გამარჯვებულის სახით. აზმაიფარაშვილის რეიტინგი ამათსას ერთობ სჭარბობს.

ბევრი მსჯელობა იყო ჩემპიონატის ფორმატზე. სტამბოლში, ფიდეს 71-ე კონგრესზე, დროის დიდი წილი ამ თემამ წაიღო და შედეგთა თაობაზე ილუმჟინოვმა ბევრთან ისაუბრა. რამდენიმე კვირის წინ მას რადიო „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტმა დაურეკა და ოციოდე წუთი მაინც ელაპარაკა. ფიდეს პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ სამომავლოდ შესარჩევი ტურნირების სიაში პრესტიჟულ შეჯიბრებათა ჩართვას აპირებს და თითოეულ ტურნირს 100 ათასი დოლარით წაეშველება. „ეს მათთვის გადარჩენის შანსი იქნება“ — აღნიშნა ილუმჟინოვმა და მართალია: ტილბურგის, დოს ერმანასის და სხვა განთქმული ტურნირები უკვე აღიგავნენ, ვიკ-აან-ზეეს ორგანიზატორებიც თურმე ველარ იძლევიან ფინანსურ გარანტიებს და „ჭადრაკის უიმბლდონიდან“ — ლინარესიდანაც არ ისმის სასიკეთო ამბები. 100-100 ათასებით ფიდე მათზე პატრონაჟის დაწესებას ცდილობს, მაგრამ აქ უკვე სამართლიანობის მომენტი იკარგება: პრესტიჟული ტურნირი მაინც ელიტის ვიწრო წრისთვის ტარდება და ფიდემ იმასაც უნდა მიაღწიოს, რომ ორგანიზატორებმა უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებებში გამარჯვებულები დაჰპატიჟონ, თორემ სულ კასპაროვ-კრამნიკ-ანანდ-შიროვის თამაში სხვებისთვის საზიანო გახდება.

ილუმჟინოვმა სხვა გადაწყვეტილებებზეც თქვა. „არც ერთი პარტია არ გაგრძელდება ორ საათზე დიდხანს — განაცხადა მან — ამით ჭადრაკის ტელევიზიითა და ინტერნეტით ჩვენება გაადვილდება“.

მაგრამ ეს ყველაფერი 21-ე საუკუნის ნოვაციებია, ჩვენ კი ახლა მეოცის დასკვნითი პირველობა გვაინტერესებს, რომელშიც კასპაროვის, კარპოვისა და კრამნიკის გარდა ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ითამაშებს და მათ შორის ვიშვანათან ანანდიც. ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი საქმეში მეორე წრიდან ჩაებმება, ხოლო ინდოეთში გამგზავრებამდე ჩემპიონატის შესახებ თავისი აზრები „იზვესტიას“ მოახსენა. ხალიფმანი არ იცვლება, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე ადრინდელივით ისე ლაპარაკობს, თითქოს მისი ქონა-არქონა ჩირად არ ულირდეს, ოღონდ ცოტა უფრო მკვეთრად. მისი ინტერვიუს ყველაზე აგრესიულ ნაწილს აქვე გთავაზობთ:

**— ჩემპიონატისთვის ჩვეულებრივად მოემზადეთ თუ განსაკუთრებულად? რაც უნდა იყოს, დელიში ჩემპიონის რანგში მიდიხართ...**

ხალიფმანი — მინდოდა წესიერად მომზადება, მაგრამ ოლიმპიადა გამეჩხირა... ლაპარაკი ზედმეტი იყო, რუსეთის ღირსება უნდა დამეცვა. რაღაცეები მაინც მოვასწარი.

**— მარტო ემზადებოდით?**

— ცხადია. მე არა ვარ უდიდესი მოჭადრაკე, თან სეკუნდანტთა შტაბები ვიახლო. ამასთან, ჩემპიონატიც ჩემთვის რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ არის. უბრალოდ, მინდა ინდოეთში ჩავიდე და კარგად ვითამაშო.

**— ექსპერტები თვლიან, რომ თქვენი ხელახლა გაჩემპიონების შანსები მიზერულია. ამაზე რას იტყვით?**

— ვულოცავ ყველას, ვინც ასე ფიქრობს, დიდებული აღმოჩენაა, თუმცა რაიმე პროგნოზისგან ამჯერად თავის შეკავება უფრო მართებულად მიმაჩნია. დელისა და თეირანში გაიმარჯვებს ის, ვინც მოცემულ მომენტში კარგ ფორმაში იქნება და მეტს იყოჩაღებს.

**— კრამნიკმა თამაშზე რომ უარი თქვა, ხომ არ გაწბილდით?**

— ეგ მისი საქმეა. კრამნიკმა კასპაროვს მოუგო და ახლა მისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულის სტატუსი შეინარჩუნოს, მისი ინდოეთში გამარჯვება კი მეტად საეჭვოა და, ცხადია, თამაში ხელს არ აძლევს. საერთოდ კი, მისდამი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, კრამნიკი არაფრის ჩემპიონი არაა. ჭადრაკის ჩემპიონი ახლა მე ვარ.

**— და მაინც, თუ წააგეთ, რა გრძნობა დაგეუფლებათ?**

— სინანული და სიმსუბუქე. ჩემპიონობა კიდევ მინდა, მაგრამ თუ დავმარცხდი, თავისუფალი დროის დეფიციტი არ მექნება. წელიწადზე მეტია, თავს აღარ ვეკუთვნი.

ჩემპიონატის ორგანიზაციულ დონეზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. საინფორმაციო საშუალებები ჯერჯერობით უფრო დუმილს ამჯობინებენ, ხოლო ინდოეთსა და ირანში ადგილობრივი ინტერნეტის ვებსაიტები ვერსად ვიპოვეთ, ყველაფერი ფიდეს ოფიციალურ გვერდზეა გამოტანილი, თუმცა ბევრიც არაფერი: პარტიების დაწყების დრო გუშინაც არ გვქონდა დაზუსტებული.

**დავით ბულუა**

ჰოკეი

# შემორიგება ეშმაკეთში

22 ნოემბერი

**ბუფალო — ფილადელფია 1:3**
0:0 0:2 1:1

**ვაშინგტონი — ვანკუვერი 3:2**
1:0 0:1 1:1 1:0

**ტორონტო — ედმონტონი 4:3**
2:1 1:1 1:1

**პიტსბურგი — კაროლინა 1:3**
0:1 0:0 1:2

**აილენდერსი — რეინჯერსი 3:4**
0:1 2:2 1:0 0:1

**ტამპა — ატლანტა 8:2**
2:1 5:1 1:0

**მინესოტა — კალგარი 1:1**
1:0 0:1 0:0 0:0

**დეტროიტი — ბოსტონი 4:5**
2:3 1:2 1:0

**კოლორადო — კოლუმბუსი 5:2**
3:1 2:0 0:1

**ნეშვილი — დალასი 0:1**
0:1 0:0 0:0

**ანაჰაიმი — ნიუ ჯერსი 2:5**
1:1 0:2 1:2

**სან ხოსე — ჩიკაგო 4:1**
1:0 0:1 3:0

23 ნოემბერი

**ოტავა — ედმონტონი 3:5**
1:1 0:0 2:4

**ატლანტა — მონრეალი 0:6**
0:3 0:3 0:0

**ლოს ანჯელესი — ნიუ ჯერსი 1:6**
1:2 0:2 0:2



ლოსანჯელესელმა მეტიუ შნაიდერმა (მარცხნივ) ნიუჯერსელი სკოტ გომესი ყვანჯზე „წამოაგო“

როგორც კი ნიუ ჯერსის ორი გაფიცული ლიდერი დაუბრუნდა, გუნდი მართლაც რომ ჩემპიონურად ათამაშდა. „ეშმაკთა“ გენერალურმა მენეჯერმა ლუ ლამორელომ სკოტ ნიდერმაიერიც და ჯეისონ არნოტიც შემოირიგა და ორ დღეში ორი მოგებით ნიუ ჯერსიმ ერთი საფეხურით აიწია სატურნირო ცხრილში.

თავისი 1500-ე თამაში 2(1+1) ქულით აღნიშნა სახელოვანმა მარკ მესიემ, თანაც მისმა რეინჯერსმა თავის ყველაზე პრინციპული მეტოქე აილენდერსი (+77-78=17 ლიგის ისტორიაში) დაჯაბნა.

ჩინებულად ათამაშდა კოლორადოელი ალექს ტანგეი. შარშანდელი დებიუტანტი კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ამჯერად მან 2 გოლით თავისი ქულიანი სერია 10 შეხვედრამდე (6 გოლი და 10 პასი) გაზარდა, რაც წლეულს საუკეთესო შედეგია.

ტამპას მცველმა პაველ კუბინამ ატლანტასთან 5(1+4) ქულა მოაგროვა და საკლუბო რეკორდს ერთით ჩამორჩება. ატლანტამ კი ვერც მონრეალს გაუწია წინააღმდეგობა და ბოლო ადგილზე მყოფმა კანადელებმა ამ თამაშში იმდენივე შაიბა შეაგდეს, რამდენიც მანამდე ზედიზედ წაგებულ 6 მატჩში.

დალასელი ედ ბელფორისთვის შატაუტები ჩვეულებრივი რამაა. ნეშვილთან მშრალი მატჩი მისთვის სეზონში მე-5, კარიერაში კი 54-ე გახდა.

ბუფალოს მარცხის შემდეგ ლიგაში გუნდი აღარ დარჩა, შინ არ წაეგოს. თანაც ფილადელფიასთან შეხვედრაში სახელოვან დომინიკ ჰაშეკს მისმა თანამემამულე რომან ჩეხმანეკმა აჯობა, რომელმაც წლეულს დაიწყო ნჰლ-ური კარიერა და ბოლო ხანს ფილადელფიის ძირითადი მეკარეც გახდა.

ტორონტოელთა კარის დარაჯმა კერტის ჯოზეფმა ზედიზედ მერვედ გააწბილა თავისი ყოფილი გუნდი ედმონტონი. თავის მხრივ, „მენავთობეებმა“ ოტავას აჯობეს ბოლო წუთების შტურმის წყალობით, რომელსაც ახალწვეულმა ენსონ კარტერმა (1+1) ჩაუყარა საფუძველი.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 22 | 12 | 3 | 1 | 6 | 63:43 | 28 |
| ოტავა | 21 | 11 | 4 | 0 | 6 | 68:52 | 26 |
| ბუფალო | 19 | 10 | 2 | 1 | 6 | 51:45 | 23 |
| ბოსტონი | 21 | 7 | 2 | 2 | 10 | 51:77 | 18 |
| მონრეალი | 22 | 6 | 2 | 0 | 14 | 55:69 | 14 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 21 | 10 | 4 | 0 | 7 | 56:58 | 24 |
| პიტსბურგი | 20 | 10 | 2 | 1 | 7 | 61:56 | 23 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 10 | 3 | 0 | 8 | 74:58 | 23 |
| რეინჯერსი | 21 | 11 | 0 | 0 | 10 | 71:66 | 22 |
| აილენდერსი | 19 | 6 | 2 | 2 | 9 | 42:55 | 16 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 20 | 7 | 3 | 1 | 9 | 47:58 | 18 |
| ტამპა | 19 | 7 | 2 | 1 | 9 | 60:71 | 17 |
| ვაშინგტონი | 21 | 5 | 6 | 1 | 9 | 51:64 | 17 |
| ატლანტა | 19 | 4 | 6 | 1 | 8 | 48:62 | 15 |
| ფლორიდა | 19 | 4 | 4 | 3 | 8 | 42:53 | 15 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 20 | 13 | 3 | 0 | 4 | 62:38 | 29 |
| დეტროიტი | 22 | 12 | 1 | 1 | 8 | 65:56 | 26 |
| ნეშვილი | 21 | 7 | 5 | 1 | 8 | 45:52 | 20 |
| ჩიკაგო | 22 | 7 | 2 | 2 | 11 | 56:67 | 18 |
| კოლუმბუსი | 22 | 7 | 1 | 1 | 13 | 44:70 | 16 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 22 | 15 | 3 | 0 | 4 | 70:46 | 33 |
| ედმონტონი | 25 | 13 | 3 | 0 | 9 | 73:65 | 29 |
| ვანკუვერი | 22 | 12 | 3 | 2 | 5 | 77:61 | 29 |
| კალგარი | 23 | 5 | 4 | 3 | 11 | 48:64 | 17 |
| მინესოტა | 22 | 5 | 4 | 1 | 12 | 45:60 | 15 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 19 | 13 | 2 | 0 | 4 | 56:40 | 28 |
| ფინიქსი | 22 | 11 | 6 | 0 | 5 | 64:50 | 28 |
| დალასი | 20 | 11 | 3 | 1 | 5 | 53:40 | 26 |
| ლოს ანჯელესი | 22 | 11 | 4 | 0 | 7 | 76:62 | 26 |
| ანაჰაიმი | 23 | 8 | 3 | 2 | 10 | 61:77 | 21 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიშ, რა კარგია?

მეფობას ერთი ნაკლი აქვს, შიგადაშიგ ისეთ რაღაცაზე უნდა თქვა, ვიშ, რა კარგიაო, სინამდვილეში გულზე დიდად რომ არ გეხატება. აი, მაგალითად, ბელგიის მეფე ალბერტ მეორე (შუაში) დედოფალ პაოლასთან ერთად (ფოტოზე არ არის) ორი დღით შვეიცარიას სწვევია, მასპინძელ პრეზიდენტ ადოლფ ოგის (მარცხნივ) კი ლოზანის ოლიმპიურ მუზეუმში მიუწვევია. დიდგვაროვან გვამთ პატივცემული — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი დახვედრია და მედლები უჩვენებია. ვითომ ეს მედლები მის უდიდებულესობას ძალიან აინტერესებდა?


REUTERS ლოზანიდან


REUTERS მოსკოვიდან

## ს ა ხ ე

ამ ფოტოზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი (მარჯვნივ) ლენინს არ გვაგონებს?! რუსული ფეხბურთის ამაგდარი კონსტანტინ ბესკოვი კი არავის ჰგავს. მას ყოველთვის საკუთარი სახე ჰქონდა. ამიტომ ვაცხადებთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ის მარად მოწინააღმდეგედ დარჩება, თავის ქვეყანაში ის სახელმწიფო ჯილდოსა და პატივის ღირსი უთუოდ იყო.

## აი, ამან, ამანა...

ეს კაცი, ჩინ-მედლებითა, ჯინჯილებითა და პრიალ-პრიალა ჟეშტებითა, გახლავთ ამერიკელი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, რომელმაც ჰავაიში, დაძაბულ პლეი-ოფში, კონკურენტ გიჯაი სინგჰს მოუგო და ამით „დიდი მუზარადის“ მფლობელი შეიქნა. ახლა, ხომ ხედავთ, ხარობს და ფოტოს იღებს. და რომ იცოდეთ მეგოლფეებს რამდენს უხდიან...



## დათვის ძლევა რაღა ბედენაა

მოჭიდავე რულონ გარდნერმა სიდნეის ოლიმპიადაზე რუს ალექსანდრ კარელინს აჯობა და ოქროს მედალი მოიგო. ჰოდა, აბა, ამის მერე ვიღაც გაბურძგნული დათვი შეაშინებდა? მით უფრო, რომ დათვი მხოლოდ და მხოლოდ კალათბურთის გუნდის „იუტა ჯაზის“ სიმბოლო გახლდათ. ამ ღლაბუცის შემდეგ „იუტამ“ „დენვერს“ 116:78 მოუგო.


REUTERS



## სუდია...!

კაცო, ეს მსაჯები შეცდომებს უშვებენო, თქვა და დააჯარიმეს. მერე კიდევ: ვაჰ, ეს მსაჯები მაინც ცდებიანო — დააჯარიმეს. აი, ახლაც: გადამრევენ ეს მსაჯები, შეცდომებს უშვებენ და უშვებენო — გაბრაზდნენ და 25 ათასი დოლარი დააკისრეს.

თუმცა, კაცმა რომ თქვას NBA-ს კლუბის „დალას მავერიკსის“ მეპატრონე მარკ კუბანისთვის 25 ათასი დოლარი ძნელი გადასახდელი არ უნდა იყოს.

## ხუმრობენ და ემზადებიან

— შენ არ იყავი, იმ დღეს პასი რომ არ მომეცი. მიიღე! მონრეალელი სტენლი ჯეკსონი ვარჯიშზე თანაგუნდელ კევინ ალექსანდრს წიხლს უქნევს, თუმცა ამ ბიჭებს 26 ნოემბერს ხუმრობისთვის აღარ ეცლებათ, რადგან გრეის თასის. 86-ე გათამაშებაში „კოლამბია ლაიონზს“ უნდა შეხვდნენ. ვინც მოიგებს, ამერიკული ლიგის ფეხბურთის ლიგის ჩემპიონი გახდება.


REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge